# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 16 თებერვალი, 2008 წელი.

№ 30 (5888)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

# „ხელისუფლება უნდა წავიდეს!“

15 თებერვალს მზე განსაკუთრებული სითბოთი ანათებდა. რუსთაველი გადაიკეტა. ოპოზიციურ ძალთა გაერთიანება შედგა და პარლამენტის შენობის წინ მიტინგი დაიწყო. ხალხი ძალიან ბევრი არ არის, მაგრამ ვინც მოვიდა, რადიკალურია, ძალიან მკაფიოდ გამოხატული პროტესტით არის მოსული და აგრესიულიც კია.

ეს იმთავითვე შევატყვე, როცა ვიკითხე, მიტინგი დიდი ხანია დაიწყო-მეთქი და მითხრეს: გეტყობათ, ჟურნალისტი ხართ და უნდა ამბობდეთ. საპროტესტო აქციას, იმიტომ რომ აქ თავშესაქცევად ან უბრალო შეკრებაზე არ მოვსულვართ, პროტესტმა გამოგვიყვანაო.

„ხელისუფლება უნდა წავიდეს, ხელისუფლება უნდა ვაიძულოთ, რომ ჩვენი მოთხოვნები შეასრულოს, ხელისუფლება არ უნდა იმყოფებოდეს ამ შენობაში, ეს უნდა შევაგნებინოთ, ხალხნო“, — ისმის ოპოზიციის ლიდერთა მოწოდება.

— შევიდეთ მერე, შევვარდეთ, — გამოეხმაურნენ აქციაზე მდგომი ქალბატონები, — მოგვეცით უფლება, გამოვაძევოთ იქიდან.

— **არ გეშინიათ იმის მერე, რაც 7 ნოემბერს გააკეთეს?** — ვეკითხები გამომწვევად.

— ყველას ვერ მოგვკლავენ, ვიღაცა ხომ გადარჩება?

— **ქალბატონებო, აქ მართლა სოციალურმა სიდუხჭირემ მოგიყვანათ, თუ საერთო პოლიტიკურმა მდგომარეობამ?**

— სოციალურმა გამოიწვია უსამართლობა. მე ღირსების შელახვამ გამომიყვანა. ის თოთხმეტი ლარი პენსია სჯობდა ახლანდელ სამოცდახუთ ლარს. ლამისაა, დავიჯერო, რომ შევარდნაძე ამ ანტიქრისტე სააკაშვილს სჯობდა.

— მე, ქალბატონო, სოციალური გაჭირვება არა მაქვს, რაღაცნაირად გამაქვს თავი.

— **ჩაცმულობაზეც არ გეტყობათ, რომ გიჭირთ...**

— დიახ, მართლა არ მიჭირს, მაგრამ მაშფოთებს დემოგრაფიული მდგომარეობა, ჩემი შვილების მომავალი. მხოლოდ უცხოეთში ნასწავლებს რომ აქვთ სამსახური ასე არ შეიძლება. ლომაიამ განათლება დაანგრია, ნოდია კი მისი მემკვიდრეა.

— მე მრევლი ვარ. არ უნდა ვიყო მიტინგზე, მაგრამ ერთმა ფაქტმა შემაშფოთა. „PSP“ ეხმარება ხალხსო, მაგრამ „PSP“ ხალხის ხარჯზე არ მდიდრდება? რად უნდათ საავადმყოფოებს რომ არემონტებენ? თვითონ პოლიტიკოსები ვერ მკურნალობენ იქ: ნათელაშვილი, ჯუღელი საზღვარგარეთ წავიდნენ, ხალხს მკურნალობის საშუალება არა აქვს.

იქ მდგომი ადამიანების პრობლემებზე საუბარი არ მთავრდება, თითქმის არავინ უსმენს ოპოზიციონერთა გამოსვლებს, ყველა თავის გასაჭირს მიყვება. ამ დროს მიკროფონში ისმის ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი წარმომადგენლის ხმა და ხალხი ტაშს უკრავს.

ნესტან კირთაძე კიბეებზე ჩამოდის, სირბილით ვეწევი.

2





ჯემალ კასრაძის ფოტო.

# რკინიგზის პრივატიზაცია დაუშვებელია!

6

# ბადრი პატარკაციშვილის — სამშობლოზე მოფიქრალი კაცის ნაანდერძევი

3

# მზად არის თუ არა სკოტლანდ-იარდი ვერდიქტი გამოუტანოს საქართველოს ხელმძღვანელობას?

10



# შ-ფოთის ტალღები

8

## ბადრი პატარკაციშვილის ოჯახის განცხადება

ჩვენ დავკარგეთ შვილი, მამა, მეუღლე, ჩვენთვის უსაყვარლესი ადამიანი.

უღრმეს მადლობას მოვახსენებთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია II-ს ბადრის შესახებ მისი გულითადი სიტყვების გამო.

ჩვენ გვჯერა, რომ ბადრიმ გაიგონა ეს სიტყვები...

მადლობას მოვახსენებთ ყველას, ვინც იზიარებს ჩვენს მწუხარებას.

სრულად ვენდობით ბრიტანეთის პოლიციისა და კრიმინალისტების პროფესიონალიზმს. სიკვდილის მიზეზების შესახებ სპეციალისტების მიერ საბოლოო დასკვნის გაკეთებისთანავე, ბადრის სამშობლოში ჩამოვასვენებთ და მშობლიურ მიწას მივაბარებთ.

„ალნიშნული პროექტი ითვალისწინებს კომპრომისს ხელისუფლების მხრიდან ოპოზიციური პოლიტიკური გაერთიანებების მიერ დასმულ ყველა საკვანძო საკითხთან დაკავშირებით. ამ წინადადებების სრულფასოვანი განხორციელება შესაძლებელი იქნება მხოლოდ პოლიტიკურ ძალთა შორის საერთო შეთანხმების მიღწევის და მისი საჯაროდ გაცხადების შემთხვევაში“



◎ რეპორტაჟი მიტინგიდან

# „ხელისუფლება უნდა წავიდეს!“

(პირველი გვერდიდან)

**— ქალბატონო ნესტან, თქვენც შეუერთდით გაერთიანებულ ოპოზიციას? დღეს თითქმის ყველა ოპოზიციური ძალა ერთად დგას აქ...**

— არა, ეს ასე არ არის. დღევანდელი დღე ჩვენ ჯერ კიდევ რამდენიმე დღით ადრე ვიწინასწარმეტყველეთ და განვაცხადეთ, რომ ხელისუფლებასთან ყოველგვარი დიალოგი დაუშვებელია. ხელისუფლებასთან მოლაპარაკებები, კულუარული გარიგებები დანაშაულის ტოლფასია, მაგრამ ჩვენს ოპოზიციონერ კოლეგებს ხელი არ შევუშალეთ დღევანდელ დღემდე მოსვლაში. დღეს მათ პასუხი მიიღეს ხელისუფლებისგან, რომ უკან დახევას არ აპირებენ. ამ ხელისუფლებას, რომელმაც საკუთარ ხალხს ესროლა, ხელისუფლებაში დარჩენის მორალური უფლება არა აქვს. მან შეიძლება კვლავ ესროლოს თავის ხალხს. ამიტომ ყოველგვარი მოლაპარაკება დაუშვებელია და ჩვენ ვაცხადებთ ეროვნულ შეურიგებლობას, უმკვეთრესი გამოხატვის ფორმებით: პიკეტირებებით, აქციებით, შიმშილობებით, რათა მშვიდობიანად, კონსტიტუციური გზით შევცვალოთ ეს ხელისუფლება.



ლეიბორისტთა პოზიცია მკვეთრი და განსხვავებულია. ხალხიც მეტი რადიკალური ქმედებების მომხრეა, თუმცა ამასთანავე ისმის ზვიად ძიძიგურის ხმა, რომელიც ხელისუფლებას დიალოგისკენ მოუწოდებს, მემორანდუმის კიდევ ერთხელ ჩაკითხვას ურჩევს და თარხნიშვილის და კინწურაშვილის თანამდებობიდან წასვლას ითხოვს. „ჩვენ უკან დახევას არ ვაპირებთ, ჩვენ ვითხოვთ მემორანდუმის მუხლების შესრულებას!“ — ისმის ძიძიგურის ხმა და ხალხი ამას ტაშს უკრავს...

**გამოცხადდა შიმშილობის აქციაში მონაწილეობის მსურველთა და მათი დაცვის მოხალისეთა ჩაწერა.**

**ნია ფიფია**

◎ განცხადება

# საქართველოს აღარ აქვს დასაკარგი მიწა

**საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა კოსოვოს დამოუკიდებლობის საკითხთან დაკავშირებით განცხადება გააკეთა. განცხადების ტექსტს სრულად გთავაზობთ.**

**„18 თებერვალს დასავლეთისა და მსოფლიოს სხვა ქვეყნები აპირებენ კოსოვოს დამოუკიდებლობის ცნობას. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს სეპარატისტულ კონფლიქტურ რეგიონებთან მიმართებაში დღესაც გაიჟღერა კონკრეტულმა განცხადებებმა . იმ ტერიტორიებთან მიმართებაში, რომელიც სეპარატისტების კონტროლის ქვეშ არის. ბოლო თვეებსა და კვირეებში ჩვენი რუსი კოლეგებისაგან პოზიტიური სიგნალები გვაქვს. მე მქონდა შეხვედრები რუსეთის მთავრობის წარმომადგენლებთან და ჩვენ მივაღწიეთ თანხმობას საქართველოსა და რუსეთს შორის საავიაციო მიმოსვლის აღდგენის თაობაზე, ქართული ეკონომიკური დელეგაციის რუსეთში ჩასვლასა და ქართული პროდუქციის ექსპორტის განახლებაზეც. ჩვენ მივიღეთ წინასწარი დასტური რუსეთისაგან იმის თაობაზე, რომ რუსეთი მზად არის საქართველო-რუსეთის საზღვარზე ერთობლივი საბაჟო პუნქტები გახსნას, მათ შორის კონფლიქტურ რეგიონებშიც. ეს ხსნის დაბრკოლებას მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანების მიმართ. თუმცა ამ პოზიტიურ სიგნალთან ერთად გვესმის საგანგაშო სიგნალები აფხაზეთთან და ცხინვალთან დაკავშირებით. მინდა ყველას კარგად ესმოდეს — აქ საუბარია არა მხოლოდ დიდ სახელმწიფოებს შორის გარიგებაზე, არამედ საუბარია ჩემს ქვეყანაზე. საქართველოს ხელშეუხებელ მიწებსა და ტერიტორიებზე. ქართველმა ხალხმა ეს შეინარჩუნა ათასწლეულების განმავლობაში. მე არასოდეს დავუშვებ, რომ რომელიმე ძლიერმა მხარემ ხელი აღმართოს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტზე. მინდა ჩემი ხმა ყველამ გაიგოს. ქართველი ხალხი არ დაუშვებს საქართველოს განუყოფელ ნაწილებზე ხელის აღმართვას. ჩვენ ვდგებით ისტორიის გადამწყვეტ მომენტში. ეს არის გადამწყვეტი მომენტი ევროპისა და საქართველოსთვის. საქართველოს აღარ აქვს გასაცემი ტერიტორია და დასაკარგი მიწა. კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე რამდენიმე დღით ადრე ეს არის ჩემი ძალიან გულღია და მეგობრული გაფრთხილება ყველასადმი“.**

◎ მემორანდუმი

# ხელისუფლება ოპოზიციას კომპრომისს სთავაზობს

**ქვეყანაში პოლიტიკურ ძალებს შორის ურთიერთობის ნორმალიზაციის, მათ შორის ნდობის აღდგენისა და პოლიტიკური პროცესების ცივილიზებულ ჩარჩოებში მოქცევის მიზნით, ხელისუფლებამ წინადადებების პროექტი გამოაქვეყნა.**

**მემორანდუმი საქართველოს პარლამენტის ვებ-გვერდზე განთავსდა. მის ტექსტს სრულად გთავაზობთ:**

**„ალნიშნული პროექტი ითვალისწინებს კომპრომისს ხელისუფლების მხრიდან ოპოზიციური პოლიტიკური გაერთიანებების მიერ დასმულ ყველა საკვანძო საკითხთან დაკავშირებით. ამ წინადადებების სრულფასოვანი განხორციელება შესაძლებელი იქნება მხოლოდ პოლიტიკურ ძალთა შორის საერთო შეთანხმების მიღწევის და მისი საჯაროდ გაცხადების შემთხვევაში“:**

**ბლოკი 1.**

ვიდეო-თვალის ჩანაწერები ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. ცესკომ წერილობით დაადასტურა, რომ უზრუნველყოფს ამ ჩანაწერების ადგილზე გაცნობას ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე ნებისმიერი მიმართვის შემთხვევაში.

დარღვევები, რომელიც გამოვლენილია ან გამოვლინდება ვიდეო-თვალის ჩანაწერების გაცნობის შემდეგ, აგრეთვე ის დარღვევები, რომელთან დაკავშირებითაც არსებობს საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესით შექმნილი დოკუმენტური მტკიცებულებები გამოძიებული იქნება საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადებში.

მომზადებულია პროექტი საქართველოს კონსტიტუციაში დამატების შეტანის შესახებ, რომლითაც განისაზღვრება, რომ ახლადარჩეულ პარლამენტს, ნდობის მოსაპოვებლად, წარედგინება მთავრობის შემადგენლობა კონსტიტუციით დადგენილი წესით. პროექტი გამოქვეყნდება საჯარო განხილვისათვის და პოლიტიკურ გაერთიანებებს შორის კონსენსუსის მიღწევის შემთხვევაში, ეს ცვლილება მიღებული იქნება არა უგვიანეს აპრილის თვის დასაწყისისა.

**ბლოკი 2.**

2007 წლის 7 ნოემბრის მოვლენებთან დაკავშირებით დაკავებული პირები გათავისუფლებული იქნებიან ერთი კვირის განმავლობაში.

ოპოზიციის მიერ წარმოდგენილ ორივე სიაში მოხსენიებულ პირთა უმრავლესობა არ უკავშირდება 2007 წლის ნოემბრის მოვლენებს ან საერთოდ არ არის დაკავებული.

პოლიტიკურ გაერთიანებებს შორის კონსენსუსის მიღწევის შემთხვევაში, ახლადარჩეული პარლამენტის მიერ შეიქმნება კომისია, რომელიც გამოიძიებს 2007 წლის 7 ნოემბერთან დაკავშირებულ საკითხებს, მათ შორის მასობრივი არეულობისა და კონსტიტუციური წყობილების დამხობის, სხვა ქვეყნების სპეცსამსახურებთან თანამშრომლობის, სამართალდამცავი ორგანოების მიერ გადამეტებული ძალის გამოყენების, პოლიტიკურ ოპონენტებზე თავდასხმისა და ზეწოლის ფაქტებს და მისცემს მათ პოლიტიკურ შეფასებას. კომისიის დასკვნას არ მოჰყვება რომელიმე პირის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა.

2007 წლის ნოემბრის მოვლენებთან დაკავშირებით გამოვლენილი ფაქტები არ გახდება დაპირისპირების, პოლიტიკური ანგარიშსწორების და სისხლის სამართლებრივი დევნის საფუძველი.

პოლიტიკურ გაერთიანებებს შორის კონსენსუსის მიღწევის შემთხვევაში, ერთი თვის ვადაში შეიქმნება სპეციალური კომისია, რომლის შემადგენლობაშიც შევლენ როგორც ხელისუფლების და ოპოზიციის წარმომადგენლები, ისე დამოუკიდებელი ექსპერტები. კომისია განვითარებული ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით, შეიმუშავებს წინადადებებს შსს შემდგომ რეფორმირებასთან დაკავშირებით, აგრეთვე წინადადებებს სამართალდამცავი ორგანოების მონიტორინგის საბჭოს (ე.წ. „რეიგანის კომისიის“ მოდელი) შექმნასთან დაკავშირებით.

პოლიტიკური დიალოგის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, საარჩევნო კამპანიის გამჭვირვალე და სამართლიანი გარემოს შექმნის მიზნით, არა უგვიანეს 15 მარტისა, შეიქმნება პოლიტიკური ძალების საკოორდინაციო საბჭო, რომლის შემადგენლობაში იქნებიან პარლამენტის წევრებიც. საკოორდინაციო საბჭო განახორციელებს მონიტორინგს წინასაარჩევნო პერიოდში ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობაზე.

**ბლოკი 3.**

საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭო სრულად კომპლექტდება ახლიდან. გამოცხადებულია კონკურსი ყველა ვაკანტურ ადგილზე. თებერვლის ბოლომდე საბჭო დაკომპლექტდება ახალი შემადგენლობით, ამასთან, პოლიტიკური დიალოგის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, საბჭოს წევრების და თავმჯდომარის შერჩევა მოხდება პოლიტიკურ ძალებს შორის კონსენსუსის საფუძველზე. საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს ახალი შემადგენლობა დანიშნავს ახალ გენერალურ დირექტორს.

ჟურნალისტური სტანდარტების დაცვაზე მონიტორინგი განხორციელდება მაუწყებლებისა და საზოგადოების მიერ შემუშავებული თვითრეგულირების მექანიზმების მეშვეობით. ერთი თვის განმავლობაში შემუშავდება წინადადებები შესაბამისი ფუნქციის მქონე ჯგუფის შექმნის წესისა და საქმიანობის თაობაზე.

გარანტირებულია სასამართლო სხდომების მიმდინარეობისას მედიის წარმომადგენელთა თავისუფალი დასწრება ვიდეოკამერის გარეშე. უზრუნველყოფილი იქნება სასამართლო სხდომების აუდიოჩანაწერების ხელმისაწვდომობა ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე შესაბამისი სუბიექტის მოთხოვნისთანავე.

**ბლოკი 4.**

პარლამენტის არჩევნები გაიმართება არა უადრეს 14 და არა უგვიანეს 24 მაისისა. ეს საშუალებას აძლევს ყველა დაინტერესებულ სუბიექტს, სწორად დაგეგმოს საარჩევნო პროცესი და გათვალოს რესურსები.

პოლიტიკურ გაერთიანებებს შორის კონსენსუსის მიღწევის შემთხვევაში, მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა შეიცვლება რეგიონული პროპორციული სისტემით ეუთოს ექსპერტების რეკომენდაციების შესაბამისად. ამ მიზნით, საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტი უკვე ინიცირებულია და შესაბამისი ცვლილებები კონსენსუსის შემთხვევაში განხორციელდება მარტის ბოლომდე.

კონსენსუსის შემთხვევაში მარტის ბოლომდე კონსტიტუციაში შეტანილი იქნება ცვლილება, რომლის თანახმადაც პროპორციული საარჩევნო სისტემის საარჩევნო ბარიერი დაიწევს შვიდიდან ხუთ პროცენტამდე.

შემუშავებული იქნება მექანიზმი ვიდეოთვალის მონაცემთა ავტომატურ რეჟიმში ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის, რათა ერთის მხრივ მოხდეს დარღვევებზე დროული რეაგირება და ამავდროულად, გამოირიცხოს ამ საბაბით არჩევნების შედეგების შეჯამების ხელოვნური გაჭიანურება.

ცესკო 25 მარტამდე წარმოადგენს წინადადებებს დარჩენილი უბნების ვიდეოთვალით აღჭურვის ტექნიკური შესაძლებლობის შესახებ.

პოლიტიკურ გაერთიანებებს შორის კონსენსუსის მიღწევის შემთხვევაში, საოლქო საარჩევნო კომისიები საარჩევნო პერიოდში დაკომპლექტდება იმავე პრინციპით, როგორც ცესკო. შესაბამისად, საოლქო კომისიაში (სულ 13 წევრი) არჩევნების პერიოდში იქნება 6 წევრი ოპოზიციური პარტიებიდან.

დაზუსტდება საარჩევნო კოდექსის ნორმები, რომლებიც ითვალისწინებს პოლიტიკური თანამდებობის პირების საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობისას საბიუჯეტო სახსრების და თანამდებობრივი მდგომარეობის გამოყენების შეზღუდვას. (მარტის ბოლომდე).

კონსენსუსის შემთხვევაში, საარჩევნო დავების განხილვის ეფექტური მექანიზმის ჩამოყალიბების მიზნით, შეიქმნება საარჩევნო დავების განხილვის სპეციალური საბჭო, რომელიც დაკომპლექტებული იქნება პოლიტიკურ ძალებს შორის კონსულტაციების გზით. საბჭო დაკომპლექტდება 4 ან 6 წევრისაგან, დამატებითი წევრი კონსენსუსის შემთხვევაში შერჩეული იქნება ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციის მეშვეობით. (მარტის ბოლომდე).

პოლიტიკური გაერთიანებების, არასამთავრობო ორგანიზაციების და სხვა დაინტერესებული პირების მონაწილეობით შემუშავდება საარჩევნო კოდექსის ცვლილებები, რომელიც ძირითადად ასახავს საერთაშორისო ორგანიზაციების დასკვნებში გათვალისწინებულ შენიშვნებს. (მარტის ბოლომდე).

პოლიტიკურ ძალებს შორის სრული კონსენსუსის და კონკრეტულ კანდიდატურებზე შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში, მარტის შუა რიცხვებამდე გადაიხედება ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობა.

№ 30. შაბათი, 16 თებერვალი, 2008 წელი.

**ხელისუფლება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს იმ საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ინსტიტუტების შექმნის ქვემოდან წამოსულ ინიციატივებს, რომლებიც ნებაყოფლობით იკისრებენ ხელისუფლების ამა თუ იმ ფუნქციას – პირიქით, იგი ყოველმხრივ უნდა წაახალისებდეს ასეთ ინიციატივებს, უფრო სწორად, ვალდებულია ეს გააკეთოს**



**როგორც ანდერძი**

# ბადრი პატარკაციშვილის – სამშობლოზე მოფიქრალი კაცის ნააზრევი

***მას შემდეგ, რაც 2007 წლის ოქტომბერში მიიღეს გაერთიანებული ოპოზიციის მანიფესტი, ბიზნესმენმა ბადრი პატარკაციშვილმაც გამოაქვეყნა საქართველოს განვითარების თავისეული ხედვა, რომელიც „ინტერპრესნიუსის“ მიწოდებით აშშ-ში გამომავალ ქართულ-რუსულენოვან გაზეთ „დავითის ფარში“ გამოქვეყნდა 2007 წლის ნოემბერში („დავითის ფარი“ ვრცელდება ნიუ-იორკში, ნიუ-ჯერსიში, ისრაელში, საქართველოში, მოსკოვსა და პეტერბურგში). პუბლიკაციას სრული სახით გთავაზობთ:***

***– დღეს გამოქვეყნდა საყოველთაო სახალხო მოძრაობის ეროვნული საბჭოს მანიფესტი. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ყველა ადამიანმა, ვისთვისაც სულ ერთი არ არის საქართველოს მომავალი, შეფასება მისცეს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს და ქვეყნის განვითარების ჭეშმარიტი გზების ძებნა დაიწყოს. 2003 წლის შემოდგომაზე, რევოლუციის შემდეგ სულ რაღაც ორ დღეში, როცა მიხეილ სააკაშვილი ჯერ კიდევ ოპოზიციის ლიდერი იყო, შევხვდი მას და გადავეცი დოკუმენტი, რომელშიც ასახული იყო საქართველოს მომავლის ჩემეული ხედვა. ამ ხედვის ძირითადი თეზისები საზოგადოებრიობას ურეკში „იმედის ქალაქის“ გახსნისას გავაცანი.***

***სამწუხაროდ, ბოლო დროს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი სულ უფრო შორდება ჩემს იდეალებს (დარწმუნებული ვარ, არა მხოლოდ ჩემსას). ჩემსა და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის კონფლიქტი სწორედ ამ მიზეზით დაიწყო და არა მისი გარემოცვის მიერ გამოგონილი „კრიმინალური“ ამბების გამო. მინდა გაგაცნოთ, თუ როგორ მესახება დღეს საქართველოს განვითარება.***

## საქართველოს ისტორიული ამოცანები და სტრატეგიული პრიორიტეტები

### საქართველოს ისტორიული ამოცანები

საქართველოს წინაშე სამი ისტორიული ამოცანა დგას: დამოუკიდებლობა, ტერიტორიული მთლიანობა და ქვეყნის საარსებოდ მნიშვნელოვანი ყველა სფეროს დემოკრატიზაცია; ამჟამად აღნიშნული ისტორიული ამოცანების შესრულების გზაზე ქვეყანამ მიაღწია მხოლოდ ნაწილობრივ, თუმცა მეტად მნიშვნელოვან შედეგებს.

### დამოუკიდებლობა

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველომ პოლიტიკურ დამოუკიდებლობას მიაღწია და მისი როგორც დამოუკიდებელი, სუვერენული, დემოკრატიული სახელმწიფოს პოლიტიკური სტატუსი მეტად ზუსტად არის განსაზღვრული ქვეყნის კონსტიტუციით. მაგრამ საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობა საჭიროებდა და დღესაც საჭიროებს ეკონომიკური დამოუკიდებლობით განმტკიცებას.

### ტერიტორიული მთლიანობა

გასული საუკუნის 90-იან წლებში გადატანილი რევოლუციური ცვლილებების შედეგად საქართველოს მიერ მიღებული ყველაზე მძიმე მემკვიდრეობა ტერიტორიული მთლიანობის ნაწილობრივი დაკარგვა გახდა.

უნდა აღინიშნოს, რომ სეპარატიზმის პრობლემას ყოფილი საბჭოთა კავშირის ყველა ქვეყანა შეეჯახა (ბალტიისპირეთისა და ბელარუსის გარდა). ეს პრობლემა არც რუსეთს აცდა. ტოტალური ძალაუფლებისა და თავად იმპერიის რღვევის პირობებში ამ პროცესს ობიექტური ხასიათი აქვს, ვინაიდან საუკუნეთა განმავლობაში იმპერიული ძალაუფლებით შექმნილი ბალანსი ხალხებს შორის არსებულ წინააღმდეგობას ეფუძნებოდა და არა საერთო პოლიტიკურ და ეთნიკურ ინტერესებს, კულტურულ და ეროვნულ ტრადიციებს.

ამ კონტექსტით აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრობლემების გადაჭრა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ქვაკუთხედად იქცევა. ამიტომაც საქართველოს მეორე ისტორიული პრიორიტეტი მდგომარეობს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში და ისეთი სახელმწიფო სისტემის დამკვიდრებაში, რომელიც ქვეყნის ახალი დემოკრატიული, პოლიტიკური და ეკონომიკური წყობის ადეკვატური იქნება.

### დემოკრატიზაცია

საქართველოს მიერ, ისევე როგორც სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნების მიერ გადატანილი რევოლუციური ცვლილებების არსი მდგომარეობს ყველა საარსებო მნიშვნელობის სფეროს, საზოგადოებისა და ადამიანის დემოკრატიზაციაში.

დამოუკიდებლობის მოპოვების მთელი პერიოდის განმავლობაში ქართველმა ხალხმა და პირველმა და მეორე პრეზიდენტებმა ქვეყანაში საძირკველი ჩაუყარეს ახალ დემოკრატიულ სისტემას და ახალ საბაზრო ეკონომიკას. არსებითად ამით დაიწყო დემოკრატიული რეფორმების შეუქცევადი პროცესი.

ეს ნიშნავს, რომ საქართველოში რევოლუციური პროცესი დასრულდა და ქვეყანა ევოლუციური განვითარების ეტაპზე გადავიდა, რომელმაც საქართველოს თითოეულ მოქალაქეს უნდა დაუმტკიცოს ახალი პოლიტიკური და ეკონომიკური კონსტრუქციის უპირატესობა ადრინდელთან, კომუნისტურთან შედარებით. სწორედ ამიტომაა ესოდენ მნიშვნელოვანი სტრატეგიული მიზნების ჩამოყალიბება ისტორიული ამოცანის გადაწყვეტის – ლიბერალური, დემოკრატიული სახელმწიფოს აშენების გზაზე.

## საქართველოს სტრატეგიული პრიორიტეტები

**საქართველოს პირველი, მთავარი პრიორიტეტი ეკონომიკური დამოუკიდებლობის მიღწევაში მდგომარეობს.**

უნდა აღინიშნოს, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები სხვადასხვა ეკონომიკურ პირობებში აღმოჩნდნენ, რაც გამოიხატა, უწინარეს ყოვლისა, განსხვავებაში ბუნებრივი რესურსების მიხედვით, ვინაიდან ამ ქვეყნების მიერ წარმოებული თითქმის მთელი პროდუქცია ვერ უძლებდა განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების მიერ წარმოებულ პროდუქციასთან კონკურენციას.

რესურსების, უწინარეს ყოვლისა, ენერგომშემცველების ნაკლებობამ ობიექტურად დააყენა საქართველო ურთულეს პირობებში.

ამის მიუხედავად ქართველი ხალხი მძიმე გამოცდას – მენტალიტეტის შეცვლას შეეჭიდა. საბაზრო ეკონომიკის არსი არა მარტო ეკონომიკურ მექანიზმებშია, არამედ მენტალიტეტშიც. დღეს მოქალაქეთა უმრავლესობა საკუთარი გამოცდილებით მიხვდა, რომ უნდა იკისროს პასუხისმგებლობა თავისი ოჯახის კეთილდღეობისათვის. ისინი უკვე აღარ ელოდებიან, როდის გადაუჭრით პრობლემებს მეფე, ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი თუ სახელმწიფო მოხელე.

ამიტომაც აღნიშნული პრიორიტეტის რეალიზაციის მთავარი ამოცანა გახდა მაქსიმალური თვითრეალიზაციის ტექნიკური ამოცანა, აგრეთვე მეწარმეობისათვის სამართლებრივი ფორმატის შექმნა და დაცვა.

**საქართველოს მეორე სტრატეგიული პრიორიტეტი ქვეყნის ახალი სუვერენიტეტისა და ახალი პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის ადეკვატურ სახელმწიფო მოწყობაში მდგომარეობს.**

ცხადია, რომ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში შექმნილი სიტუაცია მარტო რუსეთის არაშორსმჭვრეტელური პოლიტიკის ბრალი როდია. ეს საქართველოში მომხდარი სიღრმისეული ცვლილებების შედეგიცაა. ბოლო წლებმა ცხადყო, რომ აშკარად არასრულყოფილია სახელმწიფო წყობა და მისი კარდინალური დემოკრატიზაციაა საჭირო. ეს უწინარეს ყოვლისა, ნიშნავს ფუნქციების გადანაწილებას ცენტრსა და რეგიონებს შორის რეგიონების სასარგებლოდ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჩვენთვის აუცილებელია ფედერალური სახელმწიფო მოწყობა. ცენტრი უნდა ზრუნავდეს მხოლოდ საქართველოს ერთიანი ეკონომიკური და თავდაცვითი სივრცის შენარჩუნებისათვის. დანარჩენი ფუნქციები რეგიონებს უნდა გადაეცეს.

**მესამე სტრატეგიული პრიორიტეტია დემოკრატიული ხელისუფლების სრულყოფა.**

საპრეზიდენტო რესპუბლიკიდან საპარლამენტო რესპუბლიკაზე გადასვლა;

ორპალატიანი პარლამენტის შექმნა;

აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების გაყოფის პრინციპის დამკვიდრება;

ხელისუფლებაზე კანონის უზენაესობა;

აი, დემოკრატიული საქართველოს ძირითადი ორიენტირები!

საზოგადოებრიობის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს საქართველოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის გამონათქვამები, საქართველოში მონარქიის, როგორც ძალაუფლების მორალური ავტორიტეტის, ინსტიტუტის აღდგენის იდეა იმის ანალოგიურად, როგორიც არის თანამედროვე დიდ ბრიტანეთში.

**მეოთხე პრიორიტეტია საზოგადოების დემოკრატიზაცია.**

საზოგადოების დემოკრატიზაცია ნიშნავს ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის ძალაუფლებრივ უფლებამოსილებათა გადანაწილებას საზოგადოების სასარგებლოდ.

ხელისუფლება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს იმ საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ინსტიტუტების შექმნის ქვემოდან წამოსულ ინიციატივებს, რომლებიც ნებაყოფლობით იკისრებენ ხელისუფლების ამა თუ იმ ფუნქციას – პირიქით, იგი ყოველმხრივ უნდა წაახალისებდეს ასეთ ინიციატივებს, უფრო სწორად, ვალდებულია ეს გააკეთოს.

უძველესი დემოკრატიული ტრადიციების მქონე ქვეყნების გამოცდილებამ ცხადყო, რომ თვითფორმირებადი საზოგადოება ბევრად უფრო ეფექტიანია ზემოდან მართულ საზოგადოებასთან შედარებით.

**მეხუთე პრიორიტეტია საქართველოს საგარეო პოლიტიკის დემოკრატიზაცია.**

საქართველოს საგარეო პოლიტიკის დემოკრატიზაცია ნიშნავს გარე სამყაროში საქართველოს თავისუფლების ხარისხის ამაღლებას.

საქართველოს საგარეო პოლიტიკა უნდა შეესაბამებოდეს მხოლოდ ქვეყნის მისი მოქალაქეების ინტერესებს. საქართველოს ინტერესები ნებისმიერი სხვა ქვეყნის – შეერთებული შტატების, რუსეთის და ყველა სხვა ქვეყნის ინტერესებზე მაღლა უნდა იდგეს.

საქართველო უპირველეს ყოვლისა!

სწორედ ასეთი მიდგომის შემთხვევაში ვიქნებით პატრიოტები!

ცნობილი პოლიტიკოსის გამონათქვამის პერიფრაზს მოვიყვან და ვიტყვი: საქართველოს არ ჰყავს მეგობრები, საქართველოს აქვს ინტერესები.

საქართველოს ორი ძირითადი გეოპოლიტიკური ინტერესია – რუსეთი და ამერიკის შეერთებული შტატები. რაოდენ აგრესიულიც უნდა იყოს რუსეთი, ის ჩვენი მეზობელია. რაოდენ ძლიერიც უნდა იყოს შეერთებული შტატები, ის ოკეანის გაღმაა.

ამერიკა ძლიერი და მეგობრულად განწყობილი ქვეყანაა, მაგრამ შორსაა. რუსეთი აგრესულია, მაგრამ ახლოსაა. საქართველოს ენერგორესურსებით მომარაგების პრობლემა ამ მოსაზრების აშკარა დასტურია.

სიმართლეს თვალი გავუსწოროთ და გულახდილად ვთქვათ: საქართველოს საგარეო პოლიტიკის არსი ბალანსირების პოლიტიკაში მდგომარეობს სხვადასხვა ქვეყნებთან ურთიერთობის დაბალანსებაში. ამიტომ ნატოში საქართველოს შესვლა და ევროკავშირში შემდგომი ინტეგრაცია მთლიანად შეესაბამება ქართველი ხალხის ძირითად ინტერესებს (თუმცა ეს არ უნდა მოხდეს ვინმეს ჯინაზე). ბალანსი ეს დინამიკური მდგომარეობაა და იგი ნაკლებად მყარია, ვიდრე სტატიკა, სამაგიეროდ ბევრად უფრო ეფექტიანია – ორთვლიანი ველოსიპედი ხომ სამთვლიანზე ბევრად სწრაფად მოძრაობს.

**მეექვსე პრიორიტეტია ძალაუფლების მემკვიდრეობითობა.**

ვერანაირი მოქმედება, რა სტრატეგიული მიმართულებისაც უნდა იყოს, ვერ იქნება შესაძლებელი, თუ ხვალინდელი დღის რწმენა არ გაქვს. ეს ლიტონი სიტყვები როდია.

ხელისუფლება, ელიტა, საზოგადოება, ხალხი დარწმუნებული უნდა იყვნენ, რომ ყველაფერი, რასაც დღეს აკეთებენ, ლოგიკურ გაგრძელებას პოვებს ხვალ – ხელისუფლებაში და ბიზნესში, კულტურასა და მეცნიერებაში, და საერთოდ ყოველდღიურ ცხოვრებაში.

რთულ გარდამავალ ეტაპზე, რომელზეც დღეს საქართველო იმყოფება, სტაბილურობის შესანარჩუნებლად ჩვენი მთავარი ამოცანაა შევინარჩუნოთ ძალაუფლების მემკვიდრეობითობა ყველა სახელისუფლებო ელიტაში: პოლიტიკოსების, სასულიერო პირების, მეწარმეების, სამხედროების, სპეცსამსახურების წარმომადგენლების, ჟურნალისტების.

ჩვენი უახლოესი მეზობლის რუსეთის მაგალითზე ვხედავთ, თუ რა დამანგრეველ შედეგებთან მიიყვანა იგი ელცინის ცდამ თავის მემკვიდრედ პუტინი გაეხადა. ვალდებული ვართ ეს გაკვეთილი გავითვალისწინოთ და არ გავიმეოროთ რუსეთის შეცდომა.

უკვე არსებული მიღწევები რომ არ დავკარგოთ და რეფორმების გზით წინსვლა განვაგრძოთ, ქვეყანაში არსებულმა ყველა ელიტამ უნდა მიიღოს გარანტია, რომ ნებისმიერი რევოლუციის თანამდევი შეცდომები შემდგომი საპარლამენტო არჩევნების შემდეგ შანტაჟის ინსტრუმენტად არ იქნება გამოყენებული.

ეს შესაძლებელია მხოლოდ ერთადერთ შემთხვევაში – თუ რევოლუციურ ეტაპს წერტილს დავუსვამთ და მის შედეგებს ვაღიარებთ. და ეს კანონის დონეზე უნდა გაფორმდეს. აქხაზი უნდა გავუსვათ, რომ აღნიშნული გადაწყვეტილებების გარანტი, საქართველოს გარდა, უნდა იყოს ამერიკის შეერთებული შტატები და არა რუსეთი ან თუნდაც ევროპის ქვეყნები.

ელიტების მემკვიდრეობითობა შესაძლებლობას მოგვცემს ანალოგიურს საზოგადოების სხვა ფენებშიც მივაღწიოთ.

განსაკუთრებით აღვნიშნავ: მიუხედავად იმისა, რომ ეს პრიორიტეტი ბოლო ვახსენე, წინა ხუთი პრიორიტეტი ვერ განხორციელდება, თუ არ იქნა უზრუნველყოფილი ძალაუფლების მემკვიდრეობითობა სახელისუფლებო ელიტებში.

# დღევანდელობა

● ეკლესიას აქვს თავისი გზა – ქვეყნის ეროვნული და ქრისტიანული ღირებულებების დაცვა. ეს უნდა გავაგებინოთ ყველას



## ◎ ინფორმაცია

### კოკოითი სააკაშვილთან შეხვედრას ითხოვს

სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს სერგეი ლავროვს შეხვდა.

როგორც ცხინვალის ინფორმაციისა და ბეჭდვითი სიტყვის ე. წ. სახელმწიფო კომიტეტი იუწყება, კოკოითი რუსეთისა და ეუთოს მონაწილეობით საქართველოს პრეზიდენტთან მიხეილ სააკაშვილთან შეხვედრის ორგანიზების საკითხს დააყენებს.

### კარასინმა და შამბამ აფხაზეთზე ისაუბრეს

აფხაზეთის დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინთან კოსოვოს დამოუკიდებლობის მოსალოდნელი გამოცხადების გარშემო შექმნილი ვითარება განიხილა.

როგორც რუსეთის საგარეო უწყების ოფიციალური ვებგვერდი იუწყება, შეხვედრაზე აღინიშნა, რომ რიგი სახელმწიფოების მიერ კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარება ორმაგი სტანდარტების გამოვლინება იქნება. ამ კონტექსტში მხარეებმა მოსკოვისოხუმის მომავალ ურთიერთობებზეც ისაუბრეს.

კარასინმა და შამბამ 18-19 თებერვლისთვის ჟენევაში დაგეგმილ შეხვედრასთან დაკავშირებული საკითხებიც განიხილეს და აღნიშნეს, რომ თბილისს კონფლიქტის მშვიდობიანად დარეგულირების რეალისტური სტრატეგია არა აქვს. მათ მიაჩნიათ, რომ ქართული მხარე მოლაპარაკებების ჩიხიდან გამოყვანის შესახებ საერთაშორისო თანამეგობრობის რეკომენდაციებს არ ითვალისწინებს.

შამბას განცხადებით, აფხაზური მხარე მზად არის, მოლაპარაკებათა პროცესის წინსვლისთვის გაეროსთან თანამშრომლობა გააგრძელოს.

18-19 თებერვალს ჟენევაში გაეროს გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფის შეხვედრაა დანიშნული, რომელზეც აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების თემა განიხილება.

ინტერპრესნიუსი

## ◎ ახალი მოძრაობა

# ეკლესია, უპირველესად, სულის სამკურნალო დაწესებულებაა

***ქვეყანაში დაძაბულ პოლიტიკურ-სოციალურ ფონზე, უამრავი პოლიტიკური პარტიის გვერდით, ახალი აპოლიტიკური მოძრაობა შეიქმნა. საპატრიარქოს მხარდაჭერით ჩამოყალიბებული „ეროვნულ-ქრისტიანული მოძრაობის“ დანიშნულებაზე, მთავარ პრინციპებსა და ამოცანებზე, ამ მოძრაობის ლიდერი გიორგი ანდრიაძე გვესაუბრება.***

— ჩვენი მოძრაობის სახელწოდებიდან ნათლად ჩანს ჩვენი მთავარი ღირებულებები და პრინციპები, ესაა ეროვნული, ქრისტიანული ღირებულებების დაცვა, ლობირება და ამის შესახებ საზოგადოებაში საგანმანათლებლო საქმიანობის წარმართვა. ჩვენი საპროგრამო მასალა არის პატრიარქის ეპისტოლეებში გაჟღერებული ყველა ის თემა, რომელიც კრებულის სახით არსებობს. ამ ეპისტოლეების იქით არ მივდივართ. ბოლო ხუთი წლის მანძილზე ამ ეპისტოლეებში პატრიარქის მიერ გამოთქმულია თეზისები, ჩვენი ორგანიზაცია მათი ცხოვრებაში რეალიზაციის მიზნით შეიქმნა.

**— თქვენი ამოცანებიდან გამომდინარე, როგორი იქნება ეროვნულ-ქრისტიანული მოძრაობის კონკრეტული საქმიანობა?**

— ძირითადად, ვაწარმოებთ საგანმანათლებლო საქმიანობას. ქართველ ერს ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი აქვს გადასაწყვეტი, როგორიცაა მაგალითად, კონსტიტუციური მონარქიის შექმნა. ამას სჭირდება ახსნა-განმარტებები და ხალხისთვის მიწოდება. ასევე, ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა. დღეს ისმის მოსაზრებები ქვეყნის ფედერაციული მოწყობის შესახებ, რომელსაც ჩვენ ვეწინააღმდეგებით. მნიშვნელოვანია სახელმწიფო რესურსების, ძირითადად წყლის რესურსების საკითხი, რომლის გასხვისების თაობაზე ეკლესია ყოველთვის უარყოფით აზრს გამოხატავდა. სამწუხაროდ, ეს რესურსები გასხვისდა და დაძაბული პოლიტიკური ფონის გამო, საზოგადოებამ ამ საკითხებისთვის ვერ მოიცალა. მნიშვნელოვნად მიგვაჩნია სხვა თემებიც, როგორიცაა: პატიმრების, ჯარისკაცების მდგომარეობა, ნარკომანიის, აბორტის თემები; ჩვენი ახალგაზრდების ზნეობრივი აღზრდის საკითხები, რომლებიც უმთავრესი საფუძველია ჯანსაღი საზოგადოების შექმნისა. ამ ყველაფერს სჭირდება საგანმანათლებლო საქმიანობა. არსებობს არაპოლიტიკური ტელემაუწყებლობა „ივერია“, რომლის მიზნებიც ემთხვევა ჩვენი ორგანიზაციისას, და სწორედ ამ არხის საშუალებით (თუ სხვა არხებიც დაგვითმობენ დროს ხომ უკეთესი), შევეცდებით, რომ საზოგადოება ამ ღირებულებებით გაჯერდეს.

**— მიუხედავად თქვენი მოძრაობის არაპოლიტიკურობისა, რაღაცნაირად, მაინც მოგიწევთ, ალბათ, პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართვა?**

— რა თქმა უნდა. ჩვენს მიერ ჩამოთვლილი თემები წმინდა პოლიტიკურია, მაგრამ თვითონ ორგანიზაცია არ არის პოლიტიკური, ანუ არ ვისახავთ მიზნად არჩევნებს, პოლიტიკურ დებატებს და ა. შ.

**— ე. ი. საგაზაფხულო არჩევნებში თქვენი მონაწილეობა გამორიცხულია?**

— საერთოდ, გამორიცხული არაფერია. იყო ხოლმე ომები, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ ჯარები, მაგრამ იყო ომები, სადაც ქუდზე კაცი აგმოდიოდა... გააჩნია, თუ ქვეყანა ისე დაიქცა და ისე ცუდად წავიდა ყველაფერი, რომ ჩვენი პოლიტიკაში ჩართვა საჭირო გახდა, მაშინ ვერაფერს გამოვრიცხავთ. ამ ეტაპზე, ჩვენი მიზანია, რაც შეიძლება პოლიტიკისაგან შორს იყოს ეროვნულ-ქრისტიანული მოძრაობა. ვგულისხმობ საარჩევნო პოლიტიკას, თორემ ის საკითხები, რომლითაც ჩვენ ვართ დაინტერესებული, პოლიტიკაა. ჩვენ თვალებს ვერ დავხუჭავთ იმაზე, რომ განათლების რეფორმა ისე არ განვითარდეს, როგორც აქამდე მიდიოდა, მოხდეს სახელმწიფო რესურსების გასხვისება. ისეთი სტრატეგიული რესურსის მნიშვნელოვანი ნაწილი, როგორიცაა წყალი (ქართველი ერის თითქმის ერთადერთი სიმდიდრე), სამწუხაროდ დღეს კერძო სექტორის ხელშია. გასაყიდად გამოტანილი ნებისმიერი სტრატეგიული რესურსი შეიძლება არაკეთილსინდისიერი მეპატრონის ხელში აღმოჩნდეს. ამიტომ, ვფიქრობ, ქვეყნის სტრატეგიული მნიშვნელობის რესურსები არ უნდა იყიდებოდეს. ვიმეორებ, ის ყველაფერი პოლიტიკური საკითხია. ასე რომ, ვისაუბრებთ და განვიხილავთ ყველა საჭირბოროტო საკითხს, ვიმოქმედებთ მასმედიის და ყველა იმ კონკრეტული საშუალებით, რომელიც ამა თუ იმ საკითხისათვის იქნება საჭირო.

**— რატომ გახდა საჭირო თქვენი მოძრაობის შექმნა სწორედ ახლა?**

— სწორედ ახლა იყო საჭირო და ცოტა ადრეც უნდა შეგვექმნა ასეთი მოძრაობა. საპრეზიდენტო არჩევნების წინაც გვინდოდა ამის გაკეთება, ვინაიდან ეროვნულ-ქრისტიანული ღირებულებების დაცვა უპირველესად გულისხმობს ეკლესიის ინტერესების დაცვას. ეკლესიის დაცვაში მხოლოდ ანტიქრისტიანული ძალებისაგან დაცვა არ იგულისხმება. საქმე ისაა, რომ ქვეყანაში შექმნილმა მწვავე პოლიტიკურმა დაპირისპირებამ მოახდინა საზოგადოების დაპირისპირება. ყველა პოლიტიკური ძალა დაინტერესებული იყო რელიგიური თემების და ეკლესიის სათავისოდ გამოყენებისათვის. ეკლესია აღმოჩნდა რთულ მდგომარეობაში. ის დარტყმებს იღებდა როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდან. მაგალითად, მთელი საარჩევნო პერიოდი ლაპარაკობდნენ, თითქოს არჩევნების წინ პატრიარქმა განაცხადა, მარხვის დროს მიეძალეთ წიწიბურას ანუ „გრეჩიხასო“. მერე „ბოკერია დააგორეს კიბეებიდან“ და თითქოს ამით მიანიშნებდნენ, რომ ეკლესია დგას ოპოზიციურ მსოფლმხედველობაზე. პატრიარქი მიბრძანდა, წესისამებრ, ინაუგურაციაზე, ეს კი ოპოზიციამ აღიქვა, როგორც ხელისუფლების ერთმნიშვნელოვანი მხარდაჭერა. ამ პოლიტიკურ დარტყმებზე პასუხის გაცემაა საჭირო. ეკლესიას არაფერი აქვს გასამართლებელი და არც უნდა იმართლოს თავი. ამიტომ, ერთ-ერთ საზრუნავად გვექნება ჩვენს ძმებს და დებს ავუხსნათ, რომ მიუხედავად მწვავე პოლიტიკური კონფრონტაციისა, უნდა შევინარჩუნოთ ეკლესია, როგორც ჩვენი ერის ერთიანობის მთავარი ინსტიტუტი. ეს არის ეკლესიის ფუნქცია. დღეს, თუ იგი რომელიმე პარტიის გვერდით აღმოჩნდა, მაშინ ეკლესია ავტომატურად კარგავს ამ ფუნქციას. მოდის საპარლამენტო არჩევნები და ისევ აქტუალური გახდება ეკლესიის თემით მანიპულირება. ჩვენი მთავარი მიზანი იქნება, ეკლესიამ შეინარჩუნოს პოლიტიკური ნეიტრალიტეტი. შეინარჩუნოს ისე, რომ ეს ნეიტრალობა გასაგები იყოს ჩვენი საზოგადოებისთვის. ხელისუფლების და ოპოზიციისთვის გამაღიზიანებელი არ იყოს ეკლესიის ნეიტრალურობა. ამ ყოველივემ გამოიწვია ეროვნულ-ქრისტიანული მოძრაობის შექმნის საჭიროება.

**— მოძრაობის აპოლიტიკურობის მიუხედავად, საინტერესო იქნება თქვენი თუნდაც მოქალაქეობრივი პოზიცია ქვეყანაში გამწვავებულ პოლიტიკურ ვითარებაზე.**

— ხელისუფლების პოლიტიკის მიმართ, რბილად რომ ვთქვა, ძალიან კრიტიკულად ვარ განწყობილი. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მე რომელიმე ოპოზიციური პარტიის მსოფლმხედველობას ვიზიარებ. ასეთ შემთხვევაში, მე მათ რიგებში ვიქნებოდი.

**— ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის მოლაპარაკებები ისევ ჩიხში შევიდა. თქვენი აზრით, რა არის გამოსავალი?**

— ეს წმინდა პოლიტიკური საკითხია და მე ამაზე ჩემს პოზიციას ვერ გამოვხატავ. მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გამოვხატოთ ჩვენი პოზიცია, თუკი ხელისუფლება და ოპოზიცია, ეს ორი მხარე მოინდომებს. ჩვენ ვართ პოლიტიკის ზევით და ამ დაპირისპირებაში არ ვერევით. თუ ვინმეს დასჭირდება, არსებობს ინსტიტუცია — ეკლესია (ის ადრეც რამდენჯერმე გამოიყენეს). თუ ასევე საქმიანად დასჭირდებათ ნეიტრალური ძალა, ვაცხადებ, რომ ჩვენ ვართ ასეთი ნეიტრალური ძალა. თუკი მოუნდებათ ასეთი ბერკეტის გამოყენება, კი ბატონო, ჩვენ მზად ვართ, მაგრამ ეს უნდა უნდოდეთ დაპირისპირებულ მხარეებს.

**— ანუ მხარეებს შორის დაპირისპირების მოგვარებისთვის მზადყოფნას ვერ ხედავთ?**

— ვერ ვხედავ. მე ვხედავ, რომ ორივე მხარეს აქვს მკვეთრად გამოხატული რადიკალური პოზიცია. ჩვენთვის ძალიან გულსატკენი იქნება პროცესების გამწვავება, მაგრამ ჩვენი მიზანია, ნებისმიერ ასეთ სიტუაციაში, გადავარჩინოთ ერის გამაერთიანებელი ინსტიტუცია — ეკლესია. ვიმეორებ: ვერავინ დაამტკიცებს, რომ ეკლესიას რომელიმე დაპირისპირებული ძალის პოზიცია დაუფიქსირებია. ეკლესიას აქვს თავისი გზა — ქვეყნის ეროვნული და ქრისტიანული ღირებულებების დაცვა. ეს უნდა გავაგებინოთ ყველას და ვისაც ეს ესმის, მოვუწოდებთ: ამ დაპირისპირების დროს ერთობლივად დავიცვათ და გადავარჩინოთ ჩვენი ინსტიტუცია. ნუ მოვთხოვთ მას რომელიმე პოლიტიკურ პოზიციაზე დადგომას. ეს იგივე იქნება, საავადმყოფოს მოვთხოვოთ პოლიტიკური პოზიცია. ეკლესიაც, უპირველესად, სულის სამკურნალო დაწესებულებაა.



ესაუბრა
**თამარ ბუზალაძე**

# მოგვისმინეთ!

**ამ ყოვლისშემძლე მარადიულ ეთნოსს – „ქართველთა მზიურ მოდგმას“ ხელისუფლებამ დღეს ანგარიში უნდა გაუწიოს და საბაზრო ეკონომიკის მრავალი ველური კანონი „შოკური თერაპიით“ თავზე არ უნდა მოახვიოს**



## სტრატეგიული ობიექტების პრივატიზება

2007 წლის დეკემბრის დასასრულს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ შპს „საქართველოს რკინიგზის“ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული წილის გასხვისების მიზნით „ინტერესთა გამოხატვა“ გამოაცხადა.

პრეტენდენტს უნდა წარმოედგინა საწარმოს შესასყიდი ფასი და განვითარების გეგმა (განსახორციელებელი ინვესტიციების სიდიდე ვადების მითითებით).

გასაყიდად შეთავაზებული იყო შპს „საქართველოს რკინიგზის“ მთელი სისტემა: თბილისის რკინიგზის საკვანძო ვაგზალი (მოსკოვის გამზირი, 2), ქუთაისის, ზესტაფონის, წყალტუბოს, ფოთის, ქობულეთის, ზუგდიდის და ა.შ. რკინიგზის სადგურები, სასაწყობო შენობა-ნაგებობანი, ყოველგვარი სხვა შენობა-ნაგებობა და მოწყობილობა, ლოკომოტივები, თბომავლები, ელმავლები, დასასრულ, აგრეთვე, შპს „საქართველოს რკინიგზის“ ადმინისტრაციული შენობა და საინფორმაციო-გამოთვლითი ცენტრი თბილისში (თამარ მეფის გამზირი, №15).

განცხადების ჩამონათვალში რკინიგზის ლიანდაგის მიყიდვა არ არის მითითებული. სავარაუდოა, რომ ის სახელმწიფო საკუთრებაში რჩება („სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის შესაბამისად, იმ ქონების ჩამონათვალში, რომელიც პრივატიზებას არ ექვემდებარება, მითითებულია, აგრეთვე, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის რკინიგზის ლიანდაგი და მასთან დაკავშირებული სიგნალიზაციის, ტელეკომუნიკაციის, დისპეტჩერიზაციისა და ენერგომომარაგების სისტემები).

საყურადღებოა, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-3 მუხლის თანახმად **„მხოლოდ საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება ... ი) საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ნავსადგურები, აეროპორტები და აეროდრომები; კ) სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის რკინიგზა და საავტომობილო გზები“.**

მაშასადამე, საერთო-სახელმწიფოებრივი რკინიგზის ლიანდაგი და მასთან დაკავშირებული უმნიშვნელოვანესი კომუნიკაციები, აგრეთვე საავტომობილო გზები, ნავსადგურები, აეროპორტები, აეროდრომები, თვითმფრინავების ფრენის მართვის სისტემები და ასაფრენ-დასაფრენი ზოლები **ქვეყნის კონსტიტუციისა და სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ კანონის თანახმად არ შეიძლება პრივატიზებულ იქნას.**

ამრიგად, უნდა ვიგულისხმოთ, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ საქართველოს რკინიგზისა და ფოთის ნავსადგურთან დაკავშირებით გამოცხადებული „ინტერესთა გამოხატვის“ კონკურსები ამ ქონების მხოლოდ იჯარით გაცემას გულისხმობს (თუმცა ეს ასე ნათლად დეკლარირებული არ არის, რაც საზოგადოებაში მრავალგვარ მითქმა-მოთქმას იწვევს).

„ინტერესთა გამოხატვის“ პირველი ტური კონკურსის გამოცხადებიდან ერთი თვის შემდეგ, 2008 წლის 25 იანვარს გაიმართა.

„ინტერესები“ წარმოადგინა ხუთმა იურიდიულმა პირმა: „ცენტრ ინვესტ კეპიტალ პარტნერს“-მა, „სტრეტონ ჰოლდინგ“-მა, „ქეფიტალ ინვესტმენტს“-მა, „ინტერქეფიტალ“-მა და „ბილდ როუდ“-მა.

საყურადღებოა, რომ ამავე დღეს დასახელდნენ კომპანიები, რომლებიც ფოთის საზღვაო ნავსადგურის იჯარით ასაღებად და ნავსადგურის ტერიტორიაზე თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შესაქმნელად გამოცხადებულ „ინტერესთა გამოხატვის“ კონკურსის მეორე ტურში მონაწილეობდნენ. ესენია: „დუბაის პორტი და ჯაფზა“, „პაჩისონ ვესტპორტი“, „ჰამბურგერ ჰაფერ და ლოჯისტიკი“ და „რაკ ინვესტმენტი“ (2008 წლის 2 თებერვლის ინფორმაცია).

ასევე გამოცხადებულია „ინტერესთა გამოხატვის“ კონკურსი ყულევის ნავთობტერმინალის მშენებლობის დამთავრებისა და საექსპლუატაციოდ გადასაცემად და ასე შემდეგ და ასე შემდეგ...

სახელმწიფოს მიერ საკვანძო ეკონომიკური (და, იცოცხლეთ, პოლიტიკურიც!) მნიშვნელობის ობიექტების გასხვისება მსოფლიო პრაქტიკაში იშვიათი როდია. უფრო ზუსტად, არამარტო გასხვისება, არამედ ასეთი ობიექტების კერძო პირების მიერ აშენება და შემდეგ დადგენილი წესით ექსპლუატაცია. მაგალითად ავილოთ, ვთქვათ, აშშ, სადაც სახელმწიფოს საკუთრებაშია რკინიგზისა და ელექტროენერგეტიკის დარგების მხოლოდ მეოთხედი და მთლიანად ფოსტა. ამ დარგების დანარჩენი წილი, აგრეთვე გაზის, ნავთობის, ქვანახშირის, ფოლადსადნობი, საავტომობილო, გემთმშენებლობის მრეწველობათა, საჰაერო ტრანსპორტისა და ტელეკომუნიკაციების დარგები მთლიანად კერძო საკუთრებაშია.

მეტ-ნაკლებად ასეთივე სურათია იაპონიაში, კანადაში, ნაწილობრივ ავსტრალიასა და გერმანიაში.

რაც შეეხება ავსტრიას, აქ პირიქით, თითქმის ყველა ჩამოთვლილი დარგის 3/4-ზე მეტი სახელმწიფო საკუთრებაშია მოქცეული, დარგების მეტი წილი ასევე სახელმწიფო საკუთრებაშია დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში, იტალიასა და ზოგიერთ სხვა სახელმწიფოში.

მართალია, საერთო აღიარებით, სახელმწიფო საკუთრებაში მყოფ საწარმოთა ეფექტიანობა, როგორც წესი, ჩამორჩება კერძო საკუთრების სექტორის ეფექტიანობას, მაგრამ, როგორც ჩანს, მაღალი საზოგადოებრივი მენტალიტეტი და მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური დაცულობის დონე იქ მაინც მაღალ დასაქმებასა და საჭირო რენტაბელობას უზრუნველყოფს. ეს სავსებით შეესაბამება ამ სახელმწიფოებში ჩამოყალიბებულ სოციალური დაცულობის ისტორიულ ტრადიციებს.

ჩვენთან რა ხდება?

საქართველოში კერძო საკუთრება, როგორც საბაზრო ეკონომიკისა და ქვეყნის ძლიერების საფუძველი, დღეს, ისტორიულად შემჭიდროებულ ვადაში ყალიბდება. ქვეყანაში უმსხვილესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ობიექტებს გარდა სახელმწიფო ქონების გასხვისება (კერძო სექტორისთვის მიყიდვა-გადაცემა) მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, მშენებლობაში, ვაჭრობაში, საავტომობილო ტრანსპორტში, კომუნალურ და საყოფაცხოვრებო მომსახურებაში, ტელეკომუნიკაციებში, საბანკო-საფინანსო სექტორში ფაქტობრივად დასრულებულია. ამჟამად ამ დარგებში ინვესტიციების მოზიდვისა და კონკრეტული სამუშაო ადგილების ჩამოყალიბების ძნელი და წინააღმდეგობრივი პროცესი მიმდინარეობს, რაც სავსებით შესაძლებელია, გახანგრძლივდეს (და ეს ბუნებრივიც იქნება). ქვეყანაში ფაქტობრივად ახალი სოციალურ-პოლიტიკური სისტემის შესაბამისი ეკონომიკური საფუძველი იქმნება, საფუძველი, რომელიც დასავლეთის სახელმწიფოებში ისტორიულად ბუნებრივ(!) ვადებში, მეტ-ნაკლებად უმტკივნეულოდ ჩამოყალიბდა.

რაღა დარჩა საქართველოში გასაყიდი და კერძო სექტორისთვის გადასაცემი?

დარჩენით ჯერ კიდევ ბევრი წვრილმანია დარჩენილი (მოგეხსენებათ, ყველაფერი ეს ქვეყანაში 70 წლის მანძილზე იქმნებოდა) და ქვეყნის მოსახლეობის სილარიბის გათვალისწინებით ეს პროცესი კიდევ რამდენიმე წელი გაგრძელდება. რაც ხელისგულზე იდო, ფასეული და სწრაფად გასაყიდი იყო, ის უკვე გაყიდულ-გასხვისებულია. ხოლო რაც დარჩა, მისი ჩამონათვალი საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ინტერნეტით თავის საიტზე აქვს გამოცხადებული.

მაგრამ ხელისუფლებას ბევრი, ძალზე ბევრი პრობლემა დაუგროვდა, რომელთა დაფინანსების წყარო სახელმწიფო ბიუჯეტია. დარჩენილი სახელმწიფო ქონების პრივატიზაციიდან შემოსავალი არსებითად იმდენად მცირე იქნება, რომ სერიოზულ საბიუჯეტო შემოსავლად ვერ მიიჩნევა. ამიტომ ხელისუფლებამ ამჟამად თავისი „ხედვა“ სახელმწიფოსთვის ისეთ უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ ობიექტებს მიაპყრო, როგორიც გახლავთ რკინიგზა, საზღვაო ნავსადგურები, აეროპორტები, ტერმინალები, მიწა, წიაღისეული, ტყის მასივები...

ჩვენ ზემოთ მივუთითეთ იმ საკანონმდებლო ნორმებზე, რომელთა საფუძველზე ასეთი ქონების გაყიდვა იკრძალება. მათ ერთხელ კიდევ გავიმეორებთ:

საქართველოს კონსტიტუციისა და სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად **იკრძალება** საერთო-სახელმწიფოებრივი რკინიგზის ლიანდაგისა და მასთან დაკავშირებული სასიცოცხლო კომუნიკაციების, საავტომობილო გზების, ნავსადგურების, აეროპორტების, აეროდრომების, თვითმფრინავების ფრენის მართვის სისტემებისა და ასაფრენ-დასაფრენი ზოლების, აგრეთვე ტყის ფონდის, დაცული ან განსაკუთრებული წესით გამოსაყენებელი ბუნებრივი ტერიტორიების პრივატიზაცია.

მაშასადამე, სანამ კანონმდებლობის ეს ნორმები არ შეცვლილა(!), დასაშვებია მხოლოდ ჩამოთვლილი ქონების თუნდაც გრძელვადიანი იჯარით გაცემა და არა გასხვისება-გაყიდვა. რკინიგზის ლიანდაგები და თვითმფრინავების ასაფრენ-დასაფრენი ზოლები ამ სტრატეგიული ობიექტების სწორედ ისეთი კომპონენტებია, ურომლისოდაც ამ ობიექტების ფუნქციონირება გამორიცხულია. ცხადია, ამ კომპონენტების მესაკუთრე სახელმწიფო ამით მთლიანად ობიექტების მუშაობას აკონტროლებს, თუმცა ქვეყნის ხელისუფლების შემზღუდავი ქმედებით უკმაყოფილო ინვესტორ-მესაკუთრემაც საპასუხოდ შეიძლება მთლიანად ობიექტის ფუნქციონირების დესტაბილიზაციას მიაღწიოს.

# ქართველი ხალხისა და სახელმწიფოს კუთვნილი ქონება ასე ხელაღებით არ უნდა გაიყიდოს!

ეს გარემოება აუცილებლად გასათვალისწინებელია.

ამასთან ერთად, თუ საქართველოს დღევანდელ პოლიტიკურ ვითარებას, ძირძველი ტერიტორიების დროებით (იმედი ვიქონიოთ) დაკარგვას და, ყოველივე ამის გამო, რუსეთთან გამწვავებულ ურთიერთობას გავითვალისწინებთ, **საქართველოს რკინიგზისა და ფოთის ნავსადგურის ნებისმიერი ფორმით პრივატიზება ან თუნდაც გრძელვადიანი იჯარით გაცემა მაინც გადაჭრით უნდა უარვყოთ, რადგან არსებობს იმის დიდი ალბათობა, რომ ყველაფერი ეს პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით ხელში რუსულ კომპანიებს ჩაუვარდებათ.**

**პირადული და მოკლევადიანი მიზნებით ქვეყნის სტრატეგიული ობიექტების გამოყენების უფლება არავის არ უნდა მიეცეს!**

არ შეიძლება განსაკუთრებით არ აღინიშნოს ქვეყნის მოსახლეობის უაღრესად გაღიზიანებული დამოკიდებულება ჩამოთვლილი სტრატეგიული ქონების პრივატიზებისადმი.

მოსახლეობის უმეტესი და ღარიბი ნაწილი მეტად მტკივნეულად განიცდის გასულ წლებში ე.წ. „საერთო-სახალხო“ ქონების მიტაცება-ძარცვის ფორმით პრივატიზაციის შედეგებს და მას აშკარა უსამართლობად და სოციალურ ჩაგვრად მიიჩნევს.

დღეს იგივე კეთდება ყველა კატეგორიის მიწის მისაკუთრება-პრივატიზების საქმეში, სადაც მრავალი უსამართლობაა.

ასეთ პირობებში ტყისა და სხვა ბუნებრივ სიმდიდრეთა პრივატიზაციის პროცესის დაწყება დაუშვებელია!

მიწასთან, წყალთან, ტყესთან და საერთოდ ბუნებრივ სიმდიდრესათან მოსახლეობის დამოკიდებულება ტრადიციულად განსხვავდება სხვა სახის სიმდიდრისადმი დამოკიდებულებისაგან.

ჯერ კიდევ 1880 წელს დიდი ილია ჭავჭავაძე ამბობდა: „ტყისა და მინდვრის განსაკუთრება ხომ ყოვლად შეუძლებელი იყო და დღესაც აქამომდე ჩვენის ხალხის გონებაში ვერა თავსდება ის აზრი, რომ ტყე და მინდორი საკუთრება იყოს ვისიმე და არა სამსოფლო“.

დიახ, ჩვენში ტყე, მინდორი, მდინარე, სანადირო ადგილები და ა.შ. ყოველთვის სათემო დანიშნულებისა იყო და სოფლის (თემის) მოსახლეობა მას ერთობლივად იყენებდა.

დღეს, ზოგადად, ქვეყნის მოსახლეობამ იცის, რომ საბაზრო ეკონომიკის რიგ ქვეყნებში ეს ბუნებრივი სიმდიდრე განკერძოებულია და, ვთქვათ, ტყეს ბევრგან კერძო მესაკუთრე ჰყავს. ხალხმა ბევრი რამ ისწავლა სასოფლო-სამეურნეო მიწის პრივატიზების მაგალითზე, ისწავლა ცუდიც და კარგიც. ამასთან, მან იცის, რომ ჩვენ ძნელად მისაღწევ უკეთესობისკენ მივემართებით...

მაგრამ დღეს, საქართველოში საძოვრის, მინდვრის, ტყის და ა.შ. ყიდვა-გაყიდვა, კერძო საკუთრებაში გადაცემა, მათი შემოღობვა და „სხვათა“ ხელყოფისაგან „დაცვა“ მეტისმეტად ნაადრევი ნაბიჯი იქნება. რა თქმა უნდა, ამ სიმდიდრეთა დიდ ნაწილს, გარდა ნაკრძალი ტერიტორიებისა, მომავალში კერძო პატრონი და „დამცველი“ გამოუჩნდება, მაგრამ ხელისუფლება დღეს როგორმე უნდა ეცადოს, რომ ეს პროცესი შეძლებისამებრ გაიწელოს და მოსახლეობას მისდამი ნელ-ნელა შეჩვევის (ბუნებრივი ადაპტირების) შესაძლებლობა მიეცეს. დღეს არათუ მისაკუთრებას, მოსახლეობა სვანეთის, სამეგრელოს და სხვა რეგიონების ხეტყის უმოწყალოდ გაჩეხვასაც მძიმედ განიცდის და ხელისუფლების მხრივ უყურადღებობას უჩივის...

საქართველო ჭეშმარიტად დღემდე სწორედ მისმა ხალხმა (მოსახლეობამ) შეინახა, ხალხმა, რომელიც ისტორიას ჰქმნიდა და მრავალი მისი მეფისა და თავად-აზნაურის მსგავსად სამშობლოს არ ტოვებდა. სწორედ ქართველი ხალხი იყო ის მარადიული ეთნოსი, რომელსაც დიდებულმა კოტე მაყაშვილმა (1875-1927 წწ.) ასე ღრმად შთაგონებული სტრიქონები უძღვნა:

„მარადი ცეცხლი ვარ მე, –
ქართლოსის მხურვალე თესლი!
აზიის გულიდან, იქ,
სადაც ღმერთები იშვნენ,
სადაცა ადამის ტომს
პირველი აკვანი ედგა –
იქიდან მოვდივარ და
სავალი ბევრი მაქვს კიდევ!
ფესვები მაგარი მაქვს, –
მიწის ღერძს ჩასჭიდეს ბრჭყალი! –
ვერაფერს დამაკლებს დრო,
ვერავინ დამითვლის დღეებს.
სწრაფვა და სიცოცხლე ვარ, –
მსოფლიოს ზრახვათა მჩენი,
ბრძოლისთვის მოვედი აქ,
ბრძოლისთვის ხელახლა მოვალ,
უკვდავი, უშრეტი, ვით
ქართველთა მზიური მოდგმა.“

ამ ყოვლისშემძლე მარადიულ ეთნოსს – „ქართველთა მზიურ მოდგმას“ ხელისუფლებამ დღეს ანგარიში უნდა გაუწიოს და საბაზრო ეკონომიკის მრავალი ველური კანონი „შოკური თერაპიით“ თავზე არ უნდა მოახვიოს. ქართველი ხალხი ასეთ ყურადღებასა და პატივისცემას სავსებით იმსახურებს. ეს მან როგორც წარსულში, ისე აწმყოში მრავალჯერ დაამტკიცა!

**ამირან გაბისონია**

● უდავოა, რომ სტრატეგიული თვალსაზრისით საქართველოში ყველაზე მნიშვნელოვანი ობიექტი რკინიგზაა



◉ ხელისუფლების საყურადღებოდ!

# რკინიგზის პრივატიზაცია დაუშვებელია!

საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, გეოსტრატეგიული მნიშვნელობა, უპირველეს ყოვლისა, მისი ადგილმდებარეობითაა განპირობებული. ქვეყნის სტრატეგიული ინტერესების პრაქტიკული განხორციელებისას ადგილმდებარეობის სრულფასოვანი გამოყენება კი იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ქვეყანას ექნება განვითარებული სატრანსპორტო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა და მისი ეფექტური მართვის სისტემა. ამ მხრივ, უდავოა, რომ სტრატეგიული თვალსაზრისით საქართველოში ყველაზე მნიშვნელოვანი ობიექტი რკინიგზაა.

პოლიტიკური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, რკინიგზის მართვას უნდა აკონტროლებდეს სახელმწიფო და ამ ობიექტის მართვით არეგულირებდეს ურთიერთობას მეზობელ ქვეყნებთან. საქართველოს, როგორც სატრანსპორტო-საკომუნიკაციო დერეფანს, მხოლოდ მაშინ აქვს აზრი და პოლიტიკური თუ ეკონომიკური დატვირთვა, თუ საგარეო პოლიტიკის ჭრილში ქვეყნის ხელისუფლება ასეთი ობიექტების მეშვეობით მოახერხებს მიღებული სტრატეგიული გადაწყვეტილებების რეალიზაციას.

საქართველოს ხელისუფლების დანაშაულებრივი გადაწყვეტილება რკინიგზის პრივატიზაციის შესახებ ჩვენ დაუშვებლად მიგვაჩნია შემდეგი სახელმწიფოებრივი და ეროვნული მნიშვნელობის ძირითადი საფრთხეების გამო:

1. საქართველოს სტრატეგიული როლის დაკარგვა ან მისი მკვეთრი შემცირება;

2. სხვა ქვეყნების ინტერესთა დაუბალანსებლობა და აქედან გამომდინარე მძიმე პოლიტიკური თუ სხვა სახის პრობლემები;

3. სხვა ქვეყნების მიერ საქართველოს რკინიგზის გამოყენება თვითონ საქართველოს პოლიტიკური და, განსაკუთრებით, ეკონომიკური ინტერესების საზიანოდ;

4. საქართველოს მოსახლეობისათვის მომსახურებისა და წარმოებებისათვის ტარიფის ზრდა, რისი მაგალითებიც უკვე უხვად გვაქვს პრივატიზებულ ობიექტებზე (ასე, მაგალითად, ენერგეტიკული ობიექტების გაყიდვამ გამოიწვია დენისა და გაზის ტარიფების კატასტროფული ზრდა, რამაც საქართველოს წარმოებები თავისთავად გახადა არაკონკურენტუნარიანი, მძიმე ტვირთად დააწვა მოსახლეობას და შესამჩნევად დაძაბა სოციალური ფონი და სხვ.ძ.

„ქართული აკადემია“

◉ შეთავაზება

# ვისაც ობიექტური არჩევნების ჩატარება არ უნდა, ის საქართველოს მტერია

**საპრეზიდენტო არჩევნებმა თითქოსდა ჩამცხრალი ვნებათაღელვა კვლავ გაალვივა და ხელახალი დაპირისპირება წარმოშვა ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის.** უდიდესი კითხვის ნიშანი კი გააჩინა საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან ვიზამიცემულმა და ხელდასმულმა, დემოკრატიის საფარქვეშ შეფუთულმა სამართლიანმა არჩევნებმა. ამიტომაც გახდა ოპოზიციის უპირველესი მოთხოვნა „არჩევნების პირველი გამყალბებლის“ – თარხნიშვილის გადაყენება. საარჩევნო კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე შეთანხმდნენ, მაგრამ ცესკოს თავმჯდომარე კვლავ თავის პოსტზე რჩება. ამის მიუხედავად, ხელისუფლებაც და ოპოზიციაც მათთვის მისაღებ კანდიდატს ეძებს. ამასობაში გამოიკვეთნენ ისეთი ადამიანებიც, რომლებიც მზად არიან ამ ძალიან საპასუხისმგებლო საქმეს ჩაუდგნენ სათავეში. ერთ-ერთი არის „ეროვნული თანხმობის“ წევრი, ე. წ. „ზვიადისტების“ წარმომადგენელი, ცნობილი მწერლის გურამ პეტრიაშვილის ძმა, **რობერტ პეტრიაშვილი**.

მისი თქმით, ის ახლა ნეიტრალურ პოზიციაზეა. ხოლო ასეთი გადაწყვეტილება მას მიაღებინა ქვეყანაში შექმნილმა უკიდურესად გამწვავებულმა ვითარებამ, რაც გამოიხატა იმაში, რომ ხალხში გაჩნდა ეჭვი არჩევნების გაყალბების თაობაზე და სწორედ ამ ეჭვმა გამოიყვანა ქუჩაში.

ბატონი რობერტის აზრით, საკმარისი არ არის მხოლოდ ცესკოს თავმჯდომარედ სამართლიანი პიროვნების დანიშვნა. აუცილებელია საარჩევნო საკანონმდებლო სისტემის დახვეწა, რომ კანონი არ იძლეოდეს სხვადასხვანაირად ინტერპრეტაციის საშუალებას. როგორც ცნობილია, ბატონ რობერტს აქვს სათანადო გამოცდილებაც. იყო „მრგვალი მაგიდის“ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე 1990 წლის 28 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების დროს. აღსანიშნავია, რომ საზოგადოებაში მიღებული აზრით, სწორედ მაშინ ჩატარებული არჩევნები ითვლება ყველაზე ობიექტურად საქართველოში ჩატარებულ არჩევნებს შორის.

პეტრიაშვილი ამბობს, რომ საყოველთაო არჩევნებში ხდება ერის ნების გამოხატვა, ხალხმა თავისი სუბიექტური ნების ობიექტური შედეგი უნდა ნახოს არჩევნების ბოლოს, როგორც სარკეში, მაგრამ თუ არჩევნები გაყალბდება, ჩვენს არჩევანს ვერასოდეს გავიგებთ, ვერასოდეს დავინახავთ საკუთარ თავს, ვერასოდეს ვერ გავიგებთ, განვითარების რა ეტაპზე ვიმყოფებით, ვინ ვართ ჩვენ და რა არჩევანს ვაკეთებთ. ასეთი ყოფა შეიძლება შევადაროთ ადამიანის ინფანტილურ მდგომარეობას. ასეთ ვითარებაში ყოველთვის გამოჩნდება უცხო ძალა, რომელიც აგვიხსნის, ვინ ვართ და სად ვიმყოფებით. ეს კი ერისთვის დამღუპველია. ამიტომ როცა ხალხს ართმევენ თავის არჩევანს, მას ამასთანავე ღირსებასაც ართმევენ.

სწორედ ამის გამო პეტრიაშვილი ფიქრობს, რომ უმთავრესია, საკუთარი თავის შემფასებლები ჩვენვე ვიყოთ, თუმცა საერთაშორისო ორგანიზაციების თვალსაზრისი და რეკომენდაციები უნდა გავითვალისწინოთ. სამოქალაქო საზოგადოება მაშინ იქმნება, როცა ხალხს არჩევანის გაკეთების საშუალება აქვს და თავისი ჭკუა-გონების შესაბამისად იღებს გადაწყვეტილებას. ის შეიძლება არჩევანში შეცდეს, მაგრამ ამის შედეგი თავის თავზე უნდა იწვნიოს. ჩვენი საზოგადოება „მარად ბავშვად“ დარჩება, რომელსაც დამოუკიდებლად გავლა უჭირს და მეურვე სჭირდება, – ამბობს ბატონი რობერტი, – ჩვენს საზოგადოებაში მუდმივად არგუმენტად უცხოელების დასკვნებს იშველიებენ – გაყალბდაო – ამბობს ერთი, არ გაყალბებულაო, – ფიქრობს მეორე მხარე, ამიტომ ჩვენშივე უნდა შეიქმნას ისეთი ინსტიტუტი, რომელიც საზოგადოების ეჭვებს გააქარწყლებს.

რობერტ პეტრიაშვილი შეეცადა მაქსიმალურად თავი აერიდებინა პოლიტიკური შეხედულებების გამოთქმისაგან, თუმცა შეუძლებელი იყო არ დაგვესვა კითხვა „ზვიადისტების“ სიმპატიების გამო დღევანდელი ხელისუფლების მიმართ. ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ ისინი ისეთი რადიკალურები არ არიან სააკაშვილის პოლიტიკის მიმართ, როგორც წინა რეჟიმის დროს იყვნენ – „ვარდების რევოლუციამდე“ თხუთმეტი წელი გავატარეთ ბრძოლაში, დევნაში, შევიწროებაში. 37 წლის რეპრესიები საშინელება იყო, მაგრამ არანაკლებ მძიმე აღმოჩნდა სახელმწიფო გადატრიალების შემდგომი პერიოდი. „ზვიადისტობაც“ კი კმაროდა რეპრესიისთვის. შევარდნაძის გადადგომის იდეა იმდენად აუცილებელი იყო, რომ „ვარდების რევოლუციის“ დროს ჩვენ აქტიურად ვიდექით ხალხთან. დღეს ნეიტრალური ვარ და ვფიქრობ, ომი და აჯანყებები უნდა დამთავრდეს საქართველოში. სიტუაციის აფეთქებას კი ნაპერწკალიღა უკლია.

თუ საზოგადოება მხარს დამიჭერს, ყველაფერს გავაკეთებ, რათა არჩევნები ჩატარდეს სამართლიანად. – ხალხის ნება – ჩატარდეს სამართლიანი არჩევნები – უნდა დაკმაყოფილდეს. ვისაც არ უნდა არჩევნების დემოკრატიულად ჩატარება, ხალხის ნების წინააღმდეგია, ის საქართველოს მტერია.

**თეა მოსია**

◉ მზრუნველობა

# საქართველოში ჰუმანური პროექტი დაინერგა

**პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტში ჯანმრთელობის, შრომის და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენლებმა, ჯანდაცვის კომიტეტის წევრებმა და უცხოელმა ექსპერტებმა შეხვედრა გამართეს, რომელიც საქართველოს ეროვნულ სამედიცინო სისტემაში პალიატიური მზრუნველობის დანერგვას მიეძღვნა.**

შეხვედრას ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის კოლაბორაციული ცენტრის დირექტორი, კატალონიის სადემონსტრაციო პროექტის ხელმძღვანელი პალიატიურ მზრუნველობაში, პროფესორი ხავიერ ბატისტე და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ექსპერტი, პროფესორი იანგ პრჟესვალდი ესწრებოდნენ.

„საერთაშორისო შეფასებით, საქართველოში პალიატიური მზრუნველობის სისტემის დანერგვის ტემპი სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნების სინამდვილეში ანალოგიურ მოვლენებს მნიშვნელოვნად უსწრებს – განუკურნებელი პაციენტებისათვის ჰოსპირების და მობილური გუნდების სისტემები თანდათან ვითარდება. ამ საქმეს უკვე სახელმწიფო ბიუჯეტი აფინანსებს. შეხვედრის მიზანი ისეთი დოკუმენტის შექმნაა, რომელიც ეროვნული ჯანდაცვის სისტემის ყველა დონეზე პალიატიური მზრუნველობის თანდათან სრულფასოვან ჩართვას შეუწყობს ხელს“ – განაცხადა პალიატიური მზრუნველობის ეროვნული პროგრამის კოორდინატორმა დიმიტრი კორძაიამ.

პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტში უკვე მეორე წელია შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომლის საფუძველზე საქართველოში პალიატიური სამსახური შეიქმნა, მისი მსგავსი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში არ არის. საქართველო რუმინეთთან და ესპანეთთან ერთად პილოტური ქვეყანაა. წინა კვირას ორი შეხვედრა უკრაინულ დელეგაციასთან გაიმართა. უკრაინის მთავრობა და პარლამენტი დაინტერესებულია ანალოგიური სამსახური იქაც ჩამოაყალიბოს. ამიტომ მათ გამოცდილების გაზიარება და მეთოდური ხელმძღვანელობა საქართველოს პარლამენტს სთხოვეს.

„შეხვედრები მანამ გაგრძელდება, სანამ ეს სისტემა საქართველოში მთლიანად არ გაიმართება. მართალია, პალიატიური მზრუნველობის სისტემა ჩვენთან უკვე არსებობს, მაგრამ ის ყველა რეგიონს არ მოიცავს. ეს პროექტი სიღარიბესთან ბრძოლის სერიოზული ნაბიჯია, რადგან ფულს უზოგავს იმ გაჭირვებულ ოჯახებს, რომლებსაც უიმედო პაციენტების მკურნალობასა და მოვლაში ძალზე დიდი თანხები ეხარჯებათ. ეს სისტემა ემსახურება იმას, რომ ოჯახის სახსრების უმიზნოდ ხარჯვა არ მოხდეს“ – აღნიშნა პარლამენტის წევრმა, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა ოთარ თოიძემ.

შეხვედრას პირველი ლედი სანდრა რულოვსიც უნდა დასწრებოდა, მაგრამ ვერ მოახერხა. ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ გიორგი წერეთელმა განაცხადა, რომ სანდრა რულოვსი და მისი საქველმოქმედო ფონდი ამ პროექტში მისი დაწყებისთანავე აქტიურადაა ჩართული და საერთაშორისო დახმარებებს ძალზე წარმატებით მოიპოვებს, რომ ქალბატონმა სანდრამ საქართველოში პალიატიური მზრუნველობის დასანერგად მრავალი სასიკეთო საქმე გააკეთა.

„ამ ძალზე ჰუმანური მიმართულების მიზანია ადამიანებისათვის სიცოცხლის ბოლო პერიოდის შემსუბუქება. საქართველოში ყოველწლიურად დაახლოებით 5 ათასამდე ონკოლოგიური ავადმყოფი იღუპება და უმრავლესობა მძიმედაა დაავადებული. პალიატიური მზრუნველობა მიზნად ისახავს მათთვის სიცოცხლის ბოლო პერიოდის ტკივილების შემსუბუქებას, რისთვისაც მედიკამენტები, ტკივილგამაყუჩებლები, სხვადასხვა სქემები არსებობს. ამ საქმეში სპეციალისტებთან ერთად ძალზე ბევრი მოხალისეა ჩართული. ქართული სამუშაო გუნდი ძალზე წარმატებულია და ჩვენს გამოცდილებას ბევრ ქვეყანასაც ვუზიარებთ“.

**გიგი წერეთლის თქმით, ამ ეტაპზე პალიატიური მზრუნველობის სტრატეგიის საკითხი მუშავდება.**

**მაია ხორგუაშვილი**

№ 30. შაბათი, 16 თებერვალი, 2008 წელი.

● თბილისში ჰგონიათ, რომ ჩვენ აფხაზეთს ვეხმარებით, აფხაზეთში კი იმას გვისაყვედურებენ, რომ მათ საკმარისად არ ვეხმარებით. სოხუმში განსაკუთრებით სამხედრო სფეროში დაუხმარებლობას გვსაყვედურობენ. საქართველოში ფიქრობენ, რომ რუსეთ-აფხაზეთის საზღვარი პრაქტიკულად ღიაა. ეს ასე არაა, საზღვარი კონტროლს ექვემდებარება და რეალურად, მხოლოდ პატარა გასასვლელითაა გახსნილი





# სერგეი მარკოვი: აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების გარდა, სოხუმს მოსკოვისგან სრული მხარდაჭერა ექნება

***რუსეთის წინააღმდეგობის მიუხედავად, დასავლეთი და ამერიკა კოსოვოს დამოუკიდებლობას მას შემდეგ აღიარებენ, როცა პრიშტინა 17 თებერვალს ბელგრადისგან დამოუკიდებლობას გამოაცხადებს. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის უღიარებლობის შესახებ, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის განცხადების მიუხედავად, საქართველოში მოსკოვისგან ამ საკითხში სიურპრიზებსაც არ გამორიცხავენ. ერთი შეხედვით, შიდაპოლიტიკურ გარჩევებში ჩაძირულ საქართველოს ამ თემისათვის არ სცალია, მაგრამ რეალურად ეს ასე არ არის.***

***ამ საკითხებზე „ინტერპრესნიუსი“ რუს პოლიტოლოგს და რუსეთის სათათბიროს დეპუტატს სერგეი მარკოვს ესაუბრა. მარკოვის განცხადებით, თუ როგორ რეაგირებას მოახდენს მოსკოვი კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებაზე და ცნობს თუ არა იგი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას, ეს ის საკითხებია, რომელთა შესახებ „ზუსტად არავინ იცის.“***

მარკოვის საუბრიდან აშკარად იკვეთება: რუსეთი იმედოვნებს, რომ კოსოვოს დამოუკიდებლობას ყველა ევროპული ქვეყანა არ აღიარებს და ამ ეტაპზე მოსკოვი იმას დაელოდება, თუ როგორ და რა მასშტაბებს მიიღებს მსოფლიო თანამეგობრობის მიერ კოსოვოს აღიარება. მისივე განცხადებით, რუსეთი აფხაზეთის დამოუკიდებლობას არ აღიარებს, მაგრამ „აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების გარდა, სოხუმს მოსკოვისაგან სრული მხარდაჭერა ექნება.“ მისივე მტკიცებით, თუ მოსკოვი აქამდე აფხაზეთს სოციალურ-ეკონომიკური კატასტროფის ასაცილებლად ოდნავ ეხმარებოდა, ანი იმდენს დაეხმარება, რამდენიც საჭირო იქნება.

დეპუტატი სერგეი მარკოვი საქართველოს მიერ საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანების პირობად მოსკოვისათვის წაყენებულ მოთხოვნას ფსოუზე და როკის გვირაბზე საბაჟო პუნქტების გახსნის შესახებ, არამართებულად მიიჩნევს და ოფიციალურ თბილისს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წესდების დარღვევაში ადანაშაულებს. მისივე განმარტებით, ვმო-ს წესდებაში ნათლად წერია, რომ სადაო საკითხებზე მოლაპარაკების საგანი შეიძლება იყოს მხოლოდ ეკონომიკური და არა პოლიტიკური საკითხები, რაც იმაზე მიუთითებს, რომ სამართლებრივი თვალსაზრისით, საქართველო ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წესდებას უხეშად არღვევს.

იგი ქართულ მხარეს სოხუმთან და ცხინვალთან მოლაპარაკებების განახლებას ურჩევს და მიუხედავად იმისა, აფხაზ ლიდერებს დევნილთა გაგრასა და სოხუმში დაბრუნების შესახებ განცხადება არასოდეს გაუკეთებიათ, იგი სწორედ მათზე დაყრდნობით ამტკიცებს, რომ სოხუმის ხელისუფლება მზადაა დააბრუნოს დევნილები როგორც გაგრასა და სოხუმში, ასევე ახალ ათონსა და აფხაზეთის სხვა რაიონებში.

დეპუტატმა „ინტერპრესნიუსს“ რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობების გაუმჯობესების მისეული ხედვა-პირობები გაუზიარა. მისი მტკიცებით, მოსკოვსა და თბილისს შორის ურთიერთობების გაუმჯობესებისათვის საქართველოს ხელისუფლებამ მის კონტროლს დაქვემდებარებულ ტელეარხებზე უნდა შეწყვიტოს ანტირუსული რიტორიკა, თავი დაანებოს საერთაშორისო ორგანიზაციებში რუსეთის ტერორიზებას, გამოთქვას მზადყოფნა აფხაზებსა და ოსებთან მოლაპარაკებების დასაწყებად და უარი თქვას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საზღვრებთან საქართველოს სამხედრო ძალების განლაგებაზე.

მარკოვის განმარტებით, ამ პირობების შესრულების შემთხვევაში რუსეთი სიამოვნებით იქნება მზად საქართველოსთან ურთიერთობების გაუმჯობესებისათვის. იგი ამ პირობების შესრულების შემთხვევაში მოსკოვისგან ორ ქვეყანას შორის არსებული სავიზო რეჟიმის გაუქმებასაც არ გამორიცხავს.

დეპუტატ მარკოვის მოსაზრებები იმითაა მნიშვნელოვანი და საინტერესო, რომ იგი ხშირად საქართველოსადმი კრემლის პოლიტიკას ახმოვანებს. მის განცხადებებში ნათლად იკვეთება საქართველოსადმი რუსეთის მიერ გასატარებელი პოლიტიკის ტაქტიკაცა და სტრატეგიაც.

**— ბატონო სერგეი, გასულ კვირას სახელმწიფო სათათბიროში რამდენიმე კომიტეტს კოსოვოს აღიარების შემთხვევაში რუსეთის მოქმედებისავარაუდო გეგმა უნდა განეხილა. კოსოვო დამოუკიდებლობას 17 თებერვალს გამოაცხადებს, როგორ იმოქმედებს რუსეთი?**

— მცდელობის მიუხედავად, საკითხის განხილვა გადაიფიქრეს და მისი განხილვა გადაიდო. საერთაშორისო ურთიერთობათა კომიტეტს საკითხის შესწავლა დაევალა. საკითხის საჯაროდ განხილვა იმის გამო გადაიდო, რომ კანონმდებლებს არ უნდოდათ ხელისუფლების მოქმედებისათვის ხელ-ფეხი შეეკრათ. რამდენადაც ვიცი, ამგვარი განხილვა მალე დახურულ რეჟიმში გაიმართება.

**— რუსეთის ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარე სერგეი მირონოვმა განაცხადა, რომ კოსოვოს აღიარების შემთხვევაში მოსკოვი არაღიარებული რესპუბლიკების მიმართ თავის დამოკიდებულებას გადახედავს. რამდენად სავარაუდოა რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება?**

— რასაკვირველია, რასაკვირველია.

**— მაინც როგორ გადახედავს?**

— ეს ის თემაა, რომლის შესახებაც ზუსტად არავინ იცის. განიხილება რეაგირების რამდენიმე ვარიანტი. რამდენადაც მე ვიცი, კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებას ყველა ევროპული ქვეყანა არ აპირებს და კოსოვოს დამოუკიდებლობის ყველას მიერ აღიარება არ მოხდება. მე ამაში თითქმის დარწმუნებული ვარ.

ალბათ განხორციელდება დასავლეთის მიერ კოსოვოს დამოუკიდებლობის ერთგვარად, ნახევრად აღიარება. თუმცა, სრულად აღიარების ალბათობაც დიდია. ბევრი რამ არის იმაზე დამოკიდებული, როგორ, სრულად თუ ნახევრად და რა ტემპებით და რა პროპორციებით იქნება აღიარებული კოსოვოს დამოუკიდებლობა. ფაქტია, რომ ამერიკელები ამ საქმეში ინიციატივას იჩენენ.

რაც შეეხება რუსეთს, პოსტსაბჭოთა სივრცეში არსებულ არაღიარებული რესპუბლიკების აღიარება-არაღიარების თემაზე რუსეთის პოლიტიკურ ძალებს შორის მიდის ბრძოლა. ერთი ნაწილი მოითხოვს ამ რესპუბლიკების დაუყოვნებლივ აღიარებას, მეორე ნაწილი მიიჩნევს, რომ ჯერ ამის გაკეთება საჭირო არ არის, მესამენი ამ რესპუბლიკების მხარდაჭერისაკენ მოუწოდებენ ხელისუფლებას. ამ მოსაზრებიდან რომელი გაიმარჯვებს, ჯერ გაურკვეველია. ეს საკითხი ღიად რჩება.

ჩვენ ვამბობთ, რომ კოსოვოს აღიარებით პრეცედენტი იქნება. არავის არ უნდა დაავიწყდეს, რომ აფხაზეთს დამოუკიდებლობის აღიარებისათვის მეტი საფუძველი აქვს, ვიდრე კოსოვოს.

**— არ გამორიცხავთ, რომ რუსეთი აფხაზეთის დამოუკიდებლობას აღარებს?**

— რუსეთი ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ აფხაზეთს საქართველოს მხრიდან არანაირი პრობლემები არ შეექმნას. არ ვიცი მივა თუ არა საქმე პრაქტიკულ აღიარებამდე, მაგრამ ვიცი, რომ მოსკოვი აფხაზეთს ყველა პრობლემის მოგვარებაში დაეხმარება და ყველა მის მოთხოვნას დააკმაყოფილებს.

**— სოხუმი მოსკოვისგან დამოუკიდებლობის აღიარებას ითხოვს. აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი რეალურად რუსეთის სამართლებრივ, ეკონომიკურ და სამხედრო სივრცეშია. ფაქტობრივად, სოხუმი და ცხინვალი მოსკოვისგან არსებული ვითარების იურიდიულად გაფორმებას მოითხოვენ.**

— მე არ ვიცი, როგორ იქნება იურიდიულად, მაგრამ ვიცი, რომ აფხაზეთს რუსეთისაგან თავისი შიდა პრობლემების მოგვარებისთვის ყოველთვის მხარდაჭერა ექნება.

თბილისში ჰგონიათ, რომ ჩვენ აფხაზეთს ვეხმარებით, აფხაზეთში კი იმას გვისაყვედურებენ, რომ მათ საკმარისად არ ვეხმარებით. სოხუმში განსაკუთრებით სამხედრო სფეროში დაუხმარებლობას გვსაყვედურობენ. საქართველოში ფიქრობენ, რომ რუსეთ-აფხაზეთის საზღვარი პრაქტიკულად ღიაა. ეს ასე არაა, საზღვარი კონტროლს ექვემდებარება და რეალურად, მხოლოდ პატარა გასასვლელითაა გახსნილი. მცდარია მოსაზრება, თითქოს რუსეთს აფხაზეთი აქვს ანექსირებული, გარწმუნებთ, რეალურად, ეს ასე არაა.

**— მოსკოვი სოხუმს რუსეთის ხაზინიდან წელს 620 მილიონი აშშ დოლარით დაეხმარება, აფხაზეთში ფულადი ერთეული რუსული რუბლია, მოქალაქეებს რუსეთის მოქალაქეობა აქვთ მიღებული, აფხაზეთში ვითარებას რუსეთის სამშვიდობოები აკონტროლებენ, რუსი სამხედროები აფხაზურ ჯარს წვრთნიან, რუსული კაპიტალით აფხაზეთში უძრავი ქონების შეძენა აქტიურად მიმდინარეობს, ანექსია მეტი რაა?**

— კი ესაა, მაგრამ ფაქტია, რომ აქამდე მოსკოვი აფხაზეთს სოციალურ-ეკონომიკური კატასტროფის ასაცილებლად მხოლოდ ოდნავ ეხმარებოდა, ახლა კი იმდენს დავეხმარებით, რამდენიც საჭირო იქნება. მოკლედ, ამ ეტაპზე აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების გარდა, სოხუმს მოსკოვისაგან სრული მხარდაჭერა ექნება.

**— თქვენ ფიქრობთ, რომ ასეთ ვითარებაში შესაძლებელი იქნება ქართულ-რუსული ურთიერთობების გაუმჯობესება?**

— მიმაჩნია, რომ ქართულ-რუსული ურთიერთობების გაუმჯობესებისათვის წინაპირობები რეალურად არსებობს. ამისთვის საჭიროა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ მის კონტროლს დაქვემდებარებულ ტელეარხებზე ანტირუსული რიტორიკა შეწყვიტოს, თავი გაანებოს საერთაშორისო ორგანიზაციებში რუსეთის ტერორიზებას, გამოთქვას მზადყოფნა აფხაზებთან და ოსებთან მოლაპარაკებების დასაწყებად, ასევე თავი გაანებოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საზღვრებთან სამხედრო ძალების განლაგებას.

ამ პირობების შესრულების შემთხვევაში რუსეთი სიამოვნებით იქნება მზად საქართველოსთან ურთიერთობების გაუმჯობესებისათვის. ამ შემთხვევაში, მოსკოვი არ გამორიცხავს ორ ქვეყანას შორის არსებული სავიზო რეჟიმის გაუქმებასაც.

**— საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს მიერ რუსეთის ტერორიზებაში, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციას ხომ არ გულისხმობთ?**

— დიახ და არა მარტო ამ ორგანიზაციას.

**— საქართველო რუსეთის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანებისათვის მოსკოვისაგან ფსოუზე და როკის გვირაბზე საბაჟო პუნქტების გახსნას ითხოვს.**

— ეს არარეალურია. რუსეთი ფსოუზე და როკის გვირაბზე ქართველი მესაზღვრეებისა და მებაჟეების განლაგებას არასდროს არ დათანხმდება.

**— ასეთ სიტუაციაში თქვენ მაინც ითხოვთ, რომ საქართველომ რუსეთს ხელი არ შეუშალოს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანებას?**

— რა თქმა უნდა. ეს ხომ პოლიტიკური და არა ეკონომიკური მოთხოვნაა. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წესდებაში წერია, რომ სადაო საკითხებზე მოლაპარაკების საგანი შეიძლება იყოს მხოლოდ ეკონომიკური მოთხოვნა და არა პოლიტიკური. ამ თვალსაზრისით საქართველო ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წესდებას უხეშად არღვევს.

**— მოსკოვი თბილისისაგან აფხაზეთზე თავდაუსხმელობის შესახებ ხელშეკრულების დადებას ითხოვს. ეს მაშინ, როცა აფხაზური მხარე უარს აცხადებს დევნილთა აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე დაბრუნებაზე და არც მალავს, რომ გალის რაიონის გარდა, სოხუმი დევნილთა დაბრუნებას არ აპირებს. თქვენი აზრით, თბილისის ეს მოთხოვნა პოლიტიკურია თუ ეკონომიკური?**

— მხარეთა შორის ნდობის აღსადგენად მნიშვნელოვანია საომარი მოქმედებების განუახლებლობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმება. ეს პირველ რიგშია გასაკეთებელი.

დევნილთა დაბრუნებაც მნიშვნელოვანი საკითხია. რამდენადაც ვიცი, აფხაზეთის ხელმძღვანელობა მზადაა დააბრუნოს ქართველი დევნილები გაგრაში, ახალ ათონში და სოხუმშიც, მაგრამ ამისთვის დამატებით გარანტიებს ითხოვს.

სოხუმში შიშობენ, რომ დაბრუნებულ ქართველ დევნილებს ქართული მხარე აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე ტერორისტული საქმიანობის გაჩაღებისათვის გამოიყენებს. ამ და სხვა სადაო საკითხებზე კონსენსუსის მოსაძებნად ქართულმა მხარემ მოლაპარაკებები უნდა განახლოს აფხაზურ და ოსურ მხარეებთან. ჩვენ რამდენიც არ უნდა ვარკვიოთ ეს საკითხი პოლიტიკურია თუ ეკონომიკური, ამ საკითხებზე თბილისი და სოხუმი უნდა შეთანხმდნენ.

**კობა ბენდელიანი**




№ 30. შაბათი, 16 თებერვალი, 2008 წელი.

№ 30. შაბათი, 16 თებერვალი, 2008 წელი.

## SIC!

● ქალაქის ლაქლაქის, და საერთოდ, ყოფნის ხმაურში ძვირფასია სიჩუმე. შევინახოთ სიჩუმე, რომ დავინახოთ სიჩუმე, რომ დავიცვათ სიჩუმე... სიჩუმე დავიცვათ!, რადგან ჩვენ სწორედ სიჩუმე დავკარგეთ. სულის ტერიტორია დავკარგეთ



### ◉ ვუბრუნდებით დაბეჭდილს

***„აქ გარემო და მემორიალი ერთ ორგანულ, მხატვრულ მთლიანობას ქმნიან. ამ ჰარმონიის დანგრევა მიუტევებელი შეცდომაა. ნუთუ ფოთის ტერიტორიაზე არ მოიძებნება ახალი სპორტული კომპლექსის მშენებლობისათვის სხვა ადგილი, რომ დაღუპულ მეზღვაურთა ხსოვნა და უნიკალური (ხაზგასმა ჩემია – შ. ბ.ძ მემორიალი არ შეურაცხყოთ?!“ (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ №17, 20.01.08 წ.ძ. ამ შფოთიან უწყებას წინ უძღვის მემორიალის ავტორის, არქიტექტორ ვახტანგ დავითაიას შეშფოთებული წერილი ქალაქ ფოთის მერისადმი. წერილი ასევე შეგვახსენებს ჩვენი კოლეგის, ამ მემორიალის მოქანდაკის, სამწუხაროდ აწ გარდაცვლილი ელგუჯა ამაშუკელის შემოქმედების განსაკუთრებულ მნიშვნელობას.***

# შ-ფოთის ტალღები



ჩემი წერილი კომენტარია **უნიკალურის შესახებ,** ის იწყება იქ, სადაც კრიტიკა მთავრდება. ერთი საქმეა მეგობრების მხარდაჭერა – **გაგება** და მეორეა კულტურის **აგება** – ქად**აგება** – იმის ქომაგობა, რამაც ჩვენ დაგვამეგობრა და რასაც ჩემი წერილი ეძღვნება. წერილის სათაური ასეთიც შეიძლება ყოფილიყო: **ქებათა ქება ბეტონის ტალღებს** – ამ პარადოქსულ ჰიბრიდს.

უპირველეს ყოვლისა ჩემი ღელვის ტალღაც მინდა შევუერთო იმ საერთო შფოთის ტალღებს, **ფოთის ტალღების** ხელყოფის შესახებ რომ გვაუწყეს მედიატალღებმა.

იმთავითვე ასე ვეძახდით – **ფოთის ტალღები**, როცა აღიმართა (1979 წ.ძ, სხვადასხვა ზედსართავებით: გლიჯავს – მაგარია; ძალიან მაგარია; უუ, რა მაგარია; მაგრად მოარტყეს ელგუჯამ და ვახტანგმა და მისთ. უფრო აკადემიურ საუბრებში – ძალიან ლამაზია; მშვენიერია; დიდებულია და მისთ. ეს შეფასებები დღემდე ცოცხლობენ. ემოციათა და შთაბეჭდილებათა გამოხატვის ასეთი ერთსულოვნება იშვიათზე იშვიათია.

**შფოთიანი,** – ფოთის ტალღებისათვის არც ეს ეპითეტია უცხო – გაიხსნა თუ არა იფეთქა, თეთრად იფეთქა; ყალყზე შემდგარი ბეტონის ტალღები რაღაც ჯადოქრობას გავდა, ნატურალურ მაგიას და გაცხადებულ მისტიკას – მოულოდნელ გამოცხადებას, რაღაც უცნობ ნაცნობს (ან ნაცნობ უცნობსძ ელდასავით რომ გვეცა და... გვეცადა გააზრება, მაგრამ მეწყერივით მოვარდა, თუმცა რატომ მეწყერივით – ტალღასავით, „... რომ გაგიტანს და ცოცხლად დაგმარხავს“ მაშინვე ტიციანის ლექსი ამოვარდა და ის ტანები ამოიტანა, ვინც უცხო ლექსის, თუ ულექსობის ტალღამ – ომის და შფოთის ტალღამ გაიტანა და დამარხა; **შ-ფოთის ტალღები** მათ ეძღვნებათ – შინმოუსვლელთა, ომში დაცემულ ფოთელთა – „დაცვენილ ფოთოლთა“ ხსოვნას.

ვიდრე ელდანაკრავი გონს მოხვალ, ვიდრე მოიხელთებ სახეს, ვიდრე დაარქმევ სახელს – **ტალღა;** ვიდრე დაუძახებ, ან ხელს შეახებ – **აი ტალღა!, ეს ტალღაა** – ჩვენი ტალღა – ალღო გეუბნება: ეს პოეზიაა; აი, ეს არის გაქვავებული მუსიკა; ქვათა როკვა; მერე კი მითები და მერე ლეგენდები: პოსეიდონის საუფლო, ან უფრო თეატრი, ატრი... ატრიალდა მოგონებები, შეგონებები, შთაგონებები – ზღვის ღვთაებები, ზღვის ურჩხულები; მედუზა გორგონა – აქ რომ თავისი თავი გააქვავა თავისივე მზერით, (გა)ასამა და (გაძასამარა...

იმ პირველ შთაბეჭდილებებში ეს, ის ადგილი იყო სრულიად , **სულ ის** ტერიტორია – **სულის** ტერიტორია, ზღვა რომ გაგვინაწყენდა და „... პირველი ნაბიჯი გადადგა უკან“. თითქოს ზღვა დაბრუნდა და მუდმივი დაბრუნების ნიშნად ბეტონის ტალღებად აღიმართა. ეს მუდმივი დაბრუნების ადგილი იყო; აქ ზღვა უძღები შვილივით დაბრუნდა; დაბრუნდა და თავისას ითხოვდა...

იმ პირველ შთაბეჭდილებებში **ფოთის ტალღები** მეცხრე ტალღაც იყო – მეცხრეც და მეცხედრეც. ზღვა შფოთავდა – ომის და შფოთის ტალღები ფოთის შინმოუსვლელებს გლოვობდნენ – ომის ტალღების მსხვერპლს.

ომის ტალღები ლომის ტალღებსაც ჰგვანან, უფრო სწორად ტალღის თავები (იქ, სადაც ტალღა სისპეტაკის თეთრ ქაფს მოიგდებს მუდამძ ლომის თათებივით იღრინებიან, დიახ, იღრინებიან ხახადაფჩენილი ლ/ომივით დაფჩენილი თათები, ანდა თათებდაფჩენილი ტალღები, როგორც თამაშის სიშმაგით გართული და რთული ბალღები. მართლაც რამდენია ამ ტალღებში თამაშის სამყაროდან მოტანილი – ბავშვური, გულუბრყვილო და ნაივური; რამდენი არტისტიზმია, თეატრალურობა და კარნავალურობა; სევდიანთან, ტრაგიკულთან და ამაღლებულთან ერთად, თითქოს შეუთავსებელი, სიცილხარხარიანი და დიადი ირონია; ჰომერული ხარხარი და ტკივილის კივილი (მოდი, ჩვენც გავიღიმოთ ჩემს ამდენ უტოპიაზე და მაინც განვაგრძოთძ.

ტალღებმა მარტო ის დრო არ შეინახეს, რის გამოც აღიმართნენ, მარტო ის დრო არააყენეს ფეხზე – ბევრად უფრო დიდი დრო შეინახეს და ყალყზე დააყენეს. ამ დროს განასხვავებს ფაუსტური შეძახილი: „... მშვენიერი ხარ, შეჩერდი წამო!“. შეჩერდი, წამო – წამოდი, სხვაგან გააშენე სპორტული კომპლექსი! **ლექსი დგას აქ** – ტალღები მღერიან, მათ სივრცე უსმენს – დუმილის სივრცე და სივრცის დუმილი.

**შ-ფოთის** მემორიალი ეს არის სიმღერად გადაქცეული ზღვის ეული სხეული. წყლის ყურეა, წყლის ყორეა და წყლის ყურია, ვინც პირველმა მოისმინა პირველი სიტყვა – „იყოს ნათელი“ და ფეხზე დაუდგა, როგორც ნიშანი, როგორც ნაშენი.

ვარაუდობენ, რომ კულტურის საწყის ეტაპზე სახეები და სახელები ერთი და იგივენი იყვნენ, იგივეობის ნიშნით დაკავშირებულნი; რომ „ნიშნის პირველი მაგალითი არის არა სიტყვა, არა ყვირილი, არა სიმბოლო, არამედ სივრცული და გრაფიკული წარმოდგენა – ნახატი“ (მ. ფუკოძ.

**შ-ფოთის ტალღები** იმ პირველ ნაშენთა მსგავსი ნიშანია, უძველესი არქეოლოგიური ფენებიდან წა(რძმომდგარი, ისევე, როგორც „სარკოფაგიდან დგება მუმია. რა სიჩუმეა. ჰაერი ლურჯი აბრეშუმია“.

ქალაქის ლაქლაქის, და საერთოდ, ყოფნის ხმაურში ძვირფასია სიჩუმე. შევინახოთ სიჩუმე, რომ დავინახოთ სიჩუმე, რომ დავიცვათ სიჩუმე... სიჩუმე დავიცვათ!, რადგან ჩვენ სწორედ სიჩუმე დავკარგეთ. სულის ტერიტორია დავკარგეთ.

დიახ, სულის ტერიტორია უფრო მეტი დავკარგეთ, ვიდრე ისტორიული, გეოგრაფიული. ამას პირველად არ ვამბობ, ადრეც ვწერდი (გაზეთი „ახალი ეპოქა“ 10-12.04.01ძ და კვლავაც ვიმეორებ.

ვახტანგ დავითაია თავის წერილში შეშფოთების მიზეზს ფოთის მერს, ბატონ ივანე სალინაძეს უზიარებს, მეც მინდა ორიოდ სიტყვა შევაწიო: ბატონო ვანო! „... ვანი ზღვისპირა ქალაქი იყო; ... ზღვამაც სწორედ იმ დღეს გაბედა და ხანგრძლივი ყოყმანის შემდეგ პირველი ნაბიჯი გადადგა უკან. მთავარი პირველი ნაბიჯი იყო, მერე ყველაფერი თავისით მოხდებოდა, ან ვინ გაუბედავდა შეჩერებას. ყველა ვანელს, დიდიან-პატარიანად, **კალთაზე რომ გამოება ზღვა მაინც გაიქცეოდა, ...**“ (ხაზგასმა ჩემია – **შ. ბ.**ძ. აკი ასეც მოხდა ჩვენს დღეებში, იმ დროს (ან პირიქით – იმ დღეებში ამ დროსძ. ოთარ ჭილაძის ნაწარმოებიდან მოხმობილ ფრაგმენტში, სწორედ რომ სულის ტერიტორიაზეა ლაპარაკი. აქ **ზღვა** კულტურის მედიალური ნიშანია (იქნებ სუზმედიალურიც?!ძ. აქ ზღვით ლაპარაკია, ანდა ზღვის ლაპარაკია – ზღვის ქადაგად დავარდნა – წყლის ქად**აგება.** აი ასე გაგებული და **აგებული ნიშანია ნაშენი შ-ფოთის ტალღები.** ეს არის **უნიკალური,** რასაც ჩვენი მასწავლებლები საკრალურთანაც აიგივებდნენ და რასაც დღეს **არქივი** ქვია. **ბეტონის ტალღები არის არქივის და არა ქვის.**

მიუხედავად ყველაფრისა, **შ-ფოთის ტალღები მოდერნიზმის ტალღებია**, ბოლო ტალღები – **მოდერნიზმის გედის სიმღერა.**

თუ გნებავთ ვივარაუდოთ, რომ მე ასე მესმის, ან მეზღვაურთა მემორიალი მხოლოდ მიზეზი იყო, სამაგიეროდ მემორიალის ასოციაციების და პარადიგმების იმპერია, მისი კულტუროლოგიური ველი გავაფართოვე; კულტურის შფოთი და კულტურის ტალღები ავწიე მეტაკულტურული და მეტალოგიური დისკურსით – შფოთით; მეტატალღები და მეტი ტალღები **ავაგე** და შემოვიმტკიცე – იქნებ **შ-ფოთის ტალღებით ზღვა კალთაზე** უფრო საიმედოდ გამოვიბათ, რომ არ გაგვექცეს. ამ კალთაში სპორტული კომპლექსი ვერ ჩაჯდება; დიდი წრიული ბილიკი **შ-ფოთის ტალღებს** გარს რომ არტყამს, არ გამოდგება დავის საგნად – „კავკასიური ცარცის წრედ“.

ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენს ფოლკლორში ზღვა თითქმის არ ფიგურირებს, ისე არ მნიშვნელობს, როგორც იქ, სადაც არა აქვთ ზღვა, მაგრამ ზღვიანმა ოცნებამ მოხუცი მებადურისა და ოქროს თევზის ზღაპარში აიდგა ფეხი, ან იქნებ უფრო ადრე... ჩვენვე თუ დავკარგავთ ზღვას, ჩვენვე ვზღავთ.

**შოთა ბოსტანაშვილი,**

**არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის პროფესორი**

### ◉ ინფორმაცია

## თარხნიშვილს თავი უდანაშაულო ჰგონია



**ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ლევან თარხნიშვილი ბოლო პერიოდში მისი მისამართით გამოთქმულ ბრალდებებს უსაფუძვლოს უწოდებს. სატელეფონო საუბარში თარხნიშვილი აღნიშნავს, რომ ოპოზიციის მოთხოვნას მისი თანამდებობიდან გადადგომის შესახებ კომენტარს ვერ გაუკეთებს, ვინაიდან რამდენიმე დღეა საქართველოში არ იმყოფება და კონკრეტული პრეტენზიების შესახებ ინფორმირებული არ არის.**

**– მე-5 დღეა სამუშაო ვიზიტით კიევში ვიმყოფები და ოპოზიციის კონკრეტული ბრალდებების შესახებ ინფორმირებული არ ვარ, თუმცა შემიძლია დაგიდასტუროთ, რომ აქამდე გამოთქმული პრეტენზიები სრულიად უსაფუძვლო გახლდათ. რაც შეეხება ოპოზიციის მემორანდუმში ჩემი თანამდებობიდან გადადგომის მოთხოვნას, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მემორანდუმში კონკრეტული სახელი და გვარები არ წერია, – აღნიშნა ლევან თარხნიშვილმა.**

**შეგახსენებთ, რომ ოპოზიცია დაჟინებით მოითხოვს ლევან თარხნიშვილისა და საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის თამარ კინწურაშვილის გადადგომას.**

**ინტერპრესნიუსი**

# პიროვნება

● ბატონ გუგას კალამს ეკუთვნის 100-მდე სამეცნიერო ნაშრომი და რამდენიმე მონოგრაფია. ზოგიერთ მათგანს გამორჩეული ადგილი უჭირავს „საბჭოთა კავშირის საინჟინრო-გეოლოგიის“ გამოცემებში



◎ ინფორმაცია

## ყველა დემოკრატიის გადასარჩენად!

ოპოზიციური ძალების გაერთიანება უნდა მოხდეს არა პრინციპით — ერთი ყველას წინააღმდეგ, არამედ — ყველა დემოკრატიის გადასარჩენად.

ამის შესახებ ფრაქცია „ქემარჯვენე ოპოზიციის“ წევრმა ფიქრია ჩიხრაძემ პარტიის ლიდერის დავით გამყრელიძის ინციატივასთან დაკავშირებით განაცხადა, რომელმაც მთელ ოპოზიციურ სპექტრს გაერთიანებისა და ერთიანი საარჩევნო სიით გამოსვლისკენ მოუწოდა.

დეპუტატის განცხადებით, გაერთიანებაში შეიძლება ვიგულისხმოთ, როგორც ერთიანი სია, ისე ერთიანი სტრატეგია, ანუ კოორდინირებული შტაბებით მოქმედება და ა. შ.

ფიქრია ჩიხრაძე მიიჩნევს, რომ ეს გაერთიანება არ არის მოწოდებული იმ საფრთხის გამო, თითქოს პარტიები ცალ-ცალკე ვერ გადალახავენ 5 ან თუნდაც 7-პროცენტიან ბარიერს.

— ეს უნდა მოხდეს იმის გამო, რომ შეიქმნას მექანიზმები, რათა „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მომავალ პარლამენტზე კონტროლის აღება ვეღარ შეძლოს, — მიიჩნევს ფიქრია ჩიხრაძე.

## დიალოგი უნდა გაგრძელდეს

საპარლამენტო ფრაქცია „მრეწველების“ ლიდერი ზურაბ ტყემალაძე ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის დიალოგის გაგრძელების მომხრეა და მას ხალხის მოთხოვნასაც უწოდებს.

როგორც ზურაბ ტყემალაძემ განაცხადა, ოპოზიცია და ხელისუფლება ვალდებულები არიან, რაც უნდა მწვავედ მიმდინარეობდეს მოლაპარაკებები და მას არასასიამოვნო პროცესები ახლდეს, დიალოგი უნდა გააგრძელონ.

მისივე თქმით, ეს არის ქვეყნისა და მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე და არა — ხელისუფლების ან ოპოზიციის.

— თუ ოპოზიცია არის შუამავალი ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის, მან ეს შანსი ბოლომდე უნდა ამოწუროს, თუმცა, ეს შანსი ოპოზიციას ჯერ კიდევ აქვს, — მიიჩნევს ფრაქციის ლიდერი.

დეპუტატი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოწოდებაზე დიალოგის შესახებ.

— ეს არის, როგორც პატრიარქის მოწოდება, ისე მოსახლეობის მოთხოვნა და ქვეყნის ინტერესებიც, — აღნიშნა ტყემალაძემ.

ინტერპრესნიუსი

## ეს მემორანდუმი კი არა, ხალხის დაცინვაა

ხელისუფლებამ წარმოდგენილი მემორანდუმით ოპოზიციასთან დიალოგზე უარი განაცხადა. ამის შესახებ ერთიანი ეროვნული საბჭოს წევრმა ლევან ბერძენიშვილმა განაცხადა.

— ხელისუფლების მემორანდუმი ხალხის დაცინვაა. როგორც ჩანს, ისინი საზოგადოების მოთმინებასა და ნებისყოფას ამოწმებენ. მემორანდუმში არაფერია ნათქვამი ჩვენს ძირითად მოთხოვნებზე, მერაბიშვილისა და ტყეშელაშვილის გადაყენებაზე, ამიტომ ხელისუფლების მიერ შემოთავაზებული მემორანდუმი ჩვენთვის მიუღებელია, — განაცხადა ბერძენიშვილმა.

ჯი-ეიჩ-ენი

◎ ღვაწლი

# მესაძირკვლე

**ოთხმოცი წელი ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობის სოლიდური მონაკვეთია, მით უფრო, როცა იგი დახუნძლულია უაღრესად ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობით.**

ბატონი **გუგა ჭოხონელიძის** ცხოვრების ოთხმოცწლიანი ისტორია ჩვეულებრივი ქრონოლოგიური ჟამთა სვლის გარდა, აღბეჭდილია ეტაპობრივად მნიშვნელოვანი მოვლენებით. მათ შორის განსაკუთრებული სირთულით გამოირჩეოდა ბატონ გუგას ჭაბუკობის წლები, როცა საბჭოეთის იმპერიას სისასტიკით გამორჩეული მეორე მსოფლიო ომი დაატყდა თავს. სწორედ ასეთ რთულ პერიოდში დაამთავრა მან თბილისის მე-12 საშუალო სკოლა. 1945 წ. იგი გახდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის სტუდენტი, გუგა სწავლას კარგად უთავსებდა სპორტს, იყო ინსტიტუტის ფეხბურთის ნაკრების წევრი მთელი ხუთი წლის განმავლობაში. ინსტიტუტი წარჩინებით დაამთავრა სამრეწველო და სამოქალაქო მშენებელი ინჟინრის სპეციალობით. ქვეყანა ომისაგან მიყენებული ჭრილობების მოშუშების, უსაზღვრო მატერიალური და სულიერი ზიანისაგან თავისდაღწევასთან ერთად დიდ ყურადღებას უთმობდა ახალგაზრდა კვალიფიციური მეცნიერული კადრების მომზადებას. გუგა ჭოხონელიძის ხალასი ინჟინრული ალღო და ნიჭი წარმატებით იკაფავს გზას სამეცნიერო მოღვაწეობისაკენ. 1951 წელს ხდება საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტი სპეციალობით „გრუნტების მექანიკა და ფუძე-საძირკვლები“, ხოლო 1954 წელს მუშაობას იწყებს იმავე ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ მუშაკად. ბატონ გუგას მიზანმიმართულმა კვლევებმა უნიკალური შედეგები მოგვცა მარილშემცველ გრუნტებზე მიწის კაშხლების მშენებლობის დარგში, რაც საფუძვლად დაედო საკანდიდატო დისერტაციას, რომელიც მან წარმატებით დაიცვა 1958 წელს.

ბატონი გუგა კარგად გრძნობს, რომ ფუძე-საძირკვლების სპეციალობით მომუშავე მეცნიერი კარგად უნდა ფლობდეს საინჟინრო გეოლოგიას, ამიტომ იგი დაუსწრებლად ამთავრებს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გეოლოგიის ფაკულტეტს საინჟინრო გეოლოგიის სპეციალობით.

1959 წ. ბატონი გუგა სამუშაოდ გადადის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში ახლადჩამოყალიბებულ ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტში უფროს მეცნიერ თანამშრომლად. იგი სამეცნიერო-კვლევით მუშაობას წარმატებით უთავსებს საზოგადოებრივ საქმიანობას, — 1962 წ. იგი ამ ინსტიტუტში იკავებს სწავლული მდივნის თანამდებობას, ხოლო 1972 წელს ხდება ამავე ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში. შეთავსებით პედაგოგიურ მუშაობას აგრძელებს საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ბატონ გუგა ჭოხონელიძის მიზანსწრაფულმა და ეფექტურმა კვლევებმა ლოგიკურად მოამზადა ნიადაგი სადოქტორო დისერტაციისთვის „საქართველოს სუსტი გრუნტები, როგორც ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა ფუძეები“, რომელიც წარმატებით დაიცვა 1974 წ. იმავე წელს მას ანიჭებენ პროფესორის წოდებას.

1975 წელს საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში იქმნება სუსტი გრუნტების შემსწავლელი საბჭო, რომლის უცვლელი წევრიც ამიერკავკასიიდან იყო ბატონი გუგა. მას დაევალა საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის სუსტი გრუნტების შესწავლა. ამ მიმართულებით ბატონ გუგას განსაკუთრებით დიდი ღვაწლი მიუძღვის საქართველოს ლიოსი გრუნტების გამოკვლევაში. ასეთი გრუნტები გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოში. ქ. თბილისში მრავალი შენობა-ნაგებობაა აგებული ლიოს გრუნტებზე, რომლებიც ჩვეულებრივ თიხნარებისგან იმით განსხვავდებიან, რომ ხასიათდებიან „ჩაჯდომადი“ თვისებით. ამის შედეგად შენობა-ნაგებობანი ექსპლოატაციის პერიოდში განიცდიან ჯდომით დეფორმაციას. მრავალწლიანი გამოკვლევების შედეგად, ბატონმა გუგამ დაამუშავა სრულიად ახალი „ამონოკარბონიზაციის“ მეთოდი, რომელიც საშუალებას იძლევა წარმატებით განხორციელდეს მშენებლობა ლიოს გრუნტებზე. ხანგრძლივი გამოკვლევები ბატონმა გუგამ დააგვირგვინა მონოგრაფიით „საქართველოს ლიოსისებური გრუნტები“, რომელიც 1976 წ. გამოვიდა.

1975-80-იან წლებში ბატონი გუგა აგრძელებს მუშაობას და იკვლევს აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკის ლიოს გრუნტებს. შედეგები გამოქვეყნდა საბჭოთა კავშირის მიერ გამოცემულ მონოგრაფიაში „საბჭოთა კავშირის ლიოსები“. მასში მოცემულია კავკასიის რეგიონში ლიოს გრუნტების გავრცელება და ურთიერთკავშირი. მონოგრაფიაში განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული ლიოს გრუნტებზე მშენებლობის საკითხებზე.

დიდია ბატონ გუგას ღვაწლი კოლხეთის დაბლობის ათვისების საქმეში. მის მიერ დამუშავებულია კოლხეთის დაბლობის ჭაობიანი გრუნტების, მათზე მშენებლობის საკითხი. შეისწავლა რა კოლხეთის გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები, მან დაამუშავა და წარმოებაში დანერგა კოლხეთის გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების გაუმჯობესება ელექტროქიმიური მეთოდით, რაც საშუალებას იძლევა სუსტი გრუნტების სიმტკიცე გაიზარდოს რამდენჯერმე. მეთოდმა საყოველთაო აღიარება ჰპოვა. იგი საშუალებას იძლევა უფრო ეფექტურად წარიმართოს კოლხეთის დაბლობზე მშენებლობა.

საქართველო მთაგორიანი მხარეა, რაც ქმნის რეალურ პირობებს ისეთი საინჟინრო გეოლოგიური მოვლენის განვითარებისთვის, როგორიცაა მეწყერი.

ბატონმა გუგამ შეისწავლა საქართველოს მეწყერული ზონების განვითარების მიზეზები, დაამუშავა მეწყერების საწინააღმდეგო ღონისძიება ნაბურღ-ნატენი ხიმინჯების გამოყენებით. მეთოდმა კონკრეტული გამოყენება ჰპოვა საქართველოს მრავალ ობიექტზე.

1982 წლიდან გუგა ჭოხონელიძე სათავეში უდგას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების კათედრას. იგი დიდი ენთუზიაზმით აგრძელებს შემოქმედებით საქმიანობას. 1985 წ. მან კათედრაზე ჩამოაყალიბა ახალი სპეციალობა „საქალაქო მშენებლობა და მეურნეობა“, რომელიც ამზადებს კადრებს შენობა-ნაგებობათა გაძლიერება-გამაგრება და რეკონსტრუქციის მიმართულებით. შექმნა მტკიცე ლაბორატორიული ბაზა, რომელიც აღჭურვა ახალი ტექნიკით. ამასთანავე, ბატონი გუგა დიდ ყურადღებას აქცევს ახალგაზრდა კადრების კვალიფიკაციას.

1984 წ. გ. ჭოხონელიძეს, როგორც მაღალკვალიფიკაციურ და გამორჩეულ სპეციალისტს იწვევენ ქ. ბაქოში აზერბაიჯანის არქიტექტურისა და მშენებლობის უნივერსიტეტში დისერტაციების დაცვის სამეცნიერო საბჭოს წევრად. იგი დღესაც აგრძელებს აღნიშნულ უნივერსიტეტში მუშაობას და ეხმარება მეზობელ სახელმწიფოს სამეცნიერო კადრების მომზადების საქმეში.

2001 წ. გ. ჭოხონელიძის ირჩევენ საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსად, სადაც ხელმძღვანელობს ფუძე-საძირკვლების სექტორს.

ბატონ გუგას მტკიცე კავშირი აქვს წარმოებასთან და ახალ შექმნილ ფირმებთან, არის მეცნიერ-კონსულტანტი თბილისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურში, სამშენებლო კომპანია „ცენტრ პოინტში“, ინჟმშენში და სხვა. მისი ხელმძღვანელობით და კონსულტაციით ქ.თბილისში მრავალი დეფორმირებული შენობა-ნაგებობა არის გამაგრებული. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ ვარკეთილისა და ვაზისუბნის რაიონებში მრავალი დეფორმირებული მაღლივი კორპუსი კვლავ შევიდა ექსპლოატაციაში. საგულისხმოა, რომ ამ შენობათა გამაგრების სამუშაოები მობინადრეთა გამოუსახლებლად ჩატარდა.

ბატონ გუგას კალამს ეკუთვნის 100-მდე სამეცნიერო ნაშრომი და რამდენიმე მონოგრაფია. ზოგიერთ მათგანს გამორჩეული ადგილი უჭირავს „საბჭოთა კავშირის საინჟინრო-გეოლოგიის“ გამოცემებში. მრავალი მისი გამოკვლევა დანერგილია მშენებლობის პრაქტიკაში. როგორც აღვნიშნეთ მას განსაკუთრებით დიდი ღვაწლი მიუძღვის დეფორმირებულ შენობა-ნაგებობათა გაძლიერება-გამაგრებასა და რესტავრაციის საქმეში. 1994 წ. მას, როგორც მკვლევარსა და პედაგოგს, აჯილდოებენ ღირსების ორდენით.

ბატონი გუგა გამორჩეული ადამიანი, მამა, მეუღლე და ბაბუაა, გვარის ფრიად ღირსეული წარმომადგენელი, ქვეყნის ერთგული და მხურვალე პატრიოტია. სტუდენტი ახალგაზრდობისთვის თავდადებულ პედაგოგსა და უშურველ მეგობარს მრავალჟამიერ სიცოცხლეს და ერის მსახურების უნარს ვუსურვებთ.

**ზურაბ გედენიძე,**
სტუ-ს სამშენებლო ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

**ტარიელ კვიციანი,**
ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი;

**გელა ყიფიანი,**
პროფესორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

◎ ინფორმაცია

## სომხეთის რკინიგზას ჯერჯერობით შეღავათებს არ გავუუქმებთო

ქართული მხარე თავის ტერიტორიაზე სომხეთიდან სარკინიგზო გადაზიდვებზე შეღავათების გაუქმებას უახლოეს მომავალში არ გეგმავს. ამის შესახებ განცხადება სს „სომხეთის რკინიგზის“ გენერეალურმა დირექტორმა არარატ ხრიმიანმა გააკეთა.

ხრიმიანის განმარტებით, აღნიშნულ საკითხზე მასთან საქართველოს რკინიგზის უფროსმა ისაუბრა.

მან დასძინა, რომ 2008 წელს ქართული რკინიგზის სატარიფო გეგმა უკვე შედგენილია და შეღავათებს 17% და 24%-ის ფარგლებში ითვალისწინებს.

ერევანში გამართულ პრესკონფერენციაზე მყოფმა „რუსეთის რკინიგზის“ პრეზიდენტმა ვლადიმერ იაკუნინმა, თავის მხრივ, აღნიშნა, რომ დსთ-ის ქვეყნების ყველა რკინიგზა, მათ შორის სომხურიც და ქართულიც, სარკინიგზო ტრანსპორტის საბჭოს წევრები არიან, რომელშიც რკინიგზის განვითარების ერთიანი მიდგომა მუშავდება.

ჯი-ეიჩ-ენი

№ 30. შაბათი, 16 თებერვალი, 2008 წელი.

# უცხოური პრესა

● ყველაზე დიდი დაპირისპირება ხელისუფლებასთან მაშინ მოხდა, როცა ბადრიმ არ დათმო ტელეკომპანია „იმედი". როგორც იგი ამბობდა, „იმედი" ხალხისთვისაა, რომ ხალხმა მოისმინოს სიმართლე იმის შესახებ, თუ რა ხდება საქართველოში. დღეს კი შედეგი ასეთია – „იმედი" დახურულია, ბადრი პატარკაციშვილი ცოცხალი აღარ არის"

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

## მზად არის თუ არა სკოტლანდ-იარდი ვერდიქტი გამოუტანოს საქართველოს ხელმძღვანელობას?




საქართველოს პარტიის ახალი მემარჯვენეების ლიდერმა დავით გამყრელიძემ, ბადრი პატარკაციშვილის ბუნებრივი სიკვდილის შესახებ სკოტლანდ-იარდის წინასწარი დასკვნის მიუხედავად არ გამორიცხა, რომ იგი ნამდვილად მოკლეს და რომ სკოტლანდ-იარდი, თუნდაც ეს დაადგინოს, არ მოისურვებს ამის განცხადებას, რათა „ვერდიქტი არ გამოუტანოს" საქართველოს ხელმძღვანელობას, – იტყობინება საინფორმაციო სააგენტო „რეგნუმის" კორესპონდენტი. ეს დავით გამყრელიძემ 14 თებერვალს გვიან საღამოს განაცხადა ტელეკომპანია „რუსთავი-2" პროგრამა „პრაიმ-ტაიმის" ეთერში.

ბადრი პატარკაციშვილის – საქართველოს დიდი პატრიოტის სიკვდილის ზუსტი მიზეზები ჯერ უცნობია. მხოლოდ ერთს ვიტყვი. ახლა სპეცსამსახურებს აქვთ პრეპარატები (აქვთ თუ არა ისინი უშუალოდ საქართველოს სპეცსამსახურებს, არ ვიცი), რომლებიც აჩვენებს ინფარქტის, გულის იშემიის კლასიკურ კლინიკას და სურათს და შემდეგ ძალიან სწრაფად გამოიდევნება ორგანიზმიდან. მეორე მხრივ, თუნდაც სკოტლანდ-იარდმა დაასკვნას, რომ გამოყენებული იყო რაიმე ტოქსინი, იგი პრაქტიკულად ვერდიქტს გამოუტანს საქართველოს ახლანდელ პოლიტიკურ ხელმძღვანელობას. ეს არც ისე ადვილია. სკოტლანდ-იარდმა პოლიტიკური გადაწყვეტილება უნდა მიიღოს, მაგრამ რამდენად მზადაა ამისთვის, არ ვიცი", – განაცხადა დავით გამყრელიძემ, პროფესიით ექიმმა. დავით გამყრელიძემ ბადრი პატარკაციშვილის სიკვდილში „რუსეთის კვალი" გამორიცხა იმ შემთხვევაში, თუ ეს მართლაც ძალადობრივი სიკვდილი იყო. „როცა ვერსიებზე ვსაუბრობ, გარკვეული ლოგიკა უნდა არსებობდეს. ბადრი პატარკაციშვილი ყველაზე დიდი პრობლემა იყო მიხეილ სააკაშვილისა და მისი რეჟიმისთვის. მას დიდი ფინანსური შესაძლებლობანი და საერთაშორისო კონტაქტები ჰქონდა და ის კაცი იყო, რომელიც ვერ დაივიწყებდა იმ შეურაცხყოფას, ცილისწამებას, რომელსაც მთელი ბოლო დროის განმავლობაში ხელისუფლება მისდამი მიმართავდა. მიხეილ სააკაშვილისათვის ყველაზე დიდი პრობლემა თავად ბადრი პატარკაციშვილის არსებობა იყო – ლონდონში იქნებოდა, თბილისში თუ ნებისმიერ სხვა ქალაქში, და ეს პრობლემა არჩევნების შემდეგაც არ მოიხსნებოდა. ამავე დროს თუ რუსეთს, რომელსაც ცუდი ურთიერთობა აქვს საქართველოს ხელისუფლებასთან, სააკაშვილთან პრობლემების შექმნა ენდომებოდა, ცოცხალი ბადრი მისთვის უფრო ხელსაყრელი იყო, ვიდრე მკვდარი. რუსებისთვის პრობლემა ბერეზოვსკია და არა პატარკაციშვილი. ასე რომ, რუსეთს ვინმესთან ანგარიშის გასწორება რომ სდომებოდა ბერეზოვსკის შეარჩევდა და არა პატარკაციშვილს. თუ ჩავთვლით, რომ პატარკაციშვილის სიკვდილში ვინმეს ხელი ურევია, რუსეთის კვალს აქ ყველაზე ნაკლებად ველით", – განაცხადა დავით გამყრელიძემ.

მაგრამ ჩარევა რომც გამოვრიცხოთ, ყველაზე დიდი დაპირისპირება ხელისუფლებასთან მაშინ მოხდა, როცა ბადრიმ არ დათმო ტელეკომპანია „იმედი". როგორც იგი ამბობდა, „იმედი" ხალხისთვისაა, რომ ხალხმა მოისმინოს სიმართლე იმის შესახებ, თუ რა ხდება საქართველოში. დღეს კი შედეგი ასეთია – „იმედი" დახურულია, ბადრი პატარკაციშვილი ცოცხალი აღარ არის", – აღნიშნა მან. როგორც გამყრელიძემ განაცხადა „საქართველოში თითქმის ბოლო ორი ათეული წელია სისხლიანი პოლიტიკაა – ხელისუფლებისთვის საშიშ პოლიტიკურ ოპონენტებს თავიდან იშორებენ". როგორც მან თქვა, „ამ პერიოდში ყველა გავლენიანი ფიგურა, რომლებსაც შეეძლოთ ხელისუფლებისათვის პრობლემები შეექმნათ, რატომღაც მეტად უცნაურ გარემოებაში იღუპებოდნენ ან მათ პირდაპირ კლავდნენ". მათ შორის დაასახელა მერაბ კოსტავა, ზურაბ ჟვანია და ბადრი პატარკაციშვილი, ამასთან დასძინა, რომ „გადარჩენილი გია ყარყარაშვილი ბედნიერი გამონაკლისია". „მაგრამ თუ კაცს კლავ მნიშვნელობა არ აქვს პირდაპირ ესვრი თუ სიცრუით მოკლავ. ნებისმიერ შემთხვევაში, ბადრი პატარკაციშვილის სიკვდილისთვის მორალური პასუხისმგებლობა ამ ხელისუფლებას და პირადად მიხეილ სააკაშვილს ეკისრება", – დაასკვნა დავით გამყრელიძემ.

REGNUM

## ორი პრეზიდენტის მტერი და ბერეზოვსკის მეგობარი მკვდარია

სამშაბათ საღამოს დიდ ბრიტანეთში საკუთარ სახლში გარდაიცვალა მეწარმე და პოლიტიკოსი არკადი პატარკაციშვილი – ქართული ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი, ყოფილი პრეზიდენტობის კანდიდატი. წინასწარი მონაცემებით, რომელზეც ძებნა ჰქონდათ გამოცხადებული მოსკოვსაც და თბილისსაც, გულის შეტევით გარდაიცვალა. თუმცა, ოლიგარქს მტრები საკმარისზე მეტი ჰყავდა, აღნიშნავს საზღვარგარეთის პრესა: ვლადიმერ პუტინი, მიხეილ სააკაშვილი, ბორის ბერეზოვსკი – აი „ეჭვმიტანილთა" არასრული სია.

იტალიის „ლა სტამპა" მომხდარს ნამდვილ დეტექტივს უწოდებს. როგორც ჩანს, სკოტლანდ-იარდში რაღაც იეჭვეს, როცა „გულის შეტევით" გარდაიცვალა ჯანმრთელი 52 წლის კაცი, რომლის სიკვდილს ისურვებდა სულ ცოტა ორი პრეზიდენტი და რომლის დაჭერაც ორ პროკურატურას უნდოდა. თუ საქმე მკვლელობას ეხება, შემკვეთის როლზე საკმაოდ ბევრი კანდიდატია, აღნიშნავს მიმომხილველი ანა ზაფიოსოვა. რამდენიმე დღის წინათ გამოჩნდა მორიგი ფირი, სადაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსანი ჩეჩენ საველე მეთაურს უვაის ახმადოვს ეუბნებოდა, ბადრი უნდა „გაქრესო". ავანტიურისტ პატარკაციშვილს ბევრი საიდუმლო ჰქონდა. როგორც ერთ-ერთი საუბრისას აღნიშნა, ეს მან „მოიყვანა პუტინი პოლიტიკაში". „სანკტ-პეტერბურგში სობჩაკის მოადგილედ მუშაობდა, ჩემს იქაურ ბიზნესს მფარველობდა. ერთი მომწვანო ფერის ბინძური კოსტიუმი ეცვა... დღეში ორჯერ მირეკავდა და მეხვეწებოდა, ბადრი მოსკოვში გადამიყვანეო", – ჰყვებოდა მეწარმე. პრეზიდენტის არჩევნებამდე ორი კვირით ადრე ასეთ აღიარებას პუტინი „არ აპატიებდა", ირწმუნებიან ანალიტიკოსები. ხელისუფალთათვის ბნელი წარსულის შეხსენება სახიფათო საქმეა.

რუსეთში უკვე გამოთქვეს ვარაუდი, რომ პატარკაციშვილის ლიკვიდაცია შეეძლო მის ძველ პარტნიორს, მაგნატ ბორის ბერეზოვსკის. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ კრემლი ყველა წარსულ და მომავალ დანაშაულში ბერეზოვსკის ადანაშაულებს, იტყობინება ესპანეთის „ელპაისი". ზოგიერთი დამკვირვებელი არ გამორიცხავს, რომ ბადრის სიკვდილში შეიძლება თავად მოსკოვის ხელი ერიოს, თუნდაც იმ მიზნით, რომ პრობლემები შეუქმნას თბილისს, ანდა იმიტომ, რომ ძალიან ბევრი იცოდა.

პატარკაციშვილი არაერთგზის აცხადებდა, რომ მასზე შესაძლოა თავდასხმა მოწყობილიყო, აღნიშნავს „გარდიანი". „ასოცი მცველი მყავს, მაგრამ ვიცი, რომ ეს საკმარისი არ არის – ამბობდა ბიზნესმენი შარშან დეკემბერში. – ვფიქრობ, ჩემი მოკვლა უნდათ". რამდენიმე კვირის წინ მან ისევ განაცხადა, რომ მის მოშორებას გეგმავენ – საქართველოს მთავრობამ, თითქოს, ქილერი დაიქირავა მისი ლიკვიდაციისათვის. ოჯახის წევრთა თქმით ბადრის, ეტყობა, გული გაუჩერდა, მაგრამ საქმიანი პარტნიორები ამბობენ, რომ ის კარგ ფორმაში იყო და ადრე გული არ აწუხებდა. და მაინც, ბოლო დღეებში იგი თავს ცოტა შეუძლოდ გრძნობდა. თუ სხეულის პათოლოგო-ანატომიური გამოკვლევა ერთმნიშვნელოვან დასკვნას არ გამოიტანს, ტოქსიკოლოგიური ანალიზის შედეგებს უნდა დაველოდოთ. ჯერჯერობით კი ბადრი პატარკაციშვილის მკვლელობის მიმანიშნებელი არანაირი ფაქტი არ გამოვლინებულა, იტყობინებიან გაზეთის წყაროები. ნებისმიერ შემთხვევაში შეძლებული ემიგრანტის სიკვდილი ეჭვს იწვევს მას შემდეგ, რაც 2006 წელს ლონდონის სასტუმროში რადიოაქტიური ნივთიერებით მოკლეს რუსი დისიდენტი ალექსანდრე ლიტვინენკო, აღნიშნავს გაზეთი.



აღსანიშნავია, რომ მეწარმე მჭიდროდ იყო დაკავშირებული ანდრეი ლუგოვოისთან – კაცთან, რომელსაც ლონდონი ბრალად სდებს ლიტვინენკოს მკვლელობას, იტყობინება „ტაიმსი". თავის დროზე რუსეთის ხელისუფლებამ პატარკაციშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრა ნიკოლაი გლუშკოვის, „აეროფლოტის" დირექტორის მოადგილის გაქცევის მომზადების შესახებ.

ცოტა ხნით ადრე, ვიდრე ლიტვინენკოს მოწამლავდნენ, ლუგოვოი და პატარკაციშვილი თბილისში ერთად ნახეს. ლიტვინენკოც იცნობდა პატარკაციშვილს – 2000 წელს რუსეთიდან გაქცეული თურქეთში რომ მიემგზავრებოდა გზად ოლიგარქის თბილისის რეზიდენციაში გაჩერდა. რუსი გამომძიებლები ამტკიცებენ, რომ ლიტვინენკო მოწამვლამდე ცოტა ხნით ადრე პატარკაციშვილს ესტუმრა.

განსვენებულმა პატარკაციშვილმა პოლიტიკაში წარმატებას ვერ მიაღწია, რაც ძალზე სურდა, აღნიშნავს თავის ნეკროლოგში „ინდეპენდენტი": მან საქართველოს პრეზიდენტის პოსტის ყიდვა ვერ მოახერხა. დიდძალი ქონება იმის წყალობით დააგროვა, რომ ბიზნესში მუდამ ბერეზოვსკის გვერდით იყო, მაგრამ რუსეთში ვლადიმერ პუტინის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ სამშობლოში გამგზავრება არჩია.

საქართველოში მალე პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს შემოსწყრა და დააფინანსა რევოლუცია, რომელმაც ხელისუფლების სათავეში სააკაშვილი მოიყვანა. მერე კონფლიქტი სახელმწიფოს ახალ მეთაურთანაც მოუვიდა. პატარკაციშვილმა ოპოზიციონერების დაფინანსება დაიწყო, პასუხად კი მთავრობამ ბიზნესმენს შეთქმულებაში დასდო ბრალი და ამიტომ მან თავი ლონდონს შეაფარა.

2008 წლის იანვარში პატარკაციშვილი საქართველოში ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობდა და ხმების 7 პროცენტი დააგროვა. ალბათ ხვდებოდა, რომ ვერასოდეს გაიმარჯვებდა, თუმცა მეტი ფული ჰქონდა, ვიდრე მთელ ქართველ პოლიტიკოსებს ერთად, მიაჩნია ჟურნალისტ ფელიქს კორლის. მოსახლეობას არ სჯეროდა, რომ ბიზნესში წარმატებებს კორუფციისა და სისასტიკის გარეშე მიაღწია.

საარჩევნო კამპანიის დროს პატარკაციშვილმა განაცხადა, რომ სააკაშვილმა მისი ლიკვიდაციის ბრძანება გასცა, აღნიშნავს „ფრანკფურტერ რუნდშაუ". მოგვიანებით ეს დაადასტურა საქართველოს ყოფილმა თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა. ხელისუფლებამ არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე ტელეეთერში გაუშვა ვიდეოჩანაწერი, რომელშიც პატარკაციშვილი საქართველოს ერთ-ერთი სპეცქვედანაყოფის მეთაურს 100 მილიონ დოლარს სთავაზობს, რათა სააკაშვილის დამხობაში დაეხმაროს.

საქართველოს პარლამენტის უმრავლესობის წარმომადგენელმა ნაზი არონიამ საქართველოს ტელევიზიისათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ პატარკაციშვილის სიკვდილი „სერიოზული დანაკლისია გაერთიანებული ოპოზიციისთვის", ვინაიდან მილიარდერი მას აფინანსებდა. ხელისუფლების მოწინააღმდეგებმა ამ სიტყვებს „სიცრუე" უწოდეს. ამავე დროს ოპოზიციური პარტიის „ჩვენი საქართველოს" წევრმა დავით შუკაკიძემ თქვა, რომ პატარკაციშვილის სიკვდილს „მკვლელობად" მიიჩნევს, იტყობინება გერმანული გამოცემა.

● სააკაშვილისა და პატარკაციშვილის გზები სამი წლის წინ გაიყარა. მანამდე ერთ-ერთ ყველაზე მდიდარ ქართველს კარგი ურთიერთობა ჰქონდა ახალ ხელისუფლებასთან. ბადრიმ დიდძალი სახსრები მოახმარა „ვარდების რევოლუციას“



◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ვის აძლევს ხელს ბადრის სიკვდილი

*ბადრი პატარკაციშვილის სიკვდილი იმდენად მოულოდნელი იყო, რომ ბევრი უბრალოდ არ იჯერებს, რომ ეს „ბუნებრივი სიკვდილი იყო“. ბადრის, ისევე როგორც ყოველ მდიდარ და ცნობილ ადამიანს, ბევრი არაკეთილმოსურნე ჰყავდა. მაგრამ ვინ უნდა ყოფილიყო მისი სიკვდილით დაინტერესებული სწორედ ახლა?*

*ახლავე აღვნიშნავ: არ გამოვრიცხავთ, რომ ბადრი პატარკაციშვილის სიკვდილი მართლა არ იყო პროვოცირებული. თუ ეს ასეა, სამსჯელოც არაფერია. ქვემოთ განხილული ვერსიები პირველ პლანზე გამოვა, თუ ექსპერტები მაინც დაასკვნიან, რომ ბიზნესმენი თავისი სიკვდილით არ მომკვდარა.*

## პირველი ვერსია: თბილისის ხელი

იმაზე, რომ პატარკაციშვილის სიკვდილი ხელსაყრელი იყო საქართველოს ხელისუფლებისთვის, თბილისში თითქმის ყველა ამბობს. იხსენებენ თავდაცვის ექს-მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის სენსაციურ აღიარებას, რომ მიხეილ სააკაშვილმა ორჯერ სცადა „შეეკვეთა“ მილიარდერის სიკვდილი 2005 წლის ზაფხულში. „ისე უნდა მოვიშოროთ, როგორც ლიბანში პრემიერი რაფიკ ჰარირი მოიშორეს“. მოიყვანა პრეზიდენტის სიტყვები ოქრუაშვილმა. „მოულოდნელი სიკვდილი იმ კაცის, რომელიც ამდენ პრობლემას უქმნიდა ხელისუფლებას, ძლიერ ეჭვს ბადებს“, — თქვა პატარკაციშვილის საარჩევნო შტაბის ყოფილმა მეთაურმა გიორგი ჟვანიამ. სხვათა შორის პატარკაციშვილის პირადმა ექიმმა ზაურ კირკიტაძემ განაცხადა: „ბიზნესმენს არასოდეს აწუხებდა გულის დაავადება“.

სააკაშვილისა და პატარკაციშვილის გზები სამი წლის წინ გაიყარა. მანამდე ერთ-ერთ ყველაზე მდიდარ ქართველს კარგი ურთიერთობა ჰქონდა ახალ ხელისუფლებასთან. ბადრიმ დიდძალი სახსრები მოახმარა „ვარდების რევოლუციას“. კონფლიქტი მწიფდებოდა და 2006 წლის გაზაფხულზე გამოვლინდა, როცა პატარკაციშვილმა ხელისუფლებას ადამიანის უფლებების მასობრივ დარღვევებში დასდო ბრალი. მალე კი განაცხადა: „მთელ ჩემს ქონებას მოვახმარ იმას, რომ ქართველ ხალხს ეს ხელისუფლება მოვაშოროო“. შარშან ნოემბერში მმართველმა



პარტიამ ოპოზიციას სახელმწიფო გადატრიალების მომზადებაში დასდო ბრალი. როგორც თავად ხელისუფლება აცხადებდა, სწორედ ბადრი იყო „პუტჩისტების საიდუმლო ლიდერი და რუსეთის ინტერესების გამტარებელი“.

## მეორე ვერსია: მოსკოვის ხელი

ამ ვერსიას, ალბათ, დასავლეთის ყველა გაზეთი და ტელეარხი გამოეხმაურება. ისევ ბორის ბერეზოვსკის ახლობლის (ალექსანდრე ლიტვინენკოსძ იდუმალებით მოცული სიკვდილი და ისევ ლონდონში. დასავლელი ჟურნალისტები გადაწყვეტენ, რომ ალბათ რუსეთის სპეცსამსახურების ხელი ურევია ამ საქმეში. მაგრამ როგორც ლიტვინენკოს შემთხვევაში, რუსეთის ხელისუფლებას არანაირი მოტივი არ აქვს. არც ერთი და არც მეორე არანაირ საიდუმლოს არ ატარებდა და საშიშროებას არ წარმოადგენდა. პატარკაციშვილთან რუსეთის სამართალდამცავ ორგანოებს საქმე ჰქონდათ საპროცესო კოდექსის ფარგლებში — ბერეზოვსკისთან ერთად ბადრიზე ძებნა გამოცხადდა „ლოგოვაზის“ საქმის გამო. ბოლო ხანს ბადრი უფრო მოსკოვის მოკავშირე იყო საქართველოში სააკაშვილის რეჟიმთან ბრძოლისას. რუსეთის სპეცსამსახურებისათვის ერთადერთი ლოგიკური აქტიური ზომა შეიძლება ყოფილიყო ბადრის უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ასე რომ, რუსეთის მონაწილეობის შესახებ ვერსია მეტად არადამაჯერებლად გამოიყურება.

## მესამე ვერსია: „ბაბას“ ხელი

ბევრი ამ ვერსიას ცინიკურად მიიჩნევს. ეს როგორ — ამდენი წლის მეგობარი და პარტნიორი! მაგრამ გამოძიება იძულებული იქნება ამ ვერსიაზეც იმუშაოს. და თუ კარგად დავაკვირდებით, იგი არც ისე წარმოუდგენლად გამოიყურება. ყოველ შემთხვევაში იმ თამაშში, რომელსაც ლონდონს თავშეფარებული ბერეზოვსკი ეწევა ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, შეუცვლელი ადამიანები არ არიან.

ლიტვინენკოს სიკვდილის შემდეგ იზვესტიას არაერთგზის წამოუყენებია ვერსია, რომ მის მკვლელობაში მთავარ როლს თამაშობენ სწორედ ბერეზოვსკი და მისი მფარველები დიდი ბრიტანეთის სპეცსამსახურებში. გამორიცხული არ არის, რომ ბადრისთან დაკავშირებითაც იგივე განმეორდა, რომ ქართველმა მეგობარმა ბერეზოვსკის გამოუცხადა, მოსკოვთან უფრო მჭიდრო კონტაქტისა და მისი მხარდაჭერის იმედი მაქვსო. იქნებ ლიტვინენკოს სიკვდილის საიდუმლოს გამჟღავნებასაც აპირებდა. ერთ გაუფრთხილებელ სიტყვას ბადრი ძველი მეგობრიდან საშიშ მტრად შეეძლო ექცია. გავიხსენოთ, რომ სწორედ ბერეზოვსკი იყო ბადრისთან სამშაბათს. და სწორედ ამ ვიზიტის შემდეგ მოუვიდა მას გულის შეტევა. არანაირ დასკვნას არ ვაკეთებთ, მაგრამ ფაქტები მრავალ აზრს ბადებს.

P. S. ბერეზოვსკის ლონდონში დავურეკეთ.

— ბადრის მის სიკვდილამდე 6 საათით ადრე შევხვდი, — თქვა მან. შეხვედრა მასთან სახლში კი არა, ოფისში იყო. რის შესახებ, ვერ გეტყვით. და სანამ გამოძიება არ დასრულდება, არანაირ სხვა კომენტარს არ გავაკეთებ: არც იმაზე, თუ რას ვაკეთებდით, არც იმაზე, რაზე ვსაუბრობდით, არც იმაზე, რას ვჭამდით და ვსვამდით. ვერსიებსაც არ გამოვთქვამ.

## მეოთხე ვერსია: ნევზლინის ხელი

თითქოსდა რა კავშირი უნდა არსებობდეს პატარკაციშვილსა და ნევზლინს შორის? მაგრამ ისევ ლიტვინენკოს ამბავი გავიხსენოთ. სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე ლიტვინენკო რამდენჯერმე იყო ისრაელსა და ესპანეთში. ამასთან მადრიდში ის ერთგვარ კერძო გამოძიებას აწარმოებდა „რუსულ მაფიასთან“ დაკავშირებით. თელ-ავივში კი შეხვდა ნევზლინს და წყვეტდა ამ საქმესთან დაკავშირებულ საკითხებს. ბოლო წლებში ნევზლინთან არაერთხელ ყოფილა ბერეზოვსკიც, თანაც ბადრისთან ერთად. რა თემები აკავშირებდათ ამ ადამიანებს? ჯერჯერობით ეს უცნობია. მაგრამ „იზვესტიის“ წყაროს თქმით, ერთ-ერთი შეხვედრის დროს ნევზლინი და ბადრი ერთმანეთზე ძალიან გაცხარდნენ რაღაც მედიააქტივების გამო.

გარდა ამისა, „იზვესტიას“ უკვე არაერთხელ მიუპყრია ყურადღება იმისათვის, რომ ლეონიდ ნევზლინისკენ მიემართება მომწამვლელ შემთხვევებთან დაკავშირებული ეჭვები. მაგალითად, თავის დროზე იყო მცდელობა ვერცხლის წყლის ორთქლით მოეწამლათ „იუკოსის“ ზოგიერთი თანამშრომელი. ლიტვინენკოსთან დაკავშირებით კი რუსეთის გენერალურმა პროკურატურამ პირდაპირ განაცხადა, რომ ამ დანაშაულში ეჭვი ნევზლინზე აქვს. შესაძლოა, ამჯერად ნევზლინისა და ბადრი პატარკაციშვილის ინტერესები მკვეთრად დაეჯახა ერთმანეთს.

## სხვა ვერსიები: ბიზნესიდან ყოფით კონფლიქტამდე

არ შეიძლება უგულებელვყოთ ზოგიერთი სხვა ჰიპოთეზაც. ასეთი ფინანსური რესურსების მქონე პიროვნებას არ შეიძლებოდა ბიზნეს კონფლიქტები არ ჰქონოდა. მაგალითად, ამ დღეებში გაიჟღერა ინფორმაციამ, რომ მისი მედია აქტივების და აგრეთვე თბილისის „დინამოს“ საფეხბურთო კლუბის ყიდვას აპირებს რომან აბრამოვიჩი. იქნებ ვინმემ გადაწყვიტა, არ დაუშვას ეს გარიგება. ანდა, მეორე — ყოფითი ვერსია. მაგალითად, მემკვიდრეებთან დაკავშირებული ვერსია. ესეც ხომ საკუთრების გადანაწილებაა. თუმცა, ჩვენი წყაროები ბოლო ვერსიას ყველაზე ფანტასტიკურად მიიჩნევენ.

ვლადიმერ დემჩენკო,
ალექსანდრე იაშვილი,
ვლადიმერ პერეკრესტი

ИЗВЕСТИЯ
ОБЩЕНАЦИОНАЛЬНАЯ ГАЗЕТА



# ოპოზიციონერი ბადრი პატარკაციშვილი არავის მოუკლავს

ვლადიმერ ზიბროვი: — 14 თებერვალს ლონდონში ჩამოვიდნენ ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილის ახლობლები, რათა განსვენებულის ნეშტი საქართველოში გადაესვენებინათ. მაგრამ როდის მოხდება ეს, ჯერ გადაწყვეტილი არ არის. შეგახსენებთ, რომ მთავარი ქართველი ოპოზიციონერი სამშაბათს ღამით მოულოდნელად გარდაიცვალა თავის სახლში ბრიტანეთის დედაქალაქის გარეუბანში.

ცხელ კვალზე ადგილობრივი პოლიციის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ეს სიკვდილი დიდ ეჭვს იწვევს, თუმცა გაკვეთის შედეგებმა ცხადყო, რომ პატარკაციშვილი, როგორც ჩანს, გულის შეტევით გარდაიცვალა.

ეტყობა ალექსანდრე ლიტვინენკოს (ასევე ბორის ბერეზოვსკის თანამებრძოლისძ ტრაგიკული სიკვდილის შემდეგ ბრიტანელებმა ბადრის სახლი შეამოწმებს რადიაციული მოწამვლის თვალსაზრისით. რადიაციის კვალი არ აღმოჩნდა. ახლა მოეწყობა ტოქსიკოლოგიური ექსპერტიზა, რომელსაც შეიძლება რამდენიმე კვირა დასჭირდეს.

### ექსპერტის აზრი

**ბრიტანელი პოლიტოლოგი ჯეიმს გალაჰერი:**

— ბატონ პატარკაციშვილის შეკვეთილი მკვლელობის არ მჯერა. რა თქმა უნდა, ცნობილი ბიზნესმენისა და პოლიტიკოსის მოულოდნელი სიკვდილი დიდი სენსაციაა. მაგრამ ეს ის შემთხვევა არ არის, რომლისგანაც დეტექტივი უნდა შექმნან. ბატონი პატარკაციშვილი, რასაკვირველია, გარკვეულ საშიშროებას წარმოადგენდა საქართველოს მოქმედი პრეზიდენტისათვის, მაგრამ არც ისე საშიში იყო, რომ იგი მოეკლათ.

— რას ფიქრობთ რუსულ კვალზე, რომლის ძებნაც მაშინვე დაიწყო აქ ზოგიერთმა ჟურნალისტმა?

— ეს უბრალოდ სასაცილოა. ინგლისში, ალბათ, მთელ მსოფლიოში ყველაზე ძლიერია ანტირუსული განწყობილება.

КОМСОМОЛЬСКАЯ ПРАВДА



# ყურადსაღები

**ძველების გადმოცემით, თუ გარკვეულ პროდუქტებს შეჭამ, შეგიძლია გავლენა მოახდინო შთამომავლობის სქესზე. მეცნიერებმა თაგვებზე ცდა ჩაატარეს, რომელმაც დაადასტურა, რომ დიეტა, რომელსაც ჩასახვამდე დედა იცავს, შესაძლოა, გავლენას ახდენდეს მისი მომავალი შვილის სქესზე**

## როგორ მოვუაროთ თავს?

### რატომ ვკანკალებთ სიცივეში?

**ვინ არ აუტანია სიცივეს. ყველასთვის ნაცნობია ეს უსიამოვნო შეგრძნება, რომელსაც სიცივეში განვიცდით.**

თურმე კანკალი ეს დამცავი მექანიზმია, რომლის დახმარებითაც ადამიანის სხეული გათბობას ცდილობს. კანკალი ძვლის მუსკულატურის მაღალი სიხშირით სუსტი შეკუმშვაა, რომელიც გამოჰყოფს ორგანიზმის გათბობისათვის საჭირო სითბოს.

ორეგონის ჯანმრთელობისა და მეცნიერების უნივერსიტეტის მეცნიერებმა გაარკვიეს, თუ რა მექანიზმი გამოიყენება ლაბორატორიული თაგვების ნერვული სისტემის მიერ, რათა კანკალი გამოიწვიოს.

ამ რეაქციის გამტარებელი მექანიზმია ნერვული გზები, რომლებიც უშუალოდ აკონტროლებენ კანის ტემპერატურას. საჭიროების შემთხვევაში კანისკენ იგზავნება ნერვული იმპულსი – და მოქმედებას იწყებს კანკალის დაცვითი რეაქცია. კანკალი ორგანიზმის თვითრეგულაციის ყველაზე დაბალ, პრიმიტიულ დონეზეა, ამიტომ მისი გაკონტროლება პრაქტიკულად შეუძლებელია.

მიუხედავად იმისა, რომ ეს შედეგები ვირთხებზე ცდების დროს მიიღეს, მეცნიერებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ პრიმატებშიც და ადამიანშიც ყველაფერი ზუსტად ამ სქემით ხდება. ჯერჯერობით გაურკვეველია, თუ რატომ არ რთავს ორგანიზმი იგივე ფუნქციას სტრესული სიტუაციისას. თუმცა, ცხადია ის, რომ ნერვული ტიკების ზოგიერთი ფორმა ამ გამტარი გზების დარღვევას უკავშირდება.

### ქალებისთვის მავნებელია სევდა

**ამერიკელი მკვლევარები ამტკიცებენ, რომ ქალებს, რომლებიც ხშირად განიცდიან დეპრესიას, მომავალში ოსტეოპოროზის განვითარება ემუქრებათ. ეს არის დაავადება, რომელსაც ახასიათებს ძვლის მასის შემცირება და ძვლის ქსოვილის მიკროსტრუქტურის დარღვევა.**

ახალი გამოკვლევა მოეწყო შეერთებული შტატების სულიერი ჯანმრთელობის ეროვნულ ინსტიტუტში. მეცნიერთა თქმით, დეპრესიის ოდნავი გამოვლინებაც კი ნეგატიურად ზემოქმედებს ძვლების სიმტკიცეზე, რაც დაცემის ან დარტყმის შედეგად მოტეხილობის რისკს ზრდის. ადრე ცნობილი იყო, რომ ოსტეოპოროზის მიზეზი შეიძლება სიგარეტის წევა ყოფილიყო. დღეს მეცნიერებმა დაამტკიცეს ჩონჩხის დაავადებასა და სულიერი სიმშვიდის დარღვევას, სტრესს, დეპრესიას შორის ურთიერთკავშირი.

მოცემული ანალიზი გააკეთა მკვლევართა ჯგუფმა დოქტორ ჯოვანი კიზას მეთაურობით. გამოიკვლიეს 89 ქალი,



რომელიც დეპრესიულ მდგომარეობას უჩიოდა. ამ პროექტის მონაწილეთა ასაკი 21-დან 45 წლამდე იყო. გამოკვლევაში მონაწილეობდა აგრეთვე 44 ქალი, რომლებსაც არ სჭირდათ დეპრესია.

შესაბამისი ტესტების ჩატარების შედეგ დადგინდა, რომ დეპრესიულ მდგომარეობაში მყოფი ქალების დაახლოებით 17 პროცენტი ძვლების სიმყიფეს განიცდის, რაც მომავალში ოსტეოპოროზის განვითარების პირდაპირი სიმპტომია. მეორე ჯგუფში მოცემულმა მაჩვენებელმა მხოლოდ 2 პროცენტი შეადგინა, აღნიშნავენ მკვლევარები.



### მწვანე ჩაი შველის წინამდებარე ჯირკვლის კიბოს

**დღეში ხუთი ჭიქა მწვანე ჩაი ორჯერ ამცირებს წინამდებარე ჯირკვლის კიბოთი დაავადებულთათვის ამ სენის პროგრესირების ტემპს.**

ამას მოწმობს დაკვირვების შედეგები, რომელსაც 12 წლის განმავლობაში ეწეოდა იაპონიის ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის სამინისტროს მკვლევართა ჯგუფი. მედიკოსებმა დაასკვნეს, რომ მამაკაცი, რომელსაც პროსტატის კიბო სჭირს, რაც უფრო მეტ მწვანე ჩაის სვამს, მით ნაკლებია მისი მდგომარეობის საშიშროება. ამასთან ეფექტი ეხება არა კიბოს საერთოდ, არამედ მის ბოლო სტადიებს.

იაპონელ მეცნიერთა აზრით, ეტყობა ჩაიში არსებული კატეხინები, შემაკავებლად მოქმედებენ ნივთიერებებზე, რომლებიც ონკოლოგიური დაავადების შემდგომი განვითარების პროვოცირებას ახდენს.



# ჩვენი ჯანმრთელობა ჩვენს ხელთ არის

## გვირჩევენ, ყური მივუგდოთ

### საჭმელი განწყობისათვის

**ზამთარში უფრო ხშირად გვეუფლება სევდიანი განწყობა, ვიდრე წლის თბილ დროს. ფიქრობენ, რომ ზამთრის სევდისა და აპათიის მიზეზია მოკლე დღე, უხალისო შავ-თეთრი პეიზაჟი და ვიტამინების ნაკლებობა. და თუ პირველ ორ ფაქტორს ვერაფრით აიცილებ, სასარგებლო ნივთიერებათა ნაკლებობის შევსება ხელგეწიფებათ. მით უმეტეს, რომ სულ არ არის ძნელად საშოვარი ვიტამინები და მიკროელემენტები, რომლებიც ზამთრის სევდისგან გიხსნიან.**

ვიტამინი B 1 – ხსნის დაღლილობას, დეპრესიასა და გაღიზიანებას. მეტი რაოდენობით მიირთვით უხეშად დაფქვილი ფქვილის ნაწარმი, თევზი და კრუპეული.

ვიტამინი B 5 – აძლიერებს ნერვულ სისტემას და გმატებთ სიხალისეს. მას შეიცავს კვერცხი, სოკო და პარკოსნები.

ვიტამინი B 9 – ხელს უწყობს სტრესის უარყოფითი შედეგების დაძლევას, აწესრიგებს ძილსა და მადას. ამ ვიტამინს შეიცავს ყვავილოვანი კომბოსტო, ხორცი და საქონლის ღვიძლი.

ვიტამინი B 12 – მისი ნაკლოვანების შემთხვევაში მოსალოდნელია ნერვული აშლილობა, შფოთვა და სევდა. ამ ვიტამინს დიდი რაოდენობით შეიცავს ყველა მწვანე ბოსტნეული, საფუარი და ზღვის პროდუქტები.

**მაგნიუმი** – დეპრესიისა და გაღიზიანების წინააღმდეგ ბრძოლაში თქვენი ორგანიზმის უცვლელი მოკავშირეა. მაგნიუმს უხვად შეიცავს კაკაო, კაკალი და კრუპეული.

**კალიუმი** – ააქტიურებს ნერვული სისტემის გამართული მუშაობისთვის საჭირო ფერმენტებს. კალიუმით მდიდარია პრაქტიკულად ნებისმიერი ბოსტნეული და ხილი, განსაკუთრებით კარტოფილი და ბანანი.

ამასთან არსებობს პროდუქტები, რომლებიც ანტიდეპრესანტი ვიტამინების სიუხვით ვერ დაიკვეხნის, მაგრამ სავსებით შეუძლია გაგიუმჯობესოთ განწყობა.

**ნაყინი** – ჯერ ერთი იგი ტკბილია, სიტკბო კი ორგანიზმში ყოველთვის ზრდის ენდორფინს, რომელსაც „ბედნიერების ჰორმონს" უწოდებენ. მეორეც, ფსიქოლოგებს მიაჩნიათ, რომ ნაყინის ლოკვისას ერთგვარად ბავშვობას ვუბრუნდებით და ეს ბედნიერების განცდას იწვევს.

**საფუარიანი პური და ერბოზელილი ფუნთუშები** – ისინი შეიცავს კარგი განწყობის გამომწვევ სხვა ჰორმონს – სეროტონინს. იგი არეგულირებს ნერვული სისტემის მუშაობას, აქრობს სევდას, უმიზეზო შიშსა და დაღლილობას.

**ხორცი, თევზი, კვერცხი, ნანადირევი** – ისინი შეიცავს დიდი რაოდენობით პროტეინებს, რომლებიც ასევე ხელს უწყობს სეროტონინის გამომუშავებას. ვეგეტარიანელებს ვურჩევთ ეს პროდუქტები კაკლითა და პარკოსნებით შეცვალონ.

**ყავა და შოკოლადი** – ამ პროდუქტებში ბევრი კოფეინია, რომელიც გარკვეული დროით სიმხნევეს შეგმატებთ, გაგიუმჯობესებთ მეხსიერებას და ბუნებრივ შესაძლებლობებს. თუმცა კოფეინის დახმარებით მიღებული ენერგიის მუხტი სამწუხაროდ ხანგრძლივი არ არის, ასე რომ, იმის იმედად ნუ იქნებით, რომ ერთი ფილა შოკოლადი მთელი დღით „გაგახალისებთ".



### შაქრის დონე ბავშვის სქესზე მოქმედებს

**ძველების გადმოცემით, თუ გარკვეულ პროდუქტებს შეჭამ, შეგიძლია გავლენა მოახდინო შთამომავლობის სქესზე. მეცნიერებმა თაგვებზე ცდა ჩაატარეს, რომელმაც დაადასტურა, რომ დიეტა, რომელსაც ჩასახვამდე დედა იცავს, შესაძლოა, გავლენას ახდენდეს მისი მომავალი შვილის სქესზე.**

გამოკვლევა ცხადყოფს, რომ თაგვები, რომლებსაც აძლევდნენ სისხლის შაქრის დონის შემამცირებელ პრეპარატებს, ბევრად უფრო ხშირად ბადებდნენ მდედრობითი სქესის შთამომავლობას. საყოველთაოდ აღიარებული აზრის თანახმად, ბავშვის სქესის განსაზღვრაში გადამწყვეტ როლს ასრულებს მამის სპერმა. მაგრამ დროთა განმავლობაში მეცნიერები იმის სულ უფრო მტკიცებულებას პოულობენ, რომ დედაზეც არის დამოკიდებული ბევრი რამ. მაგალითად, ადრე გამოქვეყნებულ ნაშრომებში აღნიშნავდნენ, რომ მარტოხელა დედებს ხშირად ქალიშვილები უჩნდებათ.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის უნივერსიტეტში მეცნიერმა ელისა კემერონმა და მისმა კოლეგებმა გადაწყვიტეს გაერკვიათ, თუ როგორ ზემოქმედებს დიეტის შეცვლა სქესების რიცხობრივ თანაფარდობაზე – მოცემული პოპულაციის ფარგლებში მდედრებისა და მამრების პროპორციაზე. ამისთვის მათ განაყოფიერების დროს მდედრი თაგვების სისხლში შაქრის დონე შეცვალეს.

აღმოჩნდა, რომ სისხლში შაქრის შემცირება იწვევს შთამომავლობაში მდედრობითი სქესის არსებათა პროცენტის ზრდას, თუმცა რატომ ხდება ეს, ჯერ გაურკვეველია. რაც შეეხება მამრების დაბადებას, ადრინდელმა ცდამ, რომელშიც დიაბეტიანი თაგვები მონაწილეობდნენ, აჩვენა, რომ სისხლში შაქრის მაღალი შემცველობის მფლობელები მეტ მამრებს წარმოშობენ.

ბიოლოგებმა ივარაუდეს, რომ, როცა დედა სტრესს ან ჯანმრთელობის



პრობლემებს განიცდის, მას მდედრობითი სქესის შთამომავლობა უჩნდება, ვინაიდან ეს ევოლუციურ უპირატესობას იძლევა: ავადმყოფი დედის მიერ შობილ სუსტ მამრს გაუჭირდება წყვილის მოძებნა, მდედრი კი რაოდენ სუსტიც უნდა იყოს, მეტ შთამომავლობას წარმოშობს. სწორედ სტრესის დროს ეცემა სისხლში შაქრის შემცველობა.

ფოლკლორული ტრადიციის თანახმად, თუ ოჯახს ვაჟიშვილი სურს, დედამ დიდი რაოდენობით უნდა ჭამოს წითელი ხორცი და მლაშე კერძები, ხოლო თუ ქალიშვილი – უნდა მიეძალოს თევზს, ბოსტნეულს, შოკოლადსა და კანფეტებს.

„ეს საინტერესოა, ხორცი ხომ ხანგრძლივი პერიოდით ზრდის სისხლში შაქრის დონეს, მაშინ როცა ტკბილეული ამ მაჩვენებელს მკვეთრად ზრდის, მაგრამ ცოტა ხნით, რის შემდეგაც გლუკოზის დონე მკვეთრად ეცემა", – თქვა კემერონმა.

№ 30. შაბათი, 16 თებერვალი, 2008 წელი.

# სპორტი

**მისი წინაპრები კოტორაანთკარიდან გადასახლებულან ახმეტაში. სწორედ იქ, სოფელ ახშანში, დაიბადა, ამჟამად უკვე ფოტოხელოვნების „ჯადოქარი“ სანდრო კოტორაშვილი, ჩვენი „კოტორა“. ამ სახელით იცნობენ მას თითქმის მთელ საქართველოში, „გარეულთათვის“ კი ფოტოხელოვნების დიდოსტატი ალექსანდრე კოტორაშვილია**





## ორბიტაზე

### სახიფათო მეოცე მარშრუტი



**შვეიცარიაში, ბერნის რკინიგზის სადგურიდან სტადიონამდე, სადაც 9 ივნისს ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატზე ერთმანეთს უნდა დაუპირისპირდნენ იტალიისა და ჰოლანდიის ნაკრებები, №20 ტროლეიბუსი რაღაც 10-15 წუთში, თუ საცობები არ იქნება მიიყვანს იტალიელ გულშემატკივრებს. ხოლო „სკუადრა აძურას“ ის ქომაგები, ვინც ამ გზის გავლას ფეხით ამჯობინებენ, შესაძლოა, სტადიონამდე ვერც კი მივიდნენ.**

საქმე ისაა, რომ გზად სტადიონისკენ განლაგებულია უამრავი სასმელ-საჭმლის დაწესებულება იტალიური ფირნიშებით, ისე რომ, შინაურ გარემოსა და ალკოჰოლურ სასმელებს მიჩვეულმა იტალიელებმა, შესაძლოა, ცდუნებას ვერ გაუძლონ და იქითკენ გადაუხვიონ. ვან ბასტენის გაწვრთნილებთან თანამემამულეების პაექრობის ყურება კი ერთ-ერთ ბარში ან რესტორანში ტელევიზორთან ამჯობინონ.

### რისი ეშინიათ?

**ალბათ გახსოვთ, მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ (IAAFძ პეკინის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა აუკრძალა სამხრეთაფრიკელ ინვალიდ მორბენალს ოსკარ პისტორიუსს, იმის მომიზეზებით, რომ ის თითქოს მოკვეთილი ფეხების ნაცვლად დაყენებული კარბონის სპეციალური პროთეზებით უფრო სწრაფად დარბის, ვიდრე ჯანმრთელი სპორტსმენები.**



ახლა „შერისხულმა“ მორბენალმა საჩივარი შეიტანა ლოზანას საარბიტრაჟო სასამართლოში — „მე ეს საჩივარი მარტო ჩემს გამო კი არ შევიტანე, არამედ შეზღუდული შესაძლებლობების ყველა სპორტსმენის სახელით. ჩვენ ვიმსახურებთ ყველაზე მაღალი დონის შეჯიბრებებში მონაწილეობის შანსს, თუ კი ჩვენი სხეული ამის საშუალებას გვაძლევს“.

როგორც იტყობინებიან, მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის ექსპერტებმა დაადგინეს, რომ მსგავსი პროთეზები უდავო უპირატესობას ანიჭებს სპორტსმენს.

### საჩუქრები აღარ სჭირდებათ

**წმინდა ვალენტინის დღესასწაულზე საჩუქრებისთვის დიდად არ შეუწუხებიათ თავი „მანჩესტერ იუნაიტედის“ ვარსკვლავს უეინ რუნის და მის გულისვარდს კოლინ მაკლაფლინის.**

ჯერ ერთი, სახელგანთქმულ ფორვარდს, თვეში თითქმის 100 ათას გირვანქა სტერლინგს რომ ღებულობს, სიყვარულის დღესასწაული ხელოვნურად გამოგონილ მოვლენად მიაჩნია. ამიტომაც საჩუქრებისთვის არც ზრუნავს, ხოლო უეინ კოლინამ უკვე მიიღო უდიდესი საჩუქარი — თავისი რჩეულის გამო საყოველთაო აღიარება. მის ფოტო-სურათებს მსოფლიო პრესა თითქმის ყოველდღიურად აქვეყნებს. მაკლაფსინს ხომ მხოლოდ შარშან 15 მილიონგირვანქიანი სარეკლამო კონტრაქტი გაუფორმეს. ისე რომ, ორიოდე გირვანქა ნამდვილად მოეძიებათ საჩუქრებისთვის. თუმცა, რაც მთავარია, ამ ზაფხულს ხომ ისინი ცოლ-ქმარი გახდებიან. ეს კი ორივესთვის ყველაზე დიდი საჩუქარია.



## კალათბურთი

# მხოლოდ შედეგები

**ხუთშაბათს გამართული ხუთი მატჩით დასრულდა ევროლიგის მეორე ჯგუფური ეტაპის სასტარტო ტური. გაუწყებთ მათ შედეგებს:**

„მონტეპასკი“ — „პარტიზანი“ 71:54,
„არისი“ — „ფენერბახჩე“ 88:96,
„ბარსელონა“ — „უნიკახა“ 64:62,
„ოლიმპიაკოსი“ — „მაკაბი“ 67:75,
„რეალი“ — „ჟალგირისი“ 88:85.



## ძიუდო

# გამოცდას ვინ იბარებს?

**ავსტრიის დედაქალაქი, თბილისისა და პარიზის ბატალიების შემდეგ, დღეს და ხვალ ძიუდოისტთა მესამე სალიცენზიო ტურნირს — მსოფლიო სუპერთასის გათამაშებას უმასპინძლებს.** ამ შეჯიბრებაზე საქართველოს ნაკრები სათადარიგო შემადგენლობით იასპარეზებს. ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას დაიცავენ **ამირან პაპინაშვილი და ვახტანგ ხოსიტაშვილი** (60 კგ.ძ, **უჩა ხუციშვილი და მინდია ხომიზური** (66ძ, **თენგიზ პაპოშვილი** (73ძ, **საბა გავაშელიშვილი და ლევან წიკლაური** (81ძ, **ვალერი ლიპარტელიანი და ბესიკ ტყემალაძე** (90ძ, **ლევან რაზმაძე** (100ძ, **გიორგი ყიზილაშვილი და ზვიად ხანჯალიაშვილი** (მძიმე წონაძ. მომდევნო უქმეებზე ძიუდოისტთა ელიტა ჰამბურგში შეიკრიბება.

## ფეხბურთი

# უეფაზე თებერვალი დადგა

**უეფას თასის გათამაშების მთავარი ფავორიტი მიუნხენის „ბაიერნი“ წლევანდელ რაუნდში შოტლანდიაში „აბერდინთან“ გამართული პირველი მეთექვსმეტედფინალური შეხვედრით ჩაება. მასპინძლები ორჯერ დაწინაურდნენ (უოლკერი, ალუკოძ და ალტინტოპის ძალისხმევით ბავარიელებმა ქულა გადაარჩინეს — 2:2.**

ლონდონის „ტოტენჰემმა“ პრაღაში შესვენებამდე მოაგვარა საქმე „სლავიასთან“ (ბერბატოვი, კინიძ. მეორე ტაიმში შტრიჰავკას მიერ გატანილ პრესტიჟის გოლს საერთო სურათი დიდად არ შეუცვლია — 1:2.

ფეხბურთის სამშობლოს კიდევ ერთმა წარმომადგენელმა „ბოლტონმა“ შინ 1:0 სძლია მადრიდის „ატლეტიკოს“ (დიუფიძ. აღსანიშნავია, რომ გადამწყვეტ ეპიზოდამდე 1 წუთით ადრე მსაჯმა მინდვრიდან ესპანელთა სნაიპერი აგერო გააძევა და იგი საპასუხო დუელს გამოტოვებს.

შვეიცარიის ერთადერთ წარმომადგენელს „ციურიხს“ მრისხანე მეტოქე შეხვდა „ჰემბურგის“ სახით. ბუნდესლიგის ბინადარმა ამჯერადაც დაამტკიცა საკუთარი წლევანდელი ამბიციების საფუძვლიანობა — 3:1 (იაროლიმი, ოლიჩი, ტროხოვსკი; ჰასლიძ.



კიდევ ერთი გერმანული კლუბი „ნიურნბერგი“ ლისაბონში „ბენფიკასთან“ დამარცხდა — 0:1 (მაკუკულაძ, თუმცა მინიმალური შედეგი, დაგვეთანხმებით, ალემანებს საერთო წარმატების მოპოვების კარგ შანსს უტოვებს.

მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა მერვედფინალისკენ ფლორენციის „ფიორენტინამ“, რომელმაც ნორვეგიაში „რუსენბორგს“ მოუგო — 1:0 (მუტუძ.

**საპასუხო მატჩები 20-21 თებერვალს მოეწყობა.**

## ვულოცავთ!

# ჩვენი „კოტორა“

**მისი წინაპრები კოტორაანთკარიდან გადასახლებულან ახმეტაში. სწორედ იქ, სოფელ ახშანში, დაიბადა, ამჟამად უკვე ფოტოხელოვნების „ჯადოქარი“ სანდრო კოტორაშვილი, ჩვენი „კოტორა“. ამ სახელით იცნობენ მას თითქმის მთელ საქართველოში, „გარეულთათვის“ კი ფოტოხელოვნების დიდოსტატი ალექსანდრე კოტორაშვილია.**

დაუღალავი, ახალგაზრდული, იუმორით სავსე ჩვენი „კოტორა“ თურმე სამოცდახუთი წლისა გამხდარა. თურმე-მეთქი, ვამბობ, რადგან არავინ იჯერებს მის ასაკს. უღალატოა მეგობრობასა და საქმეში, უღალატოა ფოტოხელოვნებაშიც. ფიზკულტურის ინსტიტუტთან არსებული მწვრთნელთა სკოლის კურსდამთავრებულმა მოგვიანებით იმჟამინდელი პუშკინის სახელობის პედინსტიტუტი დაამთავრა ქართული ენისა და ლიტერატურის განხრით. ირიბად არც თავისი სპეციალობისთვის უღალატნია — ემსახურება ჟურნალისტიკასა და სპორტის საქმეს.

პირველი ფოტო 1963 წელს გამოაქვეყნა. მას შემდეგ ათიათასობით ულამაზესი კადრი აჩუქა ფოტომოყვარულებს.

თვრამეტი პერსონალური გამოფენა ჰქონდა თბილისში, ბათუმში, მშობლიურ ახმეტაში, სანკტ-პეტერბურგში, პოლონეთსა და გერმანიაში... პირველ დიპლომს (გერმანიაში გამართულ კონკურსში ვერცხლის დიდი მედალი დაიმსახურაძ უამრავი ჯილდო მოჰყვა. ღირსების მედალოსანი, ღირსების ორდენოსანი, დამოუკიდებელი საქართველოს ჟურნალისტთა პრემიის ლაურეატი, მიხეილ კაკაბაძის პრემიის ლაურეატი, სპორტის დამსახურებული მუშაკი, არაერთი კონკურსის პრიზიორი (სპორტულ თემაზე შექმნილი ნამუშევრებისთვისძ თავმდაბალი და უჩუმარი ადამიანია. მასზე მისი უამრავი მეგობარი, სპორტსმენი, პოლიტიკოსი, ხელოვნების მსახური, კოლეგა თუ საუბრობს, თორემ თავად სიტყვას ვერ დააძვრევინებ თავის მიღწევებზე. „კოტორა“ სპორტის ნებისმიერი სახეობის შეჯიბრზე, „კოტორა“ საკონცერტო დარბაზებში, „კოტორა“ საქართველოს ნებისმიერ კუთხეში მიუვალ ციხე-სიმაგრეებსა და მთა-ბარში მიმობნეულ ეკლესიებთან, „კოტორა“ საქართველოში ბოლოდროინდელი განვითარებული მოვლენების ეპიცენტრში განუყრელი აპარატითა და ჩანთით, რომლითაც უამრავ შესანიშნავ კადრსა და ფირს დაატარებს.



ჩვენი სანდრო დღეს იუბილარია. ვულოცავთ ჩვენი რედაქციის უერთგულეს თანამშრომელს ამ ლამაზ თარიღს და მისი უამრავი თაყვანისმცემლის კეთილ სურვილებს ვუერთდებით.

**მამუკა ვაშაკიძე**









# საზოგადოება

**სექსისადმი დამოკიდებულება თაობის ფასეულობებს აყალიბებს. ამჟამინდელ ახალგაზრდებს კი სწავლულები ასექსუალებად მოიხსენიებენ. მათთვის სიცოცხლის ინტიმური სიხარული სამყაროს... შეცნობის ხერხი არ არის, როგორც მათი მშობლებისათვის და არც თვითგამოხატვის შესაძლებლობაა. უფრო ეს არის შიდსის აკიდების ან სულის აფორიაქების ისტორიაში გაბმის შანსი**

◎ ხუმარსიტყვა

# კოჭლი ტყუილი

**თქვენ წარმოიდგინეთ, ეს ჭეშმარიტება სულ ახლახან აღმოვაჩინე. თურმე ნუ იტყვით, მსოფლიოში გახმაურებული ყოველი ცნობილი ადამიანი რაღაც დამსახურების გამო გახდა ცნობილი, პრეზიდენტი პინოჩეტი, მაგალითად, რომელმაც ჩილეს ეკონომიკა ყაყაჩოსავით ააყვავა, იმდენად თავკერძა და მიუტევებელი მბრძანებელი იყო, რომ დიქტატორს ძეგლი სამშობლოში სიცოცხლეშივე აუგეს.** აი, საქვეყნოდ აღიარებული მსახიობი ბარბარა სტრეიზანდი კი, რომელსაც ფული თავზე გადასდის, თურმე მაღაზიიდან ისე არ გამოვა, შემთხვევით ხელს მოპარული ნივთი არ გამოაყოლოს. რაღა შორს წავიდეთ, ჩვენი ქარიზმა პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილიც ეგრე არ არი? კაცი, რომელმაც გზებისა და შადრევნების მშენებლობით მთელ დუნიაზე გაითქვა სახელი, დღეს ისე არ დააღამებს, რამდენიმე მამალი ტყუილით არ გაგვაცუროს.

ხელმწიფის ამ დამსახურებათა წყალობით საქართველოში დღესდღეობით ხალხი მდინარის გაღმა-გამოღმით არის დაბანაკებული. გაღმელები აღმერთებენ მეფის აღმშენებლობით მოღვაწეობას (დევიზით: მიდი მიშა!), ხოლო გამოღმელები მიწასთანასწორებენ მის ტყუილმთხზველობას (დევიზით: წადი მიშა!). მე პირადად არც ერთის მხარეზე არა ვარ. ისე კი, ვფიქრობ, სახელმწიფოს მეთაურს, რომელიც ნიადაგ ქვეყნის საქმეებშია ჩაფლული, ილუზიებით (ამ შემთხვევაში ტყუილებით) თავის შექცევის უფლებაც უნდა ჰქონდეს. მით უფრო, ბატონებო, რომ ადამიანის უფლებების დაცვის ევროპული კონვენცია და თვით ჩვენი კონსტიტუციაც ცრუპენტელობას და მუცლით მეზღაპრეობას არავის უკრძალავს და რაღა მაინც და მაინც საქართველოს პრეზიდენტს უნდა დავადოთ პირზე ბოქლომი?



ამას განსაკუთრებით ოპოზიციის გასაგონად ვამბობ, რომლის ცალკეული ლიდერები იქამდეც კი მივიდნენ, რომ პრეზიდენტს უთვლიან, სად რამდენი ტყუილი თქვა, თანაც არა მარტო აქ, მშობლიურ ქვეყანაში, არამედ საზღვარგარეთული ვოიაჟების დროსაც კი. „ახალი მემარჯვენეების“ ერთ-ერთი თავკაცი, მაგალითად, მიხეილ სააკაშვილს ცილს სწამებს, რომ მან ევროსაბჭოს ასამბლეაზე გამოსვლისას, რაღაც 20 წუთში 8 ტყუილის თქმა მოასწრო. კერძოდ, მან განაცხადა, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში დარღვევები უმნიშვნელო იყო და მას შედეგებზე გავლენა არ მოუხდენია. ეს მტკნარი სიცრუეა, ამბობს ოპონენტი, სწორედ ამ დარღვევებმა მოუტანა სააკაშვილს ხმების 53 პროცენტი და ყალბი გამარჯვება. ასევე იცრუა ქვეყნის მეთაურმა, როცა თქვა, რომ ამომრჩეველთა 80 პროცენტმა დაუჭირა მხარი ნატოში ინტეგრაციას, არა, ბატონებო, აცხადებს „მემარჯვენე“, ნატოში შესვლის სურვილი რეალურად მხოლოდ 63 პროცენტმა გამოხატა.

ჩნდება ეჭვი: ოპოზიციონერმა პოლიტიკოსმა ვითომ სწორად დათვალა პრეზიდენტის ევროტყუილები? არა მგონია. მე როგორც სარწმუნო წყაროებით დავადგინე, იმავე ასამბლეაზე გამოსვლისას, როცა სააკაშვილს ბრალი დასდეს არჩევნების „მეორე ტურის მოპარვაში“, ის, პირიქით, გალმა შეედავა ოპონენტს და განაცხადა, რომ მან კი არ მოიპარა ხმები, არამედ თავად მას მოპარეს, თორემ მომხრეები 53 პროცენტი კი არა, კაი 5 პროცენტით მეტი მეყოლებოდაო.

ჰოდა, ჩვენმა კირკიტა „მემარჯვენემ“ თუ მართლა სწორად დათვალა სააკაშვილის სტრასბურგული ტყუილები, ასეთი ხელსაყრელი ფაქტი ხელიდან რატომ გაუშვა? ან იქნებ ბატონმა ოპოზიციონერმა ეს ტყუილი სიმართლედ აღიქვა და პრეზიდენტის ტყუილების სერიალს იმიტომ არ მიათვალა?

ასე ჰაიჰარად ლაპარაკი, ბატონებო, არ შეიძლება. როცა პრეზიდენტის ტყუილებს ვითვლით, ეს საქმე დიდი სიფრთხილითა და სიზუსტით უნდა ვაკეთოთ, რათა ქვეყნის ნაციონალ-რევოლუციონერთა ისტორიული ღვაწლის წინაშე შერცხვენილები არ აღმოვჩნდეთ!

ეს მარტო პოლიტიკოსებს კი არა, ჩვენ, ჟურნალისტებსაც გვეხება. ამას რომ ვამბობ, არ შემიძლია არ გავიხსენო ერთი ჩემი კოლეგის (გვარის დასახელებას შეგნებულადავერიდე) ამასწინანდელი პუბლიკაცია, რომელშიც ის პრეზიდენტს პენსიონერების მოტყუებაში ადანაშაულებს.

ნახეთ, რა იკადრა, პირველმა ხელისუფალმა, წერს იგი, პენსიონერებს ჯერ დაჰპირდა – 2008 წლის იანვრიდან პენსიები 76 ლარი გახდებაო, შემდეგ კი თავის ნათქვამში შესწორება შეიტანა – საჩქარო არაფერია, მატება წლის განმავლობაში განხორციელდებაო. ამ დღეებში პრეზიდენტმა ადრე დანაპირები კიდევ ერთხელ დააზუსტა: პენსიები ამ გაზაფხულზევე გაიზრდებაო.

ასეა, პრეზიდენტი ნელ-ნელა აზუსტებს ადრე გაცემულ დაპირებათა შესრულების თარიღებს, ზოგ-ზოგ სულსწრაფებს კი ეჩვენებათ, რომ ხალხს ატყუებს, ასე თუ გავყევით, შეიძლება, პრეზიდენტმა რომ თქვა, საზღვარგარეთ სიარულს მოვუკლებ და უფრო მეტად ჭოპორტში პამიდვრის მოსაყვანად ვივლიო, ესეც მორიგ ტყუილად მოეჩვენოთ, რადგან მას შემდეგ უცხოეთში კი იყო, მაგრამ ჭოპორში ჯერაც არ ასულა.

თქვე კაიოჯახიშვილებო, აქამდე ჭოპორტში ყინვები იყო და პრეზიდენტი რომც ასულიყო, რა უნდა ეკეთებინა? ასეა სხვა დაპირებებიც, რომლებსაც პრეზიდენტს თუ დავაცდით და არ გადავაყენებთ, ის მეორე ვადაში უეჭველად შეასრულებს. ისე, რომც არ შეასრულოს, ვითომ ქვეყანა დაიქცევა? ბოლოს და ბოლოს ამ კირკიმალა ოპოზიციის შიშით პრეზიდენტმა დემოკრატიით მოყირჭებულ ხალხს ჩაროზად ერთი კოჭლი ტყუილიც ველარ უნდა შემოგვაპაროს?!...

**ოტია ჩართოლანი**

◎ მოულოდნელი რაკურსით

# ბოროტებას დუელში ვიწვევ!

**„მე ბოროტებას დუელში ვიწვევ, ვიცი, რომ ბრძოლა გამიჭირდება, ფარ-ხმალს არ დავყრი, ვიბრძოლებ მანამ, სანამდე გული გამიცივდება“ – წერს პოეტი და ჟურნალისტი ჯემალ ბაშარული თავის ახალ წიგნში „მე ჩემს სათქმელს ლექსად გეტყვით“ და გულწრფელად მიგვანიშნებს, რომ ამ ქვეყნად ყოველგვარ უკეთურობასთან ბრძოლა ადამიანის უპირველესი მოვალეობაა.**

ავტორის პირველმა წიგნმა მკითხველის მოწონება დაიმსახურა. მეორე, შევსებული გამოცემა, რომელიც პოეტის დედის ეფემია ხარატიშვილი-ბაშარულის ხსოვნას ეძღვნება, – მიწიერი, უბრალო, პატიოსანი კაცის ალალი გულისთქმაა. ლექსები პუბლიცისტური სიმახვილით, სარკაზმითა და იუმორით გამოირჩევა.

ისტორიულად, გორის შემოქმედებითი ინტელიგენცია მუდამ ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა. სწორედ ასეთ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის საქართველოს საზოგადოება „ცოდნის“ დამსახურებული ლექტორი, შიდა ქართლის კოორდინატორი, მწერალთა და ჟურნალისტთა კავშირების წევრი, ასოცირებული პროფესორი ჯემალ ბაშარული.

ერთმნიშვნელოვნად უნდა ვთქვა: ჯემალ ბაშარულის ეს კრებული ავტორის დიდი გამარჯვებაა. „თუ საქართველოს პატრიოტი ხარ, მისთვის ლოცულობ შენ დღე და ღამე, არ შეურიგდე ერის გათიშვას, ხმა ამოიღე, იღონე რამე!“




ჭეშმარიტად, ძვირფასო ჯემალ! გვჯერა რომ შენი ძლიერი გული დიდხანს იძგერს და შენი მართალი, ძარღვიანი სიტყვა მრავალჭირნახული ქართველი ერის გაერთიანება-აღორძინებას დაედება სალბუნად.

წიგნის რედაქტორია ამირან არაბული, მხატვარი – ჟორა კუსრაშვილი. წიგნი გამოსცა „საზოგადოება ცოდნამ“.

**დათო ახლოური**

◎ ტაბუ?

**სექსისადმი დამოკიდებულება თაობის ფასეულობებს აყალიბებს. ამჟამინდელ ახალგაზრდებს კი სწავლულები ასექსუალებად მოიხსენიებენ. მათთვის სიცოცხლის ინტიმური სიხარული სამყაროს... შეცნობის ხერხი არ არის, როგორც მათი მშობლებისათვის და არც თვითგამოხატვის შესაძლებლობაა. უფრო ეს არის შიდსის აკიდების ან სულის აფორიაქების ისტორიაში გაბმის შანსი. X თაობად მონათლული კი არ ცხოვრობენ, არამედ გაძლებაზე არიან, სიყვარულში, როგორც მორევში კი არ ეშვებიან, არამედ გულდასმით ირჩევენ პარტნიორებს.**

**დიახ, ასექსუალობა ის დიაგნოზია, რაც X თაობას (ასეთს მიაკუთვნეს 1963-1983 წლებში დაბადებულნი) დაუსვა ჩიკაგოს (აშშ) უნივერსიტეტის სოციოლოგიის პროფესორმა ედვარდ ლომანმა, როგორ იცვლება სექსუალობა სხვადასხვა თაობაში და როგორ ცვლის ადამიანებს საზოგადოებაში – ამაზე ესაუბრა „ოგონიოკის“ კორესპონდენტი ცნობილ მეცნიერს.**

# ყველაზე საგულისყურო 18-დან 59 წლამდე ასაკში ხდება

**– დიდი ხანია, რაც X თაობის სექსუალობის შესწავლას ეწევით. როგორ დასკვნამდე მიხვედით?**

– მასშტაბური კვლევა 18-20 წლის ამერიკელთა შორის ჩავატარეთ. გამოკითხულთა 30 პროცენტმა გვიპასუხა, რომ კარდინალურად შეცვალეს სექსუალური ყოფაქცევა: არ ებმებიან შემთხვევით კავშირებში, სიფრთხილით ეკიდებიან პარტნიორების შერჩევას.

ისიც გამოვარკვიეთ, რომ X თაობის წარმომადგენლებზე დიდი გავლენა იქონია მათი მშობლების გამოცდილებამ. თავისუფალი, ზოგჯერ ფუქსავატური და მოუფიქრებელი ქორწინებები ძალიან ხშირად გაყრებით მთავრდებოდა. ახლა ოცდაათწლიანებს აღარ სურთ მშობლების შეცდომების გამეორება და ამჯობინებენ, რომ საერთოდ არ დაქორწინდნენ.

**– ზოგიერთები ხომ მაინც ქმნიან ოჯახს.**

– ნამდვილად ასეა, მაგრამ ოჯახის თვალსაზრისით ბევრი რამ შეიცვალა საერთოდ. ახლა ქორწინებას ერთობ სერიოზულად ეკიდებიან და შემდეგისათვის გადასდებენ ხოლმე.

**– როგორ ირჩევენ პარტნიორებს ეგ ფრთხილი ასექსუალები?**

– პარტნიორი, კერძოდ, სექსუალურიც, ხდება ახლობელი, ხდება ის, ვისაც კარგად იცნობ. ჩვეულებრივ ეგ არის კაცის ახლობელი წრიდან, ვისაც მთლიანად ენდობი. ახალ პარტნიორებზე ასექსუალები საკმაოდ მძიმედ გადადიან.

**– სადღეისოდ როგორი ცნებაა სექსუალობა – ფიზიკური თუ სოციოკულტურული?**

– უფრო სოციოკულტურული. იმ შემთხვევას ვგულისხმობ, როცა ადამიანს არა აქვს სქესობრივი დისფუნქცია. X თაობას თუ წინასწარ შევადარებთ, დავინახავთ, რომ ადრე საზოგადოება უფრო თავისუფალი იყო მორალურ პლანში. ამჟამინდელი სამოციწლისანები მაშინ უფრო გახსნილები იყვნენ ყოველივე ახლისადმი, არ ეშინოდათ შეცდომისა თუ გარისკვისა.

ასექსუალების თაობის წევრთა სოციალური ქცევები კი სხვაგვარია – კარიერის მწვერვალებს არ ეპოტინებიან, კონფლიქტურ მომენტებს ერიდებიან, სხვებთან კამათზე თავს არ იკლავენ.

**– კი მაგრამ, ხომ შეიძლება ახლო მომავალში სწორედ ასექსუალები მოვიდნენ ხელისუფლებაში და გადაწყვეტილებათა მიღება მათს ხელში აღმოჩნდეს...**



– მაშინ პოლიტიკა ნამდვილად უფრო ფრთხილი და მოფიქრებული გახდება, თუმცა ყველა საფუძველი გვაქვს იმის საფიქრებლად, რომ მათ უმალვე შეცვლიან უფრო ნორჩი თაობის უფროსი პროგრესული წარმომადგენლები მეტი გაბედულებითა და ცხოვრებისადმი ცნობისმოყვარეობით.

**– ეგ ახალი ანუ მომდევნო თაობა, რომელსაც უკვე შეარქვეს Y როგორილა იქნება?**

– ოდესღაც, 1960-იანში, ადამიანები ცხოვრებას საკუთარი თავისათვის სექსის საშუალებით აღმოაჩენდნენ ხოლმე, თანაც თავს ნარკოტიკებითა და დასალევით იბრუებდნენ. ასევე ახლაც ახალგაზრდები თითქოს ხელახლა ეცნობიან სექსს, თუმცა უკვე ინტერნეტით, პორნოგრაიული შინაარსის საიტები მდიდრულ ინფორმაციას აწვდიან. ახალგაზრდა თაობა სექსს როდი აღიქვამს, როგორც რაღაც სერიოზულს. მისთვის ეს უფრო გართობა და ექსპერიმენტია. მართალია, სექსი, როგორც ასეთი, ახალგაზრდებს ეგებ მოსწყინდეთ კიდეც, ამიტომაც სულ მეტად დაინტერესდებიან რაიმე უფრო პროგრესულით – მაგალითად, ვირტუალური სექსით, ინტერნეტის საშუალებით.

**– სექსზე იმდენს ვლაპარაკობთ, თითქოს ცხოვრებაში ეს ყველაზე მთავარია...**

– ჩვენ გავთვალეთ, რომ სხვა ადამიანებთან ურთიერთობებში კაცისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი და საგულისყურო ხდება 18-დან 59 წლამდე პერიოდში. აქედან 25 წლის მანძილზე თქვენ შეიძლება რამდენჯერმე იყოთ დაქორწინებული, ასე 7 წელი ეგებ ვინმესთან სქესობრივ ურთიერთობებში იყოთ, დანარჩენი დრო კი შეიძლება მარტოობაში გაატაროთ....

● იგი იყო სუფრის გამშლელი და ქეიფის მოყვარული კაცი. ღვინის მეჟაშნიკე, სუფრის გამძღოლი და სიტყვის მთქმელი, მეინახე და მერიქიფე. და ისე ცხოვრობდა, როგორც კინოში, როგორც ეკრანზე, არანაირ როლს არ თაკილობდა, დახვეწილი გემოვნება გააჩნდა და ნიუანსებში გრძნობდა პაწაწინა სახასიათო შტრიხს თუ მიზანსცენას...



◉ გახსენება

# სადა ხარ, ლორთქი?!

უნივერსიტეტის ეზოში შესულს წამომეწიე, მხარზე ხელი გადამხვიე და თვალებში შუქჩამდგარმა მითხარი: „შენც გურამი, მეც გურამი, რაღად გვინდა შუა კაცი!“

აბრეშუმის თეთრი, საყელომოქარგული „უკრაინკა“ გეცვა...

ეს იყო 1950 წლის აგვისტოს ხასხასა დილას...

ასე ხელგადახვეულებმა ვიარეთ 57 წელი!

ახლა არ მითხრა – გავიხსენოთ ის დღეებიო. არც მინდა!

ერთს კი შეგახსენებ: ხშირად მე „ლორთქის“ მეძახდნენ, შენ კი „კოიას“.

ჯერ ვერ გავრკვეულვარ – ყველაფერი ეს მართლა მოხდა?

ახლახან არ იყო? ჩვენი პირნათელი უმცროსი მეგობარი გია კერესელიძის გამოსათხოვარ სუფრასთან რომ დავსხედით, ერთი ორჯერ დაგვხედე მე და ბუბა კიკაბიძეს (შავი ძველმოდური ჯიბეებიანი ხალათი ძალზე გიხდებოდა!ძ.

უცებ გაქრი და წყლით სავსე გრაფინით დამადექი თავზე: „ეს თქვენმა მეუღლემ, დოდომ გამოგიგზავნათ, ჩემო ბატონო“ – წამჩურჩულე.

– რაო? – მოუქციე იმერულად.

– რაო და ღვინოში გაურიოსო!

მიფრთხილდებოდი!

...დილით, როდესაც დარეკავდი, უმალვე კითხულობდი: „როგორ ხარ? ხომ არ გაგაღვიძე „იუზგარ“?

ასეთი ჩვევა გქონდა – დილიდანვე ეხმაურებოდი ნათესავ-მეგობრებს.

იმ ღამესაც, შენ საყვარელ ტახტზე ჩამომჯდარი, ძილის წინ ალბათ გეგმავდი, დილით ვის უნდა შეხმიანებოდი, ვინ გაგეღვიძებინა, ვისთვის მოგელოცა ქრისტეშობა!

ვერ გაიღვიძე, ვერ გაითენე შობა!

„არაჩვეულებრივ გამოფენაში“ უცნობისგან თვალებზე ხელაფარებული, რო კითხულობ, „კოია ხარო?..“ მე ის კოია ვარ! მხოლოდ ახლა გულდამდუღრებული, ფრთებშეჭრილი დავლასლასებ ვერაზე და დაგეძებ: „ლორთქი! სადა ხარ?!“

**გურამ გომართელი**

# ა, სული, ა, გული

## ანუ ერთი საღამო ლორთქიას სუფრასთან

მსახიობს მთელი ქვეყანა იცნობს.

ლორთქიას (გურამ ლორთქიფანიძესძ მთელი ქვეყანა იცნობდა.

ლორთქიას სახლში იყრიდნენ (ვიყრიდითძ თავს მისი მეგობრები.

იგი იყო სუფრის გამშლელი და ქეიფის მოყვარული კაცი. ღვინის მეჟაშნიკე, სუფრის გამძღოლი და სიტყვის მთქმელი, მეინახე და მერიქიფე. და ისე ცხოვრობდა, როგორც კინოში, როგორც ეკრანზე, არანაირ როლს არ თაკილობდა, დახვეწილი გემოვნება გააჩნდა და ნიუანსებში გრძნობდა



პაწაწინა სახასიათო შტრიხს თუ მიზანსცენას...

ლორთქისთან გატარებული მრავალი საღამოდან (გაშლილ სუფრასთან, პოკერის მაგიდასთანძ, ახლა ეს ერთი საღამო მაგონდება...

„სინამდვილეს არ ვემდური,
არ ყოფილა თითქმის...“

აქვე უცებ შუა ქეიფში და მერე და მერე, უფრო და უფრო გაგვშორდა თითქოს...

„არის ცხოვრება გამათხოვრება
თუ მასხოვრება იქნა...“

ეს თქვა და დასძინა: დამარცვლით, დაწალიკებით:

– თუკი.. მხოლოდ და მხოლოდ... მახსოვრება იქნა... ჩვენ მუდამჟამს თავი მოგვაქვს ჩვენი წინაპრებით, უკეთესი იქნებოდა ჩვენით მოჰქონდეთ თავი ჩვენს წინაპრებს.

მერე ბუბამ გვაცინ-გვატირა.

გურამი ბარნოვი სდუმს.

გურამ საღარაძემ დარეკა, პოკერი თუ შედგებაო.

მურმან ლებანიძე რაჭაშია, კვაშხიეთში.

კოია სადღეგრძელოს ამბობს.

ვიღაცამ დარეკა ისევ. დენი თუ გაქვთო. ცოტა გვაქვსო, შეიწყალა ჩვენთვის უცნობი მეკავშირე ლორთქიმ, რა მიხარიაო, მოაყოლა და უცებ მოიწყინა.

დავლიეთ მიცვალებულთა შესანდობარი.

არ იქნებოდა ლორთქია ჭირის დღეს გამოკლებოდა, პანაშვიდზე არ მისულიყო, მიცვალებული არ გაეცილებინა, შესანდობარი არ დაელია.

– იმ ოთახში მეტად არ დამიძინია, – თავისთვის ჩაილაპარაკა და გაჩუმდა.

მან იცოდა დუმილის ფასი.

– მე რომ უცებ ავყვირდები და თქვენ რომ უცებ გაჩუმდებით, რაზე ფიქრობთ, ერთი გამაგებინა.

მაგიდა გაქვავებულია და მე „არაჩვეულებრივი გამოფენა“ მაგონდება. ყველანი ვდუმვართ და ვგავართ ქანდაკებებს. ლორთქია გახევებული დგას და გვაკვირდება. სიწყნარეა ოთახში და ანა ახმატოვას ლექსისა არ იყოს, ისმის, დრო როგორ მიდის. და ლორთქიამ, თითქოს ჩემი ფიქრები წაიკითხაო, ალაპარაკდა:

– დრო უარაკოა, ხანი არ ემატება, არ აკლდება. დროა ღმერთი, აბა რა არის, ეს პლანეტა რომ ერთი შეცანცარდეს, სადაა შენი ჰომეროსი!

– რატომ რუსთაველი არ ახსენემეთქი.

– ორივე ჩემი არ არისო. ორივე დროის შვილიაო.

სუფრას რომ კაცი შემოემატება, ლორთქია ფეხზე დგება, ხან ვის ამოუდგება გვერდით, ხან – ვის, და ხან კიდევ – შემოაქვს ჩაციებული ლუდი, ღვინო თუ არაყი. „მოსამსახურეს ვაზა დაჰქონდა“, თქვა რატომღაც, ფიქრებში, როგორც ჩანს, ისევ გალაკტიონი უტრიალებდა, თქვა და შემომხედა, შენ თუ გახსოვსო, ესე იგი, ვისი სტრიქონიაო.

იმ საღამოს, შეუმჩნევლად გავიდა ოთახიდან და კარგა ხანი არ გამოჩენილა.

– კაცს უნდა შევხვედროდიო, სათქმელი მქონდა.

ცხელა.

მერაბ კაპანაძემ ბუზს ხელი აუქნია.

– შეეშვი, რა უნდა შეჭამოს იმდენი, რომ არსად არ აყენებენ, – გაეხუმრა მეგობარს და ისევ მოვიდა სიტყვის თქმის ლაზათზე.

– ბუზმა რა უნდა დამაკლოს. ბუზს ჩემი მოკვლა არ შეუძლია, არც ჩიტს, არც ალუბალს, ეგერ, ფანჯარაში რომ ჩანს, არც იმ ჭადარს, მე კი, როცა მინდა, ავდგები და ძირში მოვხერხავ. აბა! ადამიანს აქვს დიდი უპირატესობა თავისი კიდობნის წევრებთან და, მე მგონია, რომ სწორედ ეს არის არა – ადამიანური...

მოკლე ხანში, ლორთქია წამოდგა, გამოეწყო, სიმთვრალე ხომ არ მეტყობაო, გვითხრა, ღამის გადალებაზე მივდივარო და სახლიდან გავიდა. ვიღაცამ საათზე დაიხედა და ხმამაღლა გამოაცხადა, სამის ნახევარიაო.

– რა ცხენი და რა მსახიობი, – თქვა იმ საღამოს ზაურ კვირკველიამ, – ორივე მათგანი დღემუდამ ფეხზეაო.

დავრჩით სტუმრები.

არა!

მასპინძლები!

ლორთქიას სახლში ყველა მასპინძელი და არავინ – სტუმარი.

იმ ხანებში, ერთი რუსი მწერალი (ნაბოკოვიძ ახსენა.

წიგნი ვუსახსოვრე და თან წავაწერე:

– ა, სული, ა, გული!

ა, კაცი! აგული!

ბევრი იცინა. მერე მითხრა:

– ჩემზე წერ მაგას თუ ნაბოკოვეზეო. გალაკტიონის ცნობილ ლექსს მაგონებსო, მითხრა, რა, ცხადია, იოტისოდენადაც არ გამკვირვებია.

ავახ!

**მურმან ჯგუბურია**

◉ მოგვმართავენ, გვეკითხებიან

**რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.**

**კითხვა: წლების განმავლობაში ვცხოვრობ საქართველოში, მაგრამ ვარ მოქალაქეობის არმქონე პირი. გთხოვთ, განმიმარტოთ, უფლება მაქვს, მოვითხოვო ასაკით პენსიის დანიშვნას მოქმედი კანონის თანახმად და რა საბუთების წარდგენა დამჭირდება ამისთვის დამატებით?**

**დაინტერესებული მკითხველი**

**პასუხი:** მოქმედი კანონის თანახმად, საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირმა, პენსიის დასანიშნად აუცილებელ საბუთებთან ერთად, დამატებით უნდა წარადგინოს ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროდან მისი საქართველოს ტერიტორიაზე ბოლო ათი წლის მანძილზე კანონიერად ცხოვრების შესახებ.

* * *

**კითხვა: გთხოვთ განმიმარტოთ, კანონის თანახმად, რამდენი ფორმით შეიძლება არსებობდეს სამეწარმეო იურიდიული პირი?**

**ვახტანგ გოგოხია**

**პასუხი:** სამეწარმეო, ანუ კომერციული იურიდიული პირი შეიძლება არსებობდეს 5 ფორმით: კოოპერატივი, სააქციო საზოგადოება, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

* * *

**კითხვა: თუ საიდუმლო არ არის, იქნებ გვაცნობოთ, მოქმედი კანონის თანახმად, რომელი ორგანოები არ ითვლებიან ადმინისტრაციულ ორგანოებად?**

**ნინო გამყრელიძე**

**პასუხი:** ადმინისტრაციულ ორგანოებად ითვლებიან: პარლამენტი, ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოები, პრეზიდენტის სათათბირო ორგანო, სახალხო დამცველი, სასამართლო ხელისუფლების ორგანოები, თუმცა, ისინი საჯარო დაწესებულებები არიან.



* * *

**კითხვა: გვაინტერესებს რას წარმოადგენს საჯარო ინფორმაცია, რომლის მოთხოვნის უფლება აქვს ფიზიკურ პირს?**

**ლილი ბილიხოძე**

**პასუხი:** საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, საჯარო ინფორმაცია არის ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის: ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიო ჩანაწერის, ანუ საჯარო დაწესებულების მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-65-87.**

შვილები ნელი, ნათელა, ბელა ყურაშვილები, სიძეები ვაჟა ქურდიანი, მერაბ მახათაძე, შვილიშვილები ვლადიმერ ქერქაძე, შალვა, კახაბერ ქურდიანები, ნიკა, ირაკლი მახათაძეები, შვილთაშვილები ნიკა, გიო ქერქაძეები, მარიამ, გიორგი, ნიკა ქურდიანები, ნიკა მახათაძე მწუხარებით იუწყებიან რომ გარდაიცვალა

ვიტალი ეპიფანეს ძე ყურაშვილი

პანაშვიდი 17, 18 X, დაკრძალვა 19 X, 3 სთ. ვაჟა ფშაველას 6.

◉ ინფორმაცია

## ნარკოდილერს უვადო პატიმრობა ემუქრება

**შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ნარკოდანაშაულის ფაქტზე 35 წლის კახა ბოკუჩავა დააკავეს.** ბოკუჩავას პირადი ჩხრეკის შედეგად ამოღებულია 30 აბი ნარკოტიკული საშუალება „სუბოტექსი“ და ერთი პაკეტი „სუბოტექსი“ ფხვნილის სახით, ხოლო ბინის ჩხრეკისას 229 აბი „სუბოტექსი“. მიმდინარეობს გამოძიება. ბრალის დამტკიცების შემთხვევაში ბოკუჩავას 8-დან 20 წლამდე, ან უვადო თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

**ინტერპრესნიუსი**

**შპს „კოდ“-ის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს, ვთხოვთ, დაგვიკავშირდნენ ტელეფონზე 44 55 63 ან მოგვაკითხონ მისამართზე: თბილისი, მ.კოსტავას ქ.№75 ა.**

№ 30. ხუთშაბათი, 16 ოქტომბერი, 2008 წელი.

# ბოლო გვერდი

● ბადრი პატარკაციშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით სასამართლო მოსმენები დიდ ბრიტანეთში გუშინ, თბილისის დროით, დაახლოებით, 14 საათზე ოფიციალურად დაიწყო



◉ ყველას რაიმე აქვს სახსოვარი

## სევდიანი, მაგრამ ლამაზი გაელვება



**ეს ფოტო მოსკოვში 1968 წელს არის გადაღებული. მას შემდეგ, რაც საქართველოს ტელევიზიამ მაყურებელთა თხოვნით სამჯერ გაიმეორა გადაცემა რუსული რომანსების ცნობილ მომღერალ თამარ წერეთელზე, საქართველოს დამსახურებული არტისტი მერაბ თაბუკაშვილი მოსკოვში გაემგზავრა, შეხვდა ქალბატონ თამარს და ეს უნიკალური ფოტოც მაშინ დაიბადა.**

„შეუძლოდ იყო, მაგრამ მაინც ქართულად და რუსულად ორი პატარა სიმღერა იმღერა: „რომ ბედში მყოფი შენ ძმად მიგაჩნდეს“, „ჩვენ სულით ახალგაზრდები ვართ“. ეს სიმღერები ფირზე გადავიღეთ და ამჟამად საქართველოს ტელევიზიაში ინახება. მაშინ მითხრა: „დიდი მადლობა ჩემს ხალხს, მთავრობას, რომელმაც არ დამივიწყა და მოსკოვში მოღვაწე ქართველ მომღერალს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის წოდება მომანიჭა“.

ამ შეხვედრიდან ძალიან მალე გარდაიცვალა. ერთი წლის შემდეგ გადმოვასვენეთ თბილისში და დიდუბის პანთეონში დავკრძალეთ“, – მითხრა მერაბ თაბუკაშვილმა.

ასე რომ, შეჩერებული წამი 40 წლის წინანდელი შეხვედრის სევდიანი, მაგრამ ლამაზი გაელვებაა.

**ნატა ნიბლაძე**

◉ ინფორმაცია

## „ტელეიმედის“ ლიცენზიის შეჩერება არ მოხდება

**ბადრი პატარკაციშვილის გარდაცვალების გამო, კომუნიკაციების ეროვნული კომისია „ტელეიმედისთვის“ ლიცენზიის შეჩერების შესახებ საქმის წარმოებას, სავარაუდოდ, შეწყვეტს.**

**ამის შესახებ კომისიის წევრმა ზურაბ ნონიკაშვილმა განაცხადა.**

კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 15 თებერვლის სხდომის დღის წესრიგში „ტელეიმედთან“ დაკავშირებული საკითხი მაინც შევა, თუმცა ზურაბ ნონიკაშვილის განცხადებით, კანონის მიხედვით, საქმის წარმოება უნდა შეწყდეს.

რაც შეეხება სხვა მიზეზით „ტელეიმედისთვის“ მაუწყებლობის ლიცენზიის შეჩერებას, ამ საკითხს კომუნიკაციების ეროვნული კომისია მას შემდეგ შეიძლება დაუბრუნდეს, რაც მაუწყებლობის შეწყვეტიდან 90 დღე გავა.

– კანონის მიხედვით, მაუწყებლობის შეწყვეტა დაუშვებელია წლის განმავლობაში 120 დღეზე ან ზედიზედ 90 დღეზე მეტი, – განმარტა ნონიკაშვილმა. შესაბამისად, „იმედს“, რომლის მაუწყებლობა 27 დეკემბრის შემდეგ არის შეჩერებული, მაუწყებლობის აღსადგენად ვადა მარტის ბოლომდე აქვს. ამასთან, ტელეკომპანიის წარმომადგენლები მაუწყებლობის განახლების შესახებ ჯერ კომენტარებს არ აკეთებენ.

კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ „ტელეიმედისთვის“ ლიცენზიის შეჩერების შესახებ საქმის წარმოებას საფუძვლად დაედო ინფორმაცია, რომ არკადი (ბადრი) პატარკაციშვილი თავისი საქველმოქმედო ფონდის მეშვეობით არაპირდაპირ „ტელეიმედის“ 15%-ს ფლობს.

კომისიის აზრით, ზემოაღნიშნული გარემოება არღვევდა „მაუწყებლობის შესახებ“ კანონს, რომლის თანახმადაც, მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიის მფლობელი არ შეიძლება იყოს პოლიტიკური პარტია, პოლიტიკური პარტიის თანამდებობის პირი.

## გარდაცვლილის ქონებას ყადაღა უნდა მოეხსნას

**ბადრი პატარკაციშვილის ადვოკატი შალვა ხაჭაპურიძე გარდაცვლილის ქონებაზე ყადაღის მოხსნას ითხოვს.**

**როგორც ხაჭაპურიძემ განაცხადა, ყადაღის მოხსნის შესახებ შუამდგომლობით საქართველოს გენერალურ პროკურატურას მიმართავენ.**

– ჩვენ არაერთხელ მოვითხოვეთ ყადაღის მოხსნა პატარკაციშვილის გარდაცვალებამდეც. მივიჩნევთ, რომ ბიზნესმენის ქონებას ყადაღა უკანონოდ ადევს, – აღნიშნა ხაჭაპურიძემ.

მისივე თქმით, ბანკში დაახლოებით, 8 მილიონი დოლარია დაყადაღებული. ამის გარდა, „პროკრედიტ ბანკს“ და პატარკაციშვილის სხვა ქონებასაც ადევს ყადაღა, – განმარტა ადვოკატმა.

რაც შეეხება პატარკაციშვილის მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას, გენერალურ პროკურატურას ამასთან დაკავშირებით ჯერ რაიმე ინფორმაცია არ გაუვრცელებია.

## პატარკაციშვილის ცხედარს, სავარაუდოდ, ერთ კვირაში ჩამოასვენებენ

**ბადრი პატარკაციშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით სასამართლო მოსმენები დიდ ბრიტანეთში გუშინ, თბილისის დროით, დაახლოებით, 14 საათზე ოფიციალურად დაიწყო.**

საინფორმაციო სააგენტო „რია ნოვისტის“ ინფორმაციით, სასამართლო მოსმენა ქალაქ უოკინგის საკორონერო სასამართლოში გაიმართება. სხდომას სარრეის საგრაფოს კორონერი (სასამართლო გამომძიებელი)ძ გახსნის.

– ეს იქნება ფორმალური გახსნა. რეალური მოსმენა, სავარაუდოდ, იმ დრომდე არ მოხდება, ვიდრე არ დადგინდება ტოქსიკოლოგიური კვლევის შედეგები, – განაცხადა სარრეის საგრაფოს პოლიციის წარმომადგენელმა და დასძინა, რომ ტოქსიკოლოგიურ ანალიზს 10 დღემდე დასჭირდება.

მათივე ინფორმაციით, წინასწარი შეფასების თანახმად, ბიზნესმენის გარდაცვალების მიზეზი გულის იშემიური დაავადება გახდა.

გარდაცვლილის ცხედარი ოჯახის წევრებისთვის ჯერ არ გადაუციათ და კვლავ საავადმყოფოში რჩება.

როგორც ლონდონში მყოფი ვაჟა ლორთქიფანიძე აცხადებს, პატარკაციშვილის ცხედარს საქართველოში ექსპერტიზის საბოლოო დასკვნის შემდეგ გადმოასვენებენ და, შესაძლოა, ეს ერთი კვირის შემდეგ მოხდეს.

ამასთან, ბადრი პატარკაციშვილის ოჯახი არ ადასტურებს ინფორმაციას, თითქოს ბიზნესმენს ბოლო პერიოდში გული აწუხებდა. ოჯახის ეს პოზიცია თბილისიდან ლონდონში ჩასულმა პატარკაციშვილის მეგობრებმა გააჟღერეს.

**ინტერპრესნიუსი**

**რეკლამა** *კოსტავას 12*

*„საქართველოს რესპუბლიკაში“*

**98-65-87; 899 32-85-76.**

◉ კადრი



◉ ანეკდოტები

– რად მიყურებთ ასე დაჟინებით? – უსაყვედურებს ქალი მამაკაცს.

– სულაც არ გიყურებთ.

– მაშ რად არ მიყურებთ?

* * *



უბრალო არითმეტიკაა: თუ, ღმერთმა ნუ ქნას, ჩინეთთან ომი დაიწყო და ყოველდღიურად თითო მილიონი (!ძ ჩინელი დავხოცეთ, სულ წელიწადში დაიხოცება 365 მილიონი ადამიანი, რაც ამ ქვეყნის მთელი მოსახლეობის 25 პროცენტია, და პრაქტიკულად ჩინეთში ყოველწლიური შობადობის ეკვივალენტურია.

* * *

– იცით, რომ თინათინისთვის გასაგზავნი წერილი ავთანდილს არ დაუწერია?

– აბა ვინ დაწერა?

– რუსთაველმა.

* * *

– ხომ გთხოვე, ხელს ნუ შემიშლი-მეთქი! – უსაყვედურებს მარო მიხოს. – შენს გამო რეცეპტების წიგნი დამივარდა, რომელიც დაიხურა და ახლა არც ვიცი, სადილად რა მოვამზადე!

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12. ტ: 899 53-76-16

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებლები
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „მაქსიმუმში“. 95-11-92
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ქოზულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.